ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
11 დეკემბერი **სამშაბათი** 2012 №293 (13 899) ფასი 80 თეთრი

# ყველაფერი გორგოძე იყო

კაპიტანი
ლელოს ავტორი
ასისტენტი
საუკეთესო

13

ეროვნული ბიბლიოთეკა



მამუკა გორგოძის ლელო

# ერთი პრეზიდენტი...

## როგორც იქნა!

პრესისთვის დახურულ ყრილობაზე უკონკურენტო ქევხიშვილი აირჩიეს

*ძიუდოს ფედერაციის ყრილობა*

10-11



დავით ქევხიშვილი
*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*

# ფალკაოს რეალი აურჩევია

## კოლუმბიელმა დიდი საიდუმლო გაამხილა



"ატლეტიკოს" 26 წლის ფორვარდმა რადამელ ფალკაომ ესპანეთის ჩემპიონატის მე-15 ტურის შემდეგ, თავის პარტნიორებს გამოუცხადა, რომ მომავალ სეზონში მადრიდის "რეალში" გადავა, - წერს გაზეთი "მარკა". იტყობინებიან, რომ კოლუმბიელმა უკვე მიაღწია ზეპირ შეთანხმებას "სამეფო კლუბის" პრეზიდენტთან ფლორენტინო პერესთან. მომავალი ტრანსფერი 60 მილიონ ევროდ არის შეფასებული.

# ...სამი კანდიდატი

20 დეკემბერს სეოკ-ის პრეზიდენტს სამი კანდიდატიდან აირჩევენ



გია ნაცვლიშვილი



ლერი ხაბელოვი



ბეჟან ხურციძე

# ზესტაფონური აურზაური

კლუბი მოთამაშეების დასჯას ითხოვს, ფეხბურთელები კლუბისგან პასუხისგებას

2

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სიტუაცია

## ზესტაფონი VS ფეხბურთელები
# ოთხი უნდა დაისაჯოს
## ფეხბურთელები VS ზესტაფონი
# პასუხი კლუბმა უნდა აგოს



დღეს ეროვნული ჩემპიონატის მე-19 ტურის გადადებული შეხვედრა გაიმართება: საჩხერის "ჩიხურა" "ზესტაფონს" უმასპინძლებს. "ზესტაფონს" გიორგი მიქაძე უმწვრთნელებს, ვინც მანამდე "ზესტაფონის" დუბლშემადგენლობის მწვრთნელი იყო. რადგან "ზესტაფონის" პირველი გუნდის უმეტესი ფეხბურთელები ჯერაც გაფიცულები არიან, მიქაძე სავარაუდოდ დუბლშემადგენლობის ფეხბურთელებს ათამაშებს "ჩიხურასთან" და კიდევ კლუბის ლეგიონერებს – გაფიცულთა შორის არ არიან გერმანელი ნახევარმცველი პატრიკ მილხრაუმი, სერბი შუახაზელი იგორ იელიჩი და კოტდიუვარელი თავდამსხმელი ბოტი გოა.

და რა სტადიაშია დავა კლუბის ხელმძღვანელობასა და გაფიცულ ფეხბურთელთა შორის?

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში წერილი მივიდა საფეხბურთო კლუბ "ზესტაფონისგან". წერილს კლუბის პრეზიდენტი ილია კოკაია აწერს ხელს, ადრესატი კი ფედერაციის თავკაცი ზვიად სიჭინავა გახლავთ. ფეხბურთის ფედერაციაში ისიც გვითხრეს, რომ ეს წერილი განსახილველად გადაეცა ფედერაციის ფეხბურთელთა სტატუსის კომიტეტს, რომელსაც რევაზ შენგელია ხელმძღვანელობს. გუშინვე გაიმართა ამ კომიტეტის სხდომა და რადგან "ზესტაფონის" სარჩელი არ წარმოადგენს სატრანსფერო დავას, გადაწყვეტილების გამოტანა ვერ მოხერხდა. სახელდობრ, "ზესტაფონი" მოითხოვს, რომ მის ოთხ ფეხბურთელს მიეცეს დისკვალიფიკაცია: ზურაბ მენთეშაშვილს, ზურაბ მამალაძეს, ზაალ ელიავასა და თორნიკე აფციაურს. ფედერაციაში ისიც განგვიმარტეს, რომ თუ კლუბის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ფეხბურთელებს ფიფას წესდებით ოთხიდან ექვს თვემდე დისკვალიფიკაცია ემუქრებათ.

ამ ყველაფრიდან შეგვიძლია იმის ვარაუდი, რომ "ზესტაფონის" ხელმძღვანელობა გაფიცვის ინიციატორებად ამ ოთხ ფეხბურთელს მიიჩნევს.

ამბავი ამით არ მთავრდება. ფედერაციაში მივიდა "ზესტაფონის" იმ 19 ფეხბურთელის საჩივარიც, რომლებიც გაფიცულები არიან. ცხადია, დავინტერესდით, თუ რა წერია ამ წერილში, მაგრამ ფედერაციის იურისტმა კესო ჩხიკვაძემ გვითხრა, რომ რადგან დავა ჯერაც არ დასრულებულა, ფედერაცია ამ დოკუმენტის პრესისთვის გადაცემაზე თავს იკავებს.

ვინ უნდა განიხილოს "ზესტაფონის" თუ მისი ფეხბურთელების საჩივარი? ამაზე ჩხიკვაძემ მოგვახსენა, რომ დავას ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომი განიხილავს, რომლის გადაწყვეტილების გასაჩივრება არბიტრაჟში იქნება შესაძლებელი.

და კიდევ: გაჩნდა იმის შესაძლებლობაც, რომ კლუბმა და ფეხბურთელებმა მოილაპარაკონ და დავის ოფიციალურ-იურიდიული განხილვა აღარ მოხდეს.

ერთი სიტყვით, კონფლიქტი გადაჭრის სტადიაში შედის, მანამდე კი "ზესტაფონი" დღეს მეტად მნიშვნელოვან მატჩს ითამაშებს, ზედა ექვსეულში დამკვიდრება ფეროელებისთვის ჯერაც სათუოა და ვნახოთ, რას წამოიღებს "ჩიხურასგან" გადახალისებული "ზესტაფონი".

**დავით თავართქილაძე**

● საქართველოს ჩემპიონატი. XIX ტური

**11.12. ივანწმინდა. 14:00**

### ჩიხურა-ზესტაფონი

ურთიერთშეხვედრები:
3 მატჩი, 0 მოგება, 2 ფრე, 1 წაგება. ბურ. 0-2

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 19 | 14 | 4 | 1 | 57 | 16 | 46 |
| 2 | დილა | 19 | 13 | 1 | 5 | 30 | 12 | 40 |
| 3 | ტორპედო | 19 | 12 | 2 | 5 | 35 | 17 | 38 |
| 4 | ჩიხურა | 18 | 11 | 2 | 5 | 29 | 19 | 35 |
| 5 | ზუგდიდი | 19 | 10 | 5 | 4 | 26 | 16 | 35 |
| 6 | ზესტაფონი | 18 | 8 | 4 | 6 | 23 | 16 | 28 |
| 7 | მეტალურგი | 19 | 8 | 2 | 9 | 15 | 24 | 26 |
| 8 | მერანი | 19 | 6 | 2 | 11 | 16 | 30 | 20 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 19 | 5 | 5 | 9 | 13 | 25 | 20 |
| 10 | სიონი | 19 | 4 | 5 | 10 | 13 | 33 | 17 |
| 11 | დინამო (ბთ) | 19 | 3 | 3 | 13 | 20 | 42 | 12 |
| 12 | კოლხეთი | 19 | 0 | 3 | 16 | 10 | 37 | 3 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ჩისკო (დინამო თბ) | 15 |
| დვალი (დინამო თბ) | 14 |
| ალვარო (დინამო თბ) | 10 |
| საბანაძე (ტორპედო) | 9 |

**XX ტური**

**15 დეკემბერი. შაბათი**

მერანი-კოლხეთი
ტორპედო-ვიტ ჯორჯია
მეტალურგი-ჩიხურა
ზესტაფონი-სიონი
დინამო (თბ)-ზუგდიდი
დინამო (ბთ)-დილა

**ამონარიდი რეგლამენტიდან**

*თანაბარი ქულების შემთხვევაში ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:*

1) ჩემპიონატში უშუალოდ ურთიერთშეხვედრების შედეგები (ქულათა რაოდენობა და შემდეგ ბურთების უკეთესი სხვაობა. ბურთების ერთნაირი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ერთმანეთთან შეხვედრებში სტუმრად მეტი გოლი აქვს გატანილი);

2) ჩემპიონატში მოგებათა მეტი რაოდენობა;

3) ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;

4) ჩემპიონატში გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

5) ჩემპიონატში სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

6) ჩემპიონატის განმავლობაში გუნდის მიერ მიღებული წითელ-ყვითელი ბარათების რაოდენობა (წითელი - 3 ქულა, ყვითელი — 1 ქულა. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ნაკლებ წითელ ბარათს);

7) თუ გუნდებს ეს მაჩვენებლიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.

# ზესტაფონი ჩიხურასთან დუბლებით ითამაშებს
## ფეროელებს დროებით მიქაძე უთავკაცებს

დღეს ივანწმინდაში "ჩიხურასა" და "ზესტაფონის" გადადებული მატჩი გაიმართება. შეგახსენებთ, ეს შეხვედრა "ზესტაფონის" ბანაკში მომხდარი არასასიამოვნო ამბების გამო გადაიდო.

ფეროელები მთავარი მწვრთნელების, **დავით მუჯირისა** და **ზაზა ზამთარაძის** გარეშე დარჩნენ. როგორც იცით, "ზესტაფონს" დროებით **გიორგი მიქაძე** უხელმძღვანელებს, რომელიც აქამდე კლუბის დუბლშემადგენლობაში მუშაობდა. სავარაუდოდ, ჩემპიონატის პირველ ეტაპს საქართველოს მოქმედი ჩემპიონი სწორედ მისი ხელმძღვანელობით ჩაამთავრებს და "ზესტაფონის" ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობაც სწორედ ამის შემდეგ გახდება ცნობილი.

შევიტყვეთ ისიც, რომ დღეს "ზესტაფონი" მთელი რიგი წამყვანი ფეხბურთელების გარეშე ითამაშებს და მოედანზე გასული მოთამაშეების უმრავლესობა დუბლშემადგენლობიდან იქნება. გამონაკლისი მხოლოდ მთავარი გუნდის რამდენიმე ახალგაზრდა წევრი და ლეგიონერები, **პატრიკ მილხრაუმი, იგორ იელიჩი და ბოტი გოა დემელი** არიან.

"ზესტაფონი" უმაღლესი ლიგის სატურნირო ცხრილში დღეისთვის მეექვსე ადგილზეა და მდევარ "მეტალურგს" ორი ქულით უსწრებს, ამასთანავე, კონკურენტზე ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული. ამის მიუხედავად, "ზესტაფონის" ზეექვსეულში მოხვედრა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა სათუო გახადა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● კაზუსი



# სოლიდარობა ქართულად
# ანუ ახალი წელიც მალე მოვა

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ისეთი რამეა, სეზონში ერთი კაზუსი მაინც უნდა მოუვიდეს. წინა სეზონში ჩემპიონის გამოვლენას ალმასკომის სხდომის ჩატარება დასჭირდა, აგერ ახლა კი ჩემპიონი გუნდის ფეხბურთელები გაიფიცნენ და ფეხბურთის ფედერაციამაც ჩემპიონატის კალენდარი შეცვალა უმაღლესი ლიგის კლუბებთან კონსულტაციის შემდეგ.

ახლ ეს ვიკითხოთ: ჩემპიონატის დებულების რომელი მუხლის თანახმად შეიცვალა კალენდარი? დებულების რომელ პუნქტში წერია, რომ თუ ერთი გუნდის ფეხბურთელები გაიფიცებიან, კალენდარი უნდა შეიცვალოს?

ერთი მხრივ კარგია, რომ "ზესტაფონის" პრობლემებს სხვა გუნდები გაგებით მოეკიდნენ, სოლიდარობა ფეხბურთშიც აუცილებელია, მაგრამ რამდენად კარგად ესმის ჩვენს საფეხბურთო მილეთს სოლიდარობის ცნება?

ფიფას და უეფას სოლიდარობა ასე ესმით: ფულის შოვნა ხდება ძლიერი ეროვნული ასოციაციაციების ნაკრებებით და კლუბებით, მაგრამ სუსტები და ღარიბებიც არ არიან დავიწყებულები და ფინანსური მოგებიდან რაღაც წილი მათაც ერგებათ. თუ ფიფას ან უეფას წევრი ასოციაციის საქმეში ვილაც უხეშად ჩაერევა, ეს ორგანიზაციები ყველანაირად შეეცდებიან თავიანთი წევრის ინტერესების დაცვას.

მოკლედ, ფიფა-უეფას პრინციპები ერთია და სულ სხვა არის ის, რაც ჩვენთან ხდება. ფეხბურთის ფედერაციამ და კლუბებმა ანგარიში გაუწიეს "ზესტაფონს", მაგრამ ვინ დაიცავს "ზესტაფონის" ფეხბურთელების ინტერესებს? სად არის აქ სოლიდარობა?

ჩვენთან შეიძლება, რომ გუნდი უმაღლესი ლიგიდან გავარდეს და მერე მაინც დარჩეს უმაღლეს ლიგაში.

ჩვენთან შეიძლება, რომ ფეხბურთის ფედერაციამ სეზონის დàმთავრებამდე შეცვალოს დებულება და კონკრეტული გუნდი ამით უმაღლესი ლიგიდან გავარდნას გადაურჩეს.

ჩვენთან შეიძლება, რომ უმაღლესი ლიგის კლუბმა ლიცენზირება ვერ გაიაროს, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომმა ამ კლუბის გუნდი მაინც დაუშვას უმაღლეს ლიგაში.

ჩვენთან შეიძლება, რომ ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსანმა ერთი გუნდი გამოაცხადოს ჩემპიონად, ცოტა ხანში კი ალმასკომმა ჩემპიონობა სხვას მიაკუთვნოს.

ჩვენთან ყველაფერი მოსულა, თუ იქნება იმის გარანტია, რომ ყველაფერზე თვალი დაიხუჭება, რომ ყველაფერი წყალივით ჩაივლის. "ზესტაფონი" საკმაოდ ძლიერი კლუბია და ალბათ მოახერხებს ამ სიტუაციიდან თავის დაღწევას, ოღონდაც საფეხბურთო სამყაროს ალბათ მართებს დაფიქრება იმაზე, თუ რატომ მოხდა ასე, თუ რა არის "ზესტაფონის" ამ კონკრეტული პრობლემის მიზეზი, რომელიც შესაძლოა, სხვაგანაც გაღვივდეს. საქართველოში ხომ ისეთი კლუბიც მოიძებნება, პრეზიდენტმა საახალწლოდ რომ დააჯარიმა ფეხბურთელები არასასურველი შედეგის გამო...

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ

**მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი სიურპრიზი "ზუგდიდია". მეგრული კლუბისგან ფავორიტების გამწარებასა და საკმაოდ მაღალი ადგილებისთვის ბრძოლას დიდი ხანია, ჩვეულნი ვართ, თუმცა წლევანდელი შედეგი მაინც განსაკუთრებით აღსანიშნავია – ელგუჯა ქომეთიანისა და ოთარ გაბელიას მიერ მომზადებულ გუნდს დღეისთვის 35 ქულა აქვს და საჩხერის "ჩიხურასთან" მეოთხე-მეხუთე ადგილებს იყოფს, რაც იმას ნიშნავს, რომ "ზუგდიდს" საუკეთესო ექვსეულში ადგილი, ფაქტობრივად, დაბევებული აქვს და არც ის არის გამორიცხული, ევროთასების საგზურზე განაცხადოს პრეტენზია.**
**"ლელოს" რესპონდენტი გუნდის მთავარი მწვრთნელი ელგუჯა ქომეთიანია, რომელსაც თავდაპირველად ბოლო ორ მატჩზე ვკითხეთ, სადაც მისმა გუნდმა ექვსი ქულა მოაგროვა.**



## ელგუჯა ქომეთიანი:
# ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული

- "სიონს" დამაჯერებლად ვძლიეთ და ჩვენი გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა, რაც შეეხება "მერანთან" გამართულ შეხვედრას, მეგრულმა დერბიმ გულშემატკივართა მოლოდინი აბსოლუტურად გაამართლა და მაყურებელმა უშელავათო და ძალიან დრამატული სანახაობა იხილა. გამარჯვება ორივე გუნდს შეეძლო, საბოლოოდ კი სამი ქულა ჩვენ დაგვრჩა. შემიძლია ვთქვა, რომ ამ სეზონში საშინაო მატჩში აქამდე ასეთი წინააღმდეგობა არავისგან შეგვხვედრია, ასე რომ, კიდევ ერთხელ გამოვხატავ ჩემს სიმპათიებსა და პატივისცემას "მერანის" მიმართ.

**- 15 დეკემბერს კი თბილისში "დინამოსთან" გელით ბრძოლა...**

- რომელ ადგილსაც უნდა იკავებდეს ზუგდიდური გუნდი, ჩვენთვის "დინამოსთან" დაპირისპირებას ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ჩვენთვის ეს არასდროს ყოფილა ერთი რიგითი მატჩი, ფაქტია, რომ ზუგდიდელებისთვის "დინამოსთან" წარმატებას სულ სხვა ფასი აქვს. ასე რომ, თბილისური შეხვედრისთვის საგანგებოდ ვემზადებით და მეტოქისადმი პატივისცემის მიუხედავად, დიდი იმედი გვაქვს, რომ შინ ხელცარიელი არ დავბრუნდებით.

**- სეზონის წინ თუ წარმოიდგენდით, რომ ასეთი მაღალი მიზნებისთვის შეძლებდით ბრძოლას?**

- მაღალი დონის შემადგენლობას მოვუყარეთ თავი და აქედან გამომდინარე, გვქონდა იმის იმედი, რომ თავს კარგად წარმოვაჩენდით. პესიმისტურ განწყობაზე მხოლოდ ის ფაქტი გვაყენებდა, რომ საკუთარი სტადიონის გარეშე დავრჩით და შესაბამისად, მატჩების ნახევარს უცხო, ხოლო მეორე ნახევარს ნეიტრალურ მოედანზე ვატარებდით. განმუხურში თამაში გარკვეულ დისკომფორტთან არის დაკავშირებული, თუნდაც იმიტომ, რომ "ზუგდიდის" ყველა გულშემატკივარი იქ ჩასვლას ვერ ახერხებს და იმაზე გაცილებით ნაკლები ქომაგის წინაშე გვიწევს თამაში, ვიდრე ამას ჩვეულნი ვართ. სამაგიეროდ, გვყავს 25 მაღალი დონის ფეხბურთელი, რომელთაგანაც ნებისმიერს შეგვიძლია დავეყრდნოთ. ექვსეულში, ფაქტობრივად, უკვე შევედით და თუ ფინანსურმა მდგომარეობამ ხელი შეგვიწყო, შევეცდებით, პირველად ზუგდიდური ფეხბურთის ისტორიაში, ევროსარბიელზე გავიდეთ.

**- ფინანსური პრობლემები თქვენს კლუბს ძალიან ხშირად აწუხებს. ამ მხრივ ახლა რა მდგომარეობა გაქვთ და სამომავლო პროგნოზის გაკეთება თუ შეგიძლიათ?**

- ახლა ვერაფერს გეტყვით, მაგრამ დიდი იმედი გვაქვს, რომ მუნიციპალიტეტი სათანადო ბიუჯეტს დაგვიმტკიცებს. გვინდა, ამჟამინდელი ბირთვი შევინარჩუნოთ და იმედია, ამის საშუალება მოგვეცემა. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ასეთი გუნდი არ დაიშალოს.

**- "ზუგდიდიდან" რომელ ფეხბურთელებს გამოყოფდით?**

- წარმატებებს, უპირველესად, გუნდური თამაშით ვაღწევთ, თუმცა, რა თქმა უნდა, გვყავს ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანნი არიან – ქობალია და გაბედავა, რომელიც შეტევაში შედეგიან ნყვილს ქმნიან, გამეზარდაშვილი და თოდუა, რომლებმაც ჩვენი დაცვა საიმედო გახადეს, გამოცდილი ნახევარმცველები ბოლქვაძე და კოშკაძე, ასევე კუტალია, სიხარულია, ტყემალაძე და სხვები...

**- როგორც ამბობენ, კუტალიას "ზუგდიდიდან" წასვლა გადაწყვეტილია.**

- ჯერჯერობით, საკითხი ასე არ დგას. წინა მატჩი მან მიკროტრავმის გამო გამოტოვა, ახლა კი უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს. ზამთარში კი ვნახოთ, იგი ან დარჩება, ან თავისუფალი აგენტის სტატუსით დაგვტოვებს.

**- ქობალია პოლონური "იაგელონიადან" რა პასუხით დაბრუნდა?**

- არ მესმის, რატომ ჰქონდა სინჯებს ასეთი სახე. ირაკლი მხოლოდ ერთ საკონტროლო მატჩში გამოსცადეს, ისიც მხოლოდ ერთ ტაიმში. როგორც მითხრა, ურიგოდ არ უთამაშია, ორი საგოლე მომენტი ჰქონდა და ერთხელ ბურთი მეტოქის კარის ძელს გაარტყა. ეს იყო და ეს, კონკრეტული პასუხი მას არ მიუღია და საერთოდ ვერ ვხვდები, რა აზრი ჰქონდა მის წასვლას.

**- ზამთრის გეგმებზე ხომ არ ჩამოყალიბებულხართ?**

- ყველაფერი, ისევ და ისევ, ფინანსებზეა დამოკიდებული. თუ საშუალება გვექნება, შეკრებას თურქეთში, ანთალიის მხარეში გავივლით.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფუტსალი

# იბერიამ კონკურენტი დაამარცხა

სპორტკომპლექს "არენაში" ფუტსალში საქართველოს ჩემპიონატის მე-5 ტურის შეხვედრები გაიმართა.

საქართველოს ჩემპიონმა „იბერია სტარმა" მიმდინარე სეზონში ყველაზე მძიმე დაპირისპირება გადაიტანა. „სოკართან" შეხვედრის ბოლო წუთამდე ანგარიში 2:2 იყო. **სერჯიო ბენატის** განვრთნილებმა მეტოქეს გამარჯვება მხოლოდ შეხვედრის დასრულებამდე 40 წამით ადრე გამოგლიჯეს (3:2) და ლიდერობა განიმტკიცეს.

პირველი გამარჯვება მოიპოვა GIEC-მა, რომელმაც თელავის „ბურჯს" 6:1 სძლია. უშუალო კონკურენტების, თსუ-სა და "თელასის" შეხვედრა სტუდენტების გამარჯვებით დასრულდა – 4:1. ამ გამარჯვებითა და ბურთების უკეთესი სხვაობით, თსუ-მ "თელასი" მესამე ადგილზე დააქვეითა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იბერია | 5 | 5 | 0 | 0 | 33-8 | 15 |
| 2. თსუ | 4 | 3 | 0 | 1 | 22-11 | 9 |
| 3. თელასი | 5 | 3 | 0 | 2 | 14-13 | 9 |
| 4. სოკარი | 4 | 1 | 0 | 2 | 18-14 | 3 |
| 5. GIEC | 4 | 1 | 0 | 3 | 8-18 | 3 |
| 6. ბურჯი თელავი | 4 | 0 | 0 | 4 | 6-37 | 0 |

**მერაბ მამულაშვილი**

სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე წასაკითხი

# თავისუფალი აგენტები და გუნდის მაძიებელთა სია

**სატრანსფერო „ფანჯარა" მალე იხსნება და ალბათ, კლუბები დაინტერესდებიან იმ მოთამაშეებით, რომლებსაც უცხოეთში ან საქართველოში კონტრაქტები დაუსრულდათ. ასეთი მოთამაშეები უდავოდ არიან, რომელთა დამატებაც ჩვენს კლუბებს არ აწყენდათ.**
**ჩვენთვის ცნობილ გვარებს პოზიციების მიხედვით ჩამოგითვლით.**

### მეკარეები

ახალგაზრდული ნაკრების მეკარე **გიორგი ნადირაძე** თბილისის "დინამოდან" ცხინვალის "სპარტაკში" შარშან გადავიდა. 20 წლის მეკარემ ახალგაზრდულ ნაკრებშიც საკმაოდ დამაჯერებელი თამაშით დაგვამახსოვრა თავი. არც ისე მაღალია (185 სმ), მაგრამ მშვენიერი რეაქცია და კარში პოზიციის სწორი შერჩევის უნარი გააჩნია.

ნადირაძეს „სპარტაკთან" კონტრაქტი დეკემბერში უმთავრდება.

ტრანსფერზეა დაყენებული "ზესტაფონის" მეკარე **ზურაბ მამალაძე**, რომელიც ზურგს ეროვნულ ნაკრებსა და თბილისის "დინამოში" გვარიანი საერთაშორისო გამოცდილება უმაგრებს.



შოთა გრიგალაშვილი



გიორგი ნავალოვსკი



ლევან გვაზავა

### მცველები

ლატვიური "ვენტსპილსის" შემადგენლობაში ლატვიის ჩემპიონის ოქროს მედალი **მამუკა ღონღაძემ** და **ბუკა ცინცაძემ** მოიპოვეს. ღონღაძის მიმართ დიდი დაინტერესება არის, მას "ალანიაში," პოლონურ და უნგრულ კლუბებში იწვევენ.

ცინცაძემ გასულ სეზონში 36-დან 25 შეხვედრა ჩაატარა და გუნდის ჩემპიონობას 2 გოლითა და საიმედო თამაშით შეეწია. სეზონის დასრულების შემდეგ 23 წლის მცველს დაუგავპილსელებთან კონტრაქტი დაუმთავრდა, მაგრამ ჯერ არ იცის, "დაუგავაში" დარჩება თუ კარიერას სხვაგან გააგრძელებს. ცინცაძე ლატვიაში ზღაპრულ ხელფასს ვერ იღებდა და ეს ქართული კლუბებისთვის სასურველი მომენტია, რომ გადაიბირონ. ლატვიის ჩემპიონი გუნდის ძირითადი შემადგენლობის მცველი ხელწამოსაკრავი მოთამაშე არ უნდა იყოს.

როგორც შევიტყვეთ, თავისუფალია "გაგრას" ცენტრალური მცველი, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ნათამაშები 22 წლის **ლაშა კალანდაძეც**.

"ზესტაფონმა" ტრანსფერზე მარცხენა მცველი **ზაალ ელიავაც** დააყენა, რომელსაც ასევე უთამაშია ეროვნულ ნაკრებში.

ასევე მარცხენაფლანგელმა და ასევე ნაკრებში ნათამაშებმა **გიორგი ნავალოვსკიმ** კი კემეროვოს "მეტალურგკუზბასი" დატოვა და ახალ კლუბს ეძებს.

### ნახევარმცველები

ვარჯიში განაახლა **გიორგი გუგავამ**, რომელიც ასევე ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა, მაგრამ ტრავმის გამო, ბოლო ორი წელი გაუცდა. 23 წლის პლეიმეიკერს უთამაშია თბილისის "დინამოსა" და ესპანეთის მესამე ლიგაში, ახალგაზრდულ ნაკრებში ჩატარებულ 4 შეხვედრაში 2 გოლი გაიტანა, მათ შორის, 2009 წელს ევროშესარჩევ ციკლში თურქეთის ნაკრებთან, რომელიც **ოთარ გაბელიას** გაწვრთნილთა გამარჯვებით (4:0) დასრულდა.

მართალია, თავისუფალი აგენტი არ არის, მაგრამ ახალი გუნდის ძიება მოუწევს ვლადიკავკაზის „ალანიასა" და საქართველოს ნაკრების საყრდენ ნახევარმცველს **შოთა გრიგალაშვილს**. რამდენიმე ხნის წინ ვწერდით, რომ ვლადიკავკაზელებმა ბორისოვის "ბატედან" ბელარუსის ნაკრების ბრაზილიელი ნახევარმცველი **რენან ბრესანი** სწორედ ჩვენებურის პოზიციაზე შეიძინეს. სამწუხაროდ, ვარაუდი გამართლა, 26 წლის ქართველი საყრდენი ტრანსფერზე დააყენეს და ახალი კლუბის ძიება მოუწევს.

ცხადია, გრიგალაშვილი ნებისმიერ ქართულ კლუბს გააძლიერებს. შოთას გარდა, „ალანიაში" ტრანსფერზე კიდევ 7 ფეხბურთელი დააყენეს. შეგახსენებთ, რომ გრიგალაშვილი „ალანიაში" ზაფხულში გადავიდა და პრემიერლიგაში 9 მატჩი ჩაატარა.

ცოტა ხნის წინ გახდა ცნობილი, რომ **ლევან გვაზავამ** „ხიმკი" დატოვა. 32 წლის გამოცდილი ნახევარმცველი რუსეთის ნაციონალური ლიგის (პირველი ლიგა) გუნდში მიმდინარე სეზონში გადავიდა და 10 მატჩში ერთი გოლი გაიტანა.

გვაზავა უკვე ვეტერანია, მაგრამ ეს საყრდენი ჩამოსაწერ ასაკში ნამდვილად არ არის. გვაზავას ეროვნულ ნაკრებსა და რუსეთის პრემიერლიგაში ისეთი გამოცდილება აქვს დაგროვებული, არც ერთ ქართულ კლუბს რომ არ აწყენდა.

თავისუფალი აგენტი გახდა მოლდოვის "ისკრა-სტალის" ფეხბურთელი **სანდრო შუღლაძე**. 22 წლის ცენტრალური ნახევარმცველი უკრაინის მოქალაქეა, სევასტოპოლის სპორტული სკოლის აღზრდილია და 2007 წელს მოხვდა უკრაინის პირველი ლიგის „სევასტოპოლში", რომლის ძირითად შემადგენლობაშიც 2007-2011 წლებში თამაშობდა, მოლდოვურ კლუბ „ისკრა-სტალში" კი 2011 წლის ზამთარში იჯარით გაუშვეს და მოლდოვის თასის მფლობელი გახდა. მაგრამ ახლა კონტრაქტი "სევასტოპოლთანაც" ამოეწურა და თავისუფალი აგენტია.

ტალინის "ფლორას" თავაწეული ემშვიდობება **ზაქარია ბეგლარიშვილი**. 22 წლის პლეიმეიკერს კონტრაქტი ეწურება, გასულ სეზონში კი 17 გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში მე-3 ადგილზე გავიდა.

საერთოდ, ნახევარმცველებს დიდი არჩევანი გვაქვს, რადგან "ზესტაფონმა" გამოცდილი ფეხბურთელების, **თორნიკე აფციაურისა** და **ზურაბ მენთეშაშვილის** გაშვებაც გადაწყვიტა.

### თავისუფალი შემტევები

სატრანსფერო პერიოდს თავისუფალი აგენტის სტატუსით ხვდება **კობა შალამბერიძე**, რომელიც ფლანგის შემტევია. 27 წლის ფეხბურთელი პოლონეთის ვოძისლავის „ოდრაში" თამაშობდა. ორი წლის წინ, უმაღლეს ლიგაშიც ითამაშა და ერთ-ერთ პოლონურ გაზეთში იმ ზამთრის ტოპ-10 ტრანსფერს შორის დაასახელეს.

მერე ცხინვალის "სპარტაკში" ითამაშა და გასულ ზამთარს ისევ პოლონეთში წავიდა - ამჯერად შვინოუშცის "ფლოტაში" ჩაირიცხა, პრეზენტაციაზე 10-ნომრიანი მაისურა გადასცეს, მაგრამ ქართველი ლეგიონერის შესახებ მწვრთნელისა და დირექტორის აზრი გაიყო – პირველს მისი თამაში სურდა, რასაც დირექტორი ეწინააღმდეგებოდა და საშემოდგომო ეტაპის დასრულების შემდეგ შალამბერიძემ "ფლოტა" დატოვა. არადა, თასზე (მეოთხედფინალამდე არიან მისულები) და ლიგის თასზე ათამაშა. ამ უკანასკნელზე 3 შეხვედრაში 5 გოლი შეაგდო და 4 საგოლე პასი გააკეთა (?!), მაგრამ ჩემპიონატში მაინც სკამზე იჯდა.

ახლა კობა საქართველოშია, ცხინვალის "სპარტაკში" დროებით ფორმის შესანარჩუნებლად ვარჯიშობს და წინადადებებს ელოდება.

ასევე უგუნდოდ დარჩა ცენტრალური თავდამსხმელი **კოკა მიკუჩაძე**, თბილისის "დინამოს", "თბილისის", "ოლიმპის" და "სიონის" ყოფილი თავდამსხმელი. 31 წლის მიკუჩაძე ბოლოს ისრაელის პირველი ლიგის კლუბში თამაშობდა.

თუმცა, ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნასთან ერთად, ეს სია კიდევ უფრო განივრცობა.

### უგუნდოთა სიმბოლური ნაკრები (4-1-4-1)

*მამალაძე (ნადირაძე) — ნავალოვსკი, ცინცაძე, კალანდაძე, ელიავა, — გვაზავა (შუღლაძე) — შალამბერიძე, ბეგლარიშვილი, შ. გრიგალაშვილი, აფციაური (გუგავა), მენთეშაშვილი — მიკუჩაძე*

**მერაბ მამულაშვილი**

## ქართული ფეხბურთი

### საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა, XVII ტური

# პირველლიგელი ბომბარდირი სოლიდური კლუბების სამიზნეში

## გიორგი ქვილითაია: დინამო, ზესტაფონი თუ უცხოეთი?

საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში საშემოდგომო ეტაპი დასრულდა. ყველასათვის მოულოდნელი აღმოჩნდა "ნორჩი დინამოს" ბაზაზე აღმოცენებული ახალგაზრდული "სასკოს" წარმატებული თამაში.

გუნდს გამოცდილი სპეციალისტი, თენგიზ კაცია ავარჯიშებს, რომელსაც წლების განმავლობაში, საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში უმუშავია. მისმა გაწვრთნილებმა ბევრად უფრო შეძლებულ გუნდებს გადაასწრეს, 17 ტურის შემდეგ მოპოვებული 40 ქულით A ზონაში მეორე ადგილზე დამკვიდრდნენ და ლიდერ ლანჩხუთის "გურიას" მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩებიან. ასე რომ, გუნდს უმაღლეს ლიგაში გადასვლის საკმაოდ დიდი შანსი აქვს.

"სასკო" ყურადღებას სხვა იმითაც იქცევს, რომ შემტევ ფეხბურთს აჩვენებს – ამაზე მეტყველებს 17 მატჩში გატანილი 55 გოლი, ანუ თამაშში საშუალოდ 3 გოლზე მეტი. ამ მაჩვენებლით "სასკო" მხოლოდ "დინამო 2"-ს (56 გოლი) ჩამორჩება.

სწორედ ამ გუნდების შეხვედრით დასრულდა საშემოდგომო ეტაპი, რომელშიც "სასკომ" 4:0 გაიმარჯვა. დუბლი გიორგი ქვილითაიამ შეასრულა, რომელიც დღეისათვის პირველი ლიგის ბომბარდირი და ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მოთამაშეა, თუ ყველაზე საინტერესო არა. ამ მართლაც უჩვეულო შედეგიანობით, გიორგი ქვილითაიამ ქართული ფეხბურთის ლიდერთა ყურადღება დაიმსახურა.

თავად განსაჯეთ: 19 წლის ტანმაღალმა თავდამსხმელმა (191 სმ) 16 შეხვედრაში მეტოქეთა კარი 22-ჯერ აილო! გასაოცარი შედეგია ახალგაზრდა მოთამაშისთვის, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ პირველ ლიგაში მაღალი დონე ნამდვილად არ არის. ველარც ვიხსენებთ, ბოლოს ასეთი შედეგიანობით რომელმა ახალგაზრდამ დაგვამახსოვრა თავი.

გიორგი ქვილითაია 1993 წლის 1 ოქტომბერს აბაშაში დაიბადა. მამამისი, მამუკა ქვილითაიაც ყოფილი ფეხბურთელია, უთამაშია თბილისის "დინამოს" დუბლებში, ქუთაისის "ტორპედოსა" და ხობის "კოლხეთში". გიორგიმ ვარჯიში აბაშაში დაიწყო, მაგრამ 14 წლის იყო, "ნორჩ დინამოში" თენგიზ კაციამ რომ გადაიყვანა და დღემდე მისი ხელმძღვანელობით ვარჯიშობს.

**- დასამალი არ არის, რომ შედეგიანი თამაშით სპეციალისტების ყურადღება მიიქციე.**

- შეიძლება, ბევრმა თქვას, რომ პირველ ლიგაში მაღალი დონე არ არის, მაგრამ ძალიან მძიმე თამაშებია. თანაც, "სასკოში" ახალგაზრდული შემადგენლობა გვყავს, სულ 18-19 წლის ბიჭები ვთამაშობთ და გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდების წინააღმდეგ თამაში იოლი ნამდვილად არ არის.

მაგრამ, "სასკო" შეთამაშებული გუნდია, უკვე 5-6 წელია, რაც ბიჭები ერთად ვიზრდებით და ერთმანეთს უსიტყვოდ ვუგებთ. შარშან რეგიონულ ლიგაში გავიმარჯვეთ და პირველში ასე დავწინაურდით. სხვათა შორის, მაშინ ტრავმების გამო, მხოლოდ 17 შეხვედრა ჩავატარე, მაგრამ 25 გოლი მაინც გავიტანე.

**- საქართველოში მომზადებით ამ ტემპის შენარჩუნება ძნელი არ არის?**

- სამწუხაროდ, საქართველოში კარგი მოსამზადებელი პირობები მხოლოდ ორიოდე გუნდს აქვს. მაგრამ გააჩნია, ვისთან ვარჯიშობ. წლებია, რაც თენგიზ კაცია მზრდის და მისგან ძალიან ბევრი რამ შევიძინე. ძალიან ბევრს ნიშნავს სათამაშო პრაქტიკაც, ეს ყველაზე უკეთეს ვარჯიშზე უკეთესია.

**- წარმატებული სეზონი გაქვს და ძნელი წარმოსადგენია, პირველ ლიგაში დარჩე.**

- 100 პროცენტით გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ უნდა წავიდე. ზამთრის შესვენებაზე ბევრი რამ გაირკვევა. ქართველი მენეჯერები გუგა კაჭახიძე, ლადო მუსერიძე და ბესო აბაშიძე უცხოეთში სინჯებს მთავაზობენ და ვნახოთ. ჯერ გუნდის სახელს მეც არ მეუბნებიან.

**- უცხოეთში ხომ ადრეც ისინჯებოდი?**

- 2011 წლის მაისში დანიურ "რანდერსში" ვიყავი, მაგრამ გუნდი სუპერლიგიდან გავარდა და აღარ დავრჩი. შარშან ოქტომბერში კი "ზალცბურგში" ვვარჯიშობდი. მერე ავსტრიელები ნაკრებში დაკვირვებას აპირებდნენ, მაგრამ ტრავმის გამო ვერ ვითამაშე და ეს ვარიანტი გამოირიცხა.

ახლა მითხრეს, რომ ქართული კლუბებიც მიწვევენ.

**- რომელი კლუბები დაინტერესდნენ?**

- მე რაც ვიცი, "ზესტაფონი" და თბილისის "დინამო".

**- უცხოეთში გასინჯვაზე სიარულს საქართველოში გარანტირებული კონტრაქტი არ გირჩევნია?**

- არც ერთ კლუბს ჩემი დასაწუნი არაფერი სჭირს. "ზესტაფონსა" და "დინამოში" თამაში ჩემი ასაკის ფეხბურთელისთვის ძალიანაც კარგი იქნება. მაგრამ ამ კლუბებშიც კარგად გამიგებენ, უცხოეთში წასვლის იმედი რომ

გიორგი ქვილითაია



გაქვს, ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვა. თუმცა, ჯერ ზუსტად არც ვიცი, ზამთარში სად ვითამაშებ.

**- შენი გვარი აქამდეც ბევრჯერ გაჟღერებულა, მაგრამ უცნაურია, რომ ასაკობრივ ნაკრებებში ოფიციალური თამაშები არ ჩაგიტარებია.**

- 2010 წელს გიორგი დევდარიანმა 19-წლამდელთა ნაკრებში მიმიწვია და ირლანდიის ოთხთა ტურნირზე 3 შეხვედრა ჩავატარე, მაგრამ გოლი არ გამიტანია. სხვათა შორის, მითხრეს, რომ ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელობა დაინტერესდა და ძალიან გამიხარდა. იმედია, ნაკრების ფორმით ვითამაშებ და თავის გამოჩენას იქაც მოვახერხებ.

### კომენტარი

კომენტარი "სასკოს" მწვრთნელს, **თენგიზ კაციასაც** ჩამოვართვით: *"ახალგაზრდა ფეხბურთელზე ლაპარაკს ყოველთვის ვერიდები. წარსულის გამოცდილება მკარნახობს, რომ ქება ბევრს წყენს და თავში უვარდებათ. მაგრამ გიორგი ქვილითაია ახლა ისეთ კარგ ფორმაშია, რომ დროა, ის სპეციალისტებმა გაიცნონ. მეც მეეჭვება, ასეთი პერსპექტიული მოთამაშე პირველი ლიგის კლუბში დატოვონ. მჯერა, რომ გიორგის გოლეადორული თვისებების გამოვლენა ბევრად უფრო მაღალ დონეზე შეუძლია. გიორგით დაინტერესებულები არიან "დინამო", "ზესტაფონი", "ტორპედო", უცხოური კლუბებიც და იმედია, მალე გულშემატკივრები უკეთ გაიცნობენ".*

**მერაბ მამულაშვილი**

### A ჯგუფი

**მესხეთი – ჭიათურა 2:0**

02.12. ტყიბული. "ვ. ბოჭორიშვილი". 100 მაყურებელი

1:0 ი. მოისწრაფიშვილი (20), 2:0 ჯ. ავალიშვილი (32)

მესხეთი: ო. ორბელაძე, ი. გვეტაძე (46. მ. კოპალიანი), გ. გვენეტაძე, ლ. შავგულიძე, ნ. უგრეხელიძე (50. თ. ჭელიძე), თ. გოგიჩაძე, გ. ჩხეტიანი, ბ. კოლუაშვილი, მ. მოისწრაფიშვილი (56. ლ. მაჩალაძე), ჯ. ავალიშვილი, ბ. ჯაშიაშვილი

*სათადარიგოები:* ა. სახელაშვილი, გ. ბერძენაძე

მწვრთნელი: დ. რუხაძე

ჭიათურა: ზ. ჯაფარიძე, გ. მეცხოვრიშვილი, დ. შეყილაძე, დ. მოდებაძე, ბ. ჭუმბაძე, ი. ცერცვაძე, ა. ბაბლიძე, ლ. კუჭაშვილი, დ. სევასტოპულო, გ. სამყურაშვილი, ს. გაბაძე

*სათადარიგოები:* გ. ბადურაშვილი, გ. სტეფანიშვილი, თ. ჯაჯანიძე

მწვრთნელი: მ. კიპაროიძე

გაფრთხილება: გ. გვენეტაძე; ა. ბაბლიძე, დ. სევასტოპულო

გაძევება: ა. ბაბლიძე

არბიტრი: შ. ქუხილავა

**სტუ – გაგრა 4:6**

04.12. თბილისი. "შატილი". 100 მაყურებელი.

0:1 ჯ. ჯერემია (3), 1:1 გ. ჯიშკარიანი (31), 1:2 დ. ვოლკოვი (38), 2:2 ა. ბაგაშვილი (48, პენალტით), 3:2 გ. გოგატიშვილი (52), 3:3, 3:4 ჯ. ჯერემია (53, 65), 3:5 დ. ვოლკოვი (65), 4:5 ა გოდუაძე (80), 4:6 ჯ. ჯერემია (90)

სტუ: დ. მეფარიძე (60. გ. ელბაქიძე), ნ. ბინკინაშვილი, ზ. ჭავჭავაძე, დ. ქიმერიძე, გ. ჯიშკარიანი (71. გ. თვალავაძე), გ. ბიბილეიშვილი, ო. გაგნიძე, ა. გოდუაძე, ა. ბაგაშვილი, გ. გოგატიშვილი, ი. ფიფია (76. კ. კახაბრიშვილი)

*სათადარიგოები:* დ. ყაველაშვილი, ჯ. კოლუა, ლ. ციკოლია, შ. გვაზავა

მწვრთნელი: გ. ყორყოლიანი

გაგრა: ა. ადამია, ი. ხუციძე, გ. პაჭკორია, გ. ალავიძე (33. რ. რატიანი), გ. ფალავანდიშვილი, გ. ჯგერენაია, ნ. ხოჯაშვილი, ლ. ჩიფჩიური (58. გ. ერისთავი), ა. ივანიშვილი (68. ს. მალანია), ჯ. ჯერემია, დ. ვოლკოვი

*სათადარიგოები:* ბ. ხოჯანაშვილი. გ. სანიკიძე, რ. წანკრიალაშვილი, თ. ფერცელიძე

მწვრთნელი: ზ. ჯელაძე

გაფრთხილება: გ. ბიბილეიშვილი; გ. ჯგერენაია

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

**ბეთლემი – სულორი 2:1**

04.12. ძეგლა. "ცენტრალური". 100 მაყურებელი

1:0 ლ. კალანდაძე (10), 2:0 ი. ნაჭყებია (36), 2:1 თ. მაღლაკელიძე (71)

ბეთლემი: ლ. ბექთაშევი, ლ. კალანდაძე, გ. ხაჩიძე, ვ. კუნჭულია, ი. ჩხაიძე, ი. ნაჭყებია, ვ. დარჩიძე, დ. ჯალაღანია (89. მ. კაკაბაძე), გ. კახიანი, ი. ბარამიძე, მ. დავითაძე

*სათადარიგოები:* ა. ასამბაძე, კ. ქაცარავა, თ. თედორაძე, ვ. რუხაძე, ზ. კეკელიძე, ზ. სეიდიდი

მწვრთნელი: ე. კაკაბაძე

სულორი: შ. ლვინიანიძე, ზ. ენდელაძე, ა. ქებულაძე, მ. დვალიშვილი (75. ლ. გაბუნია), გ. ბრეგვაძე, დ. ივანიაძე, ა. როხვაძე, თ. ძაგნიძე, თ. მაღლაკელიძე, გ. ნიკოლეიშვილი, შ. ბაბუნაშვილი

*სათადარიგოები:* დ. ოდიშარია, გ. ბალდავაძე, გ. გიგაშვილი, გ. თევზაძე, ნიკა გიორგაძე, თ. მატარაძე

მწვრთნელი: რ. ბურკაძე

გაფრთხილება: ა. როხვაძე

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

**სასკო – დინამო-2 4:0**

05.12. თბილისი. "შატილი". 100 მაყურებელი

1:0 შ. ფირუზაშვილი (1), 2:0 გ. ქვილითაია (8), 3:0 ო. ჩაფიძე (70), 4:0 გ. არახამია (83)

სასკო: ა. ნონოსი, დ. აბესაძე, შ. ფირუზაშვილი. თ. ქორჩილავა (46. თ. ჩარგეიშვილი), ო. ჩაფიძე (85. გ. ჯინიკაშვილი), გ. არახამია, ბ. ქარდავა (65. კ. ახალაია), ი. ქავთარაძე, გ. ჩუბინიძე, ზ. ქარდავა, გ. ქვილითაია

*სათადარიგოები:* ა. გომელაური. გ. პაპუნაშვილი, პ. მოსემღვდლიშვილი, თ. გაფრინდაშვილი

მწვრთნელი: თ. კაცია

დინამო-2: ტ. ხაინდრავა, ო. კაკაბაძე, თ. კაკულია, გ. სამხარაძე, ა. მანაგაძე, გ. პაპუნაშვილი (75. ბ. მუმლაძე), ჭ. ჭეჭელაშვილი, ა. რეხვიაშვილი, ბ. ზივზივაძე (56. კ. გაბაშვილი), ვ. ფოცხვერია (79. ბ. რუხაძე), ვ. მათიაშვილი

*სათადარიგოები:* გ. ჯავახიშვილი, გ. ნიკვაშვილი, ლ. ისიანი, ლ. საბაძე

მწვრთნელი: რ. მუმლაძე

გაფრთხილება: ი. ქავთარაძე, გ. ქვილითაია; გ. სამყურაშვილი, ვ. ფოცხვერია

გაძევება: ი. ქავთარძე, თ. ჩარგეიშვილი; ა. რეხვიაშვილი, კ. გაბაშვილი

არბიტრი: გ. ყრუაშვილი

**სქური – იმერეთი 2:1**

04.12. წალენჯიხა. "ს. კვარაცხელია". 250 მაყურებელი

0:1 გ. გოდერიძე (34), 1:1 გ. სართანია (85), 2:1 ლ. ბოჯგუა (90).

სქური: ნ. ჯოლოგუა, ჯ. ყურუა, ა. მიქენაია, ზ. ღარიბაშვილი, ი. ქარდავა (46. რ. ცობეხია), ლ. გაბუნია, ლ. ბოჯგუა, გ. სართანია, ნ. არახამია (90. გ. ლუკავა), გ. კვირკვია (46. ვ. შეროზია), ნ. ლვინჯილია.

*სათადარიგოები:* რ. ჩიტაია, ტ. ხარჩილავა

მწვრთნელები: ნ. ბოჯგუა

იმერეთი: ს. მეძველია, ვ. ბრეგაძე, გ. ხელაძე, ლ. გაჩეჩილაძე, დ. გოდერიძე (58. დ. სულაბერიძე), ა. ტყეშელაშვილი, გ. გოდერიძე, დ. კუხალაშვილი, ნ. ჩიხლაძე (66. დ. სვანაძე), მ. აშვეთია (46. გ. ხვიჩია), გ. მანაგაძე

*სათადარიგოები:* დ. ხაბურზანია, ზ. სადილიანი, თ. ვაშაკიძე, გ. ნიქაბაძე

მწვრთნელი: დ. ჭელიძე

გაფრთხილება: ი. ქარდავა, ლ. გაბუნია, დ. ბოჯგუა, ზ. ღარიბაშვილი; ლ. გაჩეჩილაძე, ს. მეძველია, გ. ხვიჩია, ა. ტყეშელაშვილი

გაძევება: ლ. გაბუნია

არბიტრი: გ. დოგრაშვილი

**რაჭა – გურია 0:2**

04.12. ონი. "ცენტრალური". 100 მაყურებელი

0:1 გ. თოდუა (14), 0:2 გ. კვერენჩხილაძე (40)

რაჭა: ი. ხვედელიძე, გ. გოგრიჭიანი, დ. ბაქრაძე (46. ლ. ჩაგელიშვილი), გ. შარაბიძე, ლ. ჯანგიძე, გ. ბაგალიშვილი,. ა. გურაბანიძე, ლ. მიქაბერიძე, გ. მაისაშვილი, ლ. ქურციკიძე, თ. კოხრეიძე

*სათადარიგოები:* გ. მარგიანი, ი. რეხვიაშვილი

მწვრთნელი: ე. ჩიტალაძე

გურია: გ. ძაძამია, ა. ჩუენსუ, ზ. კვარაცხელია, ბ. წერეთელი, გ. მაჩაიძე. დ. მაისაშვილი, ა. გოგობერიშვილი (46. ს. ფირცხალაიშვილი), ლ. ვართაგავა, ა. შენგელია (68. ჯ. გოგიბერიძე), გ. თოდუა, გ. კვერენჩხილაძე (46. გ. შენირული)

*სათადარიგოები:* ლ. იაშვილი, გ. გოგუაძე

მწვრთნელი: თ. ლორია

არბიტრი: დ. სანოძე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 17 | 14 | 2 | 1 | 49-12 | 44 |
| 2. სასკო | 17 | 13 | 1 | 3 | 55-17 | 40 |
| 3. გაგრა | 17 | 12 | 1 | 4 | 35-15 | 37 |
| 4. დინამო-2 | 17 | 10 | 3 | 4 | 56-29 | 33 |
| 5. ძეგლა | 17 | 8 | 1 | 8 | 24-33 | 25 |
| 6. სტუ | 17 | 7 | 1 | 9 | 38-48 | 22 |
| 7. იმერეთი | 17 | 6 | 3 | 8 | 17-23 | 21 |
| 8. სქური | 17 | 5 | 6 | 6 | 17-24 | 21 |
| 9. მესხეთი | 17 | 5 | 3 | 9 | 20-43 | 18 |
| 10. ჭიათურა | 17 | 4 | 3 | 10 | 17-31 | 15 |
| 11. რაჭა | 17 | 2 | 2 | 13 | 16-37 | 8 |
| 12. სულორი | 17 | 2 | 2 | 13 | 14-46 | 8 |

**ბომბარდირები:**

| | |
|---|---|
| გიორგი ქვილითაია (სასკო) | 22 |
| გიგა კვერენჩხილაძე (გურია) | 16 |
| ავთანდილ ბაგაშვილი (სტუ) | 12 |
| ჯონ ჯერემია (გაგრა) | 12 |
| ბუდუ ზივზივაძე (დინამო) | 12 |

### B ჯგუფი

**ლოკომოტივი – სამტრედია 6:2**

05.12. საგურამოს სპორტკომპლექსი. 50 მაყურებელი

1:0, 2:0 დ. ჯიქია (3, 5), 3:0 გ. გოროზია (12), 4:0, 5:0 დ. ჯიქია (19, 30), 6:0 ა. მზევაშვილი (60), 6:1 მ. როსტიაშვილი (85), 6:2 ბ. ახობაძე (90).

ლოკომოტივი: ბ. ტყემალაძე, დ. მთივლიშვილი (46. ლ. კიკაბიძე), გ. გოროზია, გ. გაბაძე, ნ. ჭანტურია (61. გ. ბაქრაძე), გ. მაკასარაშვილი, მ. ცინცაძე, ე. სულთანიშვილი (46. გ. გურეშიძე), დ. ჯიქია, დ. დარციმელია, ა. მზევაშვილი

*სათადარიგოები:* ლ. რეხვიაშვილი, ჯ. ყანჩაშვილი, ბ. საჯაია, ა. გუგუშვილი

მწვრთნელი: გ. სანაია

სამტრედია: ნ. ბანძავა, ა. კუპრეიშვილი, ს. გოგია, დ. ჩხიკვაძე, დ. სამსეიშვილი, ბ. გედენიძე (27. ბ. ახობაძე), ა. დვალიშვილი, ლ. ხაჭაპურიძე, თ. კიკაბიძე, შ. კერძევაძე (46. ზ. ქურდობაძე), მ. როსტიაშვილი

*სათადარიგო:* ი. შენგელია

მწვრთნელი: ლ. მეგენეიშვილი

გაფრთხილება: ბ. ტყემალაძე; მ. როსტიაშვილი

გაძევება: ბ. ტყემალაძე

არბიტრი: ა. ბასლეხლო

**მერცხალი – შუქურა 1:1**

05.12. ოზურგეთი. "ცენტრალური". 200 მაყურებელი

1:0 ს. გ. ჩიგოგიძე (21), 1:1 მ. კოპალიანი (89)

მერცხალი: გია გოგუა, გ. ხამაშურიძე, ს. გ. ჩიგოგიძე, ვ. ტუტოიანი, ზ. ტულუში, ზ. ხურციძე, გ. მექვაბიშვილი, ს. ვ. ჩიგოგიძე, გ. მალაზონია, ლ. კოტრიკაძე (53. გ. კაშია), ვ. ჯაყელი

*სათადარიგოები:* გ. გოგუა, გ. პაპკოვი, ი. ბაჯელიძე, ი. კალაჯიშვილი, ლ. კალაჯიშვილი, ჯ. ჭაფოძე

მწვრთნელი: ხ. ჩხატარაშვილი

შუქურა: თ. კაკალაძე, ი. ბრაჭული, ა. გოგიტიძე, ლ. მახარაძე, დ. გაბელია, გ. ჩხიკვიშვილი, ი. ხუჭუა, მ. კოპალიანი, გ. ჩელებაძე, მ. კაკალაძე (46. ლ. ანანიძე), ი. ტაკიძე (70. ვ. ცენტერაძე)

*სათადარიგოები:* გ. ფევაძე, გ. ზოიძე, გ. ქათამაძე, მ. ფუტკარაძე, ნ. გოგიტიძე

მწვრთნელი: ა. ბალაძე

გაფრთხილება: გ. ხამაშურიძე, ვ. ჯაყელი; ი ხუჭუა, ა. ბრაჭული, მ. კოპალიანი, ლ. მახარაძე

გაძევება: ი. ხუჭუა

არბიტრი: ზ. ტულუში

**სპარტაკი – კოლხეთი (ხ) 2:1**

05.12. თბილისი. "ბენდელა". 200 მაყურებელი

0:1 დ. ციცხვაია (16), 1:1 უ. ბურძენაძე (23), 2:1 ვ. კილასონია (52)

სპარტაკი: გ. ნადირაძე, ლ. ქურდაძე, ლ. ჭაფოძე, უ. ბურძენაძე, ლ. თვალავაძე, თ. შონია, თ. თუხარელი (90. თ. მაქაცარია), გ. ლემონჯავა, ვ. კილასონია, დ. გელაშვილი (83. კ. კაკაშვილი), ზ. მეტრეველი (90. გ. ხარაზიშვილი)

*სათადარიგოები:* გ. ვაშაკიძე, ა. ხალიევი

მწვრთნელი: ვ. ხაჩიძე

კოლხეთი: მ. ძიძიგური, გ. ქირია (87. კ. გოგენია), გ. გოგენია, დ. ჭითანავა, ლ. გოგენია, გ. ფარფალია, ვ. ფირცხელავა, ლ. მეფიშვილი, ლ. ჯიქიძე (79. თ. ლლონტი), მ. ჭკადუა (53. პ. გაბრავა), დ. ციცხვაია

*სათადარიგოები:* ი. გერგაია, ლ. ქაშიბაძე, ზ. გელაშვილი

მწვრთნელი: ბ. შეროზია

გაფრთხილება: უ. ბურძენაძე, გ. ნადირაძე; ლ. ჯიქიძე, ვ. ფირცხელავა, დ. ციცხვაია

არბიტრი: თ. ხუჭუა

**ლიახვი – ჩხერიმელა 2:0**

06.12. თბილისი. "შატილი". 100 მაყურებელი

1:0 გ. თოლორდავა (40), 2:0 ზ. ჭადაშვილი (87)

ლიახვი: ა. ბარნაბიშვილი, გ. მინდორაშვილი, ვ. კეკელია, ლ. ქანთარია (46. ა. ქელიხაშვილი), მ. ჯიქია, დ. ბარნაბიშვილი, გ. ლობჟანიძე (71. ნ. ლიპარიშვილი), გ. თოლორდავა, ლ. კომლაძე, ზ. ჭადაშვილი, თ. აზიკური (81. მ. ხუბიაშვილი)

*სათადარიგოები:* კ. გაბუნია, ლ. კოპალიანი, ს. ძებისაშვილი, თ. გოგიძე

მწვრთნელი: უ. ქანთარია

ჩხერიმელა: გივი კიკნაძე, თ. ლურსმანაშვილი, თ. კიკნაძე, ე. ბ. თურმანიძე, გ. არევაძე (71. ლ. გუმბერიძე), ვ. აფციაური, ი. ჩუბინიძე, ნ. ბერაძე, შ. სვანიძე (46. ლ. ლონლაძე), გიორგი კიკნაძე, ლ. კიკნაძე

*სათადარიგოები:* დ. კოსტავა, ო. ჩინჩალაძე

მწვრთნელი: ლ. ჭყოიძე

გაფრთხილება: ზ. ჭადაშვილი, გ. თოლორდავა; ი. ჩუბინიძე, გიორგი კიკნაძე, ნ. ბერაძე

გაძევება: გიორგი კიკნაძე, ი. ჩუბინიძე

**სამგურალი – ადელი 7:2**

05.12. ქუთაისი. "ტორპედოს" საწვრთნელი ბაზა. 100 მაყურებელი

1:0 ზ. სალინაძე (6), 2:0 მ. ჩხარტიშვილი (12), 3:0 თ. კაპანაძე (29), 4:0 გ თევდორაძე (49), 5:0 ვ. ფანცხავა (58), 6:0 თ. კაპანაძე (59), 6:1 ლ. კოშაძე (62), 7:1 თ. კაპანაძე (73), 7:2 ა. ფარტენაძე (74)

სამგურალი: ლ. გორდეზიანი, ბ. ბიბილაშვილი, ბ. ხაჭიპერაძე, მ. ჩხარტიშვილი, ზ. სალინაძე, თ. კაპანაძე, ხ. უგრეხელიძე (60. ა. ფანცხავა), ა. მეტონიძე, ი. ხვადაგიანი, ლ. ყიფიანი (56. ვ. ფანცხავა), გ. თევდორაძე.

*სათადარიგოები:* დ. მემარნიშვილი, ლ. ნავერიანი, ნ. ბაბუნიძე, ზ. ჩიხლაძე, ზ. კუხალაშვილი

მწვრთნელი: გ. გოგიაშვილი

ადელი: გ. შერვაშიძე, გ. ფალავანდიშვილი, ვ. სიორდია, თ. ნადირაძე, ა. ფარტენაძე, ნ. დავითაძე (75. თ. გიორგაძე), თ. მჟავანაძე, ბ. ჯუგაშვილი, თ. ხაბელაშვილი (46. დ. რუხაია), გ. სირაბიძე (70. ე. ერქომაიშვილი), ლ. კოშაძე

*სათადარიგო:* გ. თურმანიძე

მწვრთნელი: ო. ნაგერვაძე

გაფრთხილება: გ. ფალავანდიშვილი

არბიტრი: ზ. ანიაშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 16 | 14 | 1 | 1 | 42-8 | 43 |
| 2. კოლხეთი (ხბ) | 15 | 11 | 1 | 3 | 24-13 | 34 |
| 3. შუქურა | 16 | 9 | 3 | 4 | 26-12 | 30 |
| 4. ლოკომოტივი | 16 | 8 | 3 | 5 | 40-21 | 27 |
| 5. სამტრედია | 15 | 7 | 2 | 6 | 20-20 | 23 |
| 6. სამგურალი | 16 | 6 | 5 | 5 | 34-26 | 23 |
| 7. ზოოვეტი | 15 | 6 | 3 | 6 | 21-22 | 21 |
| 8. მერცხალი | 15 | 3 | 6 | 6 | 21-21 | 15 |
| 9. ლიახვი | 16 | 3 | 4 | 9 | 15-34 | 13 |
| 10. ადელი | 15 | 2 | 0 | 13 | 18-47 | 6 |
| 11. ჩხერიმელა | 15 | 2 | 0 | 13 | 14-51 | 6 |

**ბომბარდირები:**

| | |
|---|---|
| თორნიკე კაპანაძე („სამგურალი") | 15 |
| დავით ჯიქია („ლოკომოტივი") | 12 |
| დავით გელაშვილი („სპარტაკი") | 10 |
| ზვიად მეტრეველი („სპარტაკი") | 9 |
| მერაბ კოპალიანი („შუქურა") | 8 |

*შენიშვნა: I ლიგის გათამაშება განახლდება 2013 წლის მარტიდან.*

არგენტინა. ტორნეო ინისიალი. ბოლო ტური.

# ლეგენდები მიდიან და მოდიან

**ოლ ბოისი–არსენალი 0:1**

გოლი: 0:1 სელაია (19).

**უნიონი–რასინგი 1:1**

გოლები: 1:0 კორეა (70), 1:1 სენტურიონი (90).

**არ. ხუნიორსი–ნიუელსი 1:3**

გოლები: 0:1 ვ. ფიგეროა (20), 0:2 სკოკო (39), 1:2 ანანგონო (59), 1:3 სკოკო (90).

**ბოკა–გოდოი 2:1**

გოლები: 0:1 კუპერი (60), 1:1 გ. ფერნანდესი (64), 2:1 ბლანდი (90).

**ბელგრანო–ესტუდიანტესი 1:0**

გოლი: 1:0 კ. პერესი (88-პენ).

**ატლ. რაფაელა–ველესი 0:3**

გოლები: 0:1 ფ. ფერეირა (35), 0:2 პრატო (83), 0:3 ფ. ფერეირა (87-პენ).

**ლანუსი–სან ლორენსო 0:0**

**ინდეპენ.–კოლონი 2:2**

გოლები: 1:0 ო. ფერეირა (2), 1:1 ჟიგლიოტი (48), 1:2 ჟიგლიოტი(52), 2:2 ფარიასი (64).

**სან მარტინი–რივერი 0:2**

გოლები: 0:1 ლანსინი (59), 0:2 კ. სანჩესი (65).

კილმესი-ტიგრე გადაიდო

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ველესი | 19 | 13 | 2 | 4 | 31-12 | 41 |
| 2. ნიუელსი | 19 | 9 | 9 | 1 | 23-11 | 36 |
| 3. ბელგრანო | 19 | 10 | 6 | 3 | 22-13 | 36 |
| 4. ლანუსი | 19 | 10 | 4 | 5 | 23-10 | 34 |
| 5. რასინგი | 19 | 9 | 6 | 4 | 26-12 | 33 |
| 6. ბოკა | 19 | 9 | 6 | 4 | 25-20 | 33 |
| 7. არსენალი | 19 | 9 | 4 | 6 | 19-22 | 31 |
| 8. რივერი | 19 | 7 | 8 | 4 | 28-16 | 29 |
| 9. ესტუდიანტესი | 19 | 8 | 4 | 7 | 19-16 | 28 |
| 10. კოლონი | 19 | 6 | 8 | 5 | 26-24 | 26 |
| 11. სან ლორენსო | 19 | 6 | 8 | 5 | 20-20 | 26 |
| 12. ოლ ბოისი | 19 | 5 | 6 | 8 | 19-27 | 21 |
| 13. ატლ. რაფაელა | 19 | 5 | 5 | 9 | 20-28 | 20 |
| 14. გოდოი კრუსი | 19 | 5 | 5 | 9 | 13-24 | 20 |
| 15. არ. ხუნიორსი | 19 | 4 | 7 | 8 | 19-29 | 19 |
| 16. კილმესი | 18 | 3 | 9 | 6 | 16-23 | 18 |
| 17. სან მარტინი | 19 | 4 | 5 | 10 | 21-27 | 17 |
| 18. ინდეპენდიენტე | 18 | 3 | 7 | 8 | 15-23 | 16 |
| 19. ტიგრე | 17 | 1 | 8 | 8 | 15-26 | 11 |
| 20. უნიონი | 19 | 0 | 7 | 12 | 16-33 | 7 |

**ბომბარდირები:** 13 – იგნასიო სკოკო (ნიუელს ოლდ ბოისი), ფაკუნდო ფერეირა (ველეს სარსფილდი); 10 – ემანუელ ჟიგლიოტი (კოლონი); 7 – მარტინ კაუტერუჩიო (კილმესი), ლუკას პრატო (ველეს სარსფილდი), დენის სტრაკვალურსი (სან ლორენსო).

**სარელეგაციო ცხრილი**

| | თ | ქ | საშ. |
|---|---|---|---|
| 15. სან ლორენსო | 95 | 117 | 1.232 |
| 16. ატ. რაფაელა | 57 | 70 | 1.228 |
| 17. სან მარტინი | 57 | 65 | 1.140 |
| 18. ინდეპენდიენტე | 94 | 106 | 1.128 |
| 19. კილმესი | 18 | 18 | 1.000 |
| 20. უნიონი | 57 | 57 | 1.000 |

**ლიბერტადორესის თასი**

ბოლო ორი ჩემპიონატის ჯამი

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ველესი | 38 | 22 | 8 | 8 | 57-26 | 74 |
| 2. არსენალი | 38 | 20 | 9 | 9 | 49-37 | 69 |
| 3. ნიუელსი | 38 | 18 | 14 | 6 | 49-30 | 68 |
| 4. ბოკა | 38 | 18 | 12 | 8 | 55-40 | 66 |
| 5. ლანუსი | 38 | 17 | 9 | 12 | 42-28 | 60 |
| 6. ბელგრანო | 38 | 16 | 12 | 10 | 39-33 | 60 |
| 12. ტიგრე | 36 | 11 | 14 | 11 | 44-41 | 47 |

**არგენტინის ჩემპიონატის ბოლო ტურს ინტრიგა საერთოდ არ ჰქონდა შემორჩენილი. გასარკვევი მხოლოდ ის იყო, ვინ გახდებოდა ტორნეო ინისიალის საუკეთესო ბომბარდირი, ფაკუნდო ფერეირა თუ იგნასიო სკოკო. საბოლოოდ, ორივე ამ ფეხბურთელმა დუბლი შეასრულა და ბომბარდირის ტიტული გაინაწილა.**

"ნიუელს ოლდ ბოისი" "არხენტინოს ხუნიორსს" ესტუმრა. **ხერარდო მარტინოს** შეგირდების ერთადერთი მიზანი იგნასიო სკოკოსთვის საგოლე შანსების შექმნა იყო. საბოლოოდ, გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა ორი გოლი გაიტანა და ერთი დღით ბომბარდირთა დავაში ერთპიროვნულად გალიდერდა. აღსანიშნავია, რომ სკოკომ მეორე გოლის დროს, საგოლე პასი ახალგაზრდა **ხუან ვიეირასგან** მიიღო, რომელიც ცვლილებაზე გამოვიდა და პრიმერაში დებიუტი საგოლე გადაცემით აღნიშნა.



"ველესის" ფეხბურთელები ტორნეო ინისიალის თასით

ჩემპიონი "ველეს სარსფილდი", რომელმაც ტორნეო ინისიალის მოგებით მეცხრე საჩემპიონო ტიტული მოიპოვა და გარდა ამისა, სეზონის ბოლოს ფინალში თამაშის უფლებაც გაინაღდა, "ატლეტიკო რაფაელას" სტუმრობდა. მიზანი აქაც იგივე იყო – ფაკუნდო ფერეირასთვის საგოლე შანსების შექმნა. "ნიუელსის" არ იყოს, მიზანს ჩემპიონმა მიაღწია: ფაკუნდომ ჯერ 35-ე წუთზე გაიტანა, შემდეგ კი 87-ე წუთზე დანიშნული პენალტი აქცია გოლად. სხვათა შორის, აქამდე მას პენალტით გატანილი არ ჰქონდა. ორი გოლის გარდა, ფერეირამ 35-ე წუთზე **ლუკას პრატოს** საგოლე პასიც გაუკეთა, ასე რომ, ბოლო ტურის გმირი სწორედ "ველესის" 21 წლის ფეხბურთელი იყო.

საინტერესო იყო "ბომბონერაზე" გამართული მატჩი "ბოკასა" და "გოდოი კრუსს" შორის. "ბოკა ხუნიორსის" რიგებში და საერთოდ კარიერაში უკანასკნელ მატჩს ატარებდა 39 წლის **როლანდო სკიავი**, მაგრამ ეს ამ შეხვედრის ერთადერთი ინტრიგა არ იყო: თუ შეხვედრის დასრულების შემდეგ, ქომაგებმა სკიავი გააცილეს, მატჩის დაწყებამდე ისინი "ბოკას" კიდევ ორ ლეგენდას, **მარტინ პალერმოს** და **რობერტო აბონდანსიერის** შეეგებნენ. დიახ, ორივე ეს ადამიანი ახლა მენდოსურ კლუბში მუშაობს – მარტინ პალერმო გუნდის მთავარი მწვრთნელია, "პატო" აბონდანსიერი კი მისი ასისტენტი.

შეხვედრა სანახაობრივი თვალსაზრისით კარგი საყურებელი ვერ გამოდგა, სამაგიეროდ როლანდო სკიავის ერთ-ერთი ბოლო შეხება ბურთთან, საბოლოოდ გოლით დასრულდა – სწორედ ვეტერანმა ჩააწოდა საჯარიმოში, რასაც კიდევ ერთი პასი და **ნიკოლას ბლანდის** გამარჯვების მომტანი გოლი მოჰყვა. ასე რომ, "ბოკას" ერთმა ლეგენდამ კარიერა მოგებით დაასრულა, მეორე ლეგენდამ კი "ბომბონერაზე" დაბრუნება ნაგებით აღნიშნა.

ახალი მწვრთნელის, ასევე ლეგენდარული **რამონ დიასის** ხელში პირველი მატჩი ჩაატარა "რივერმა" და გამარჯვებაც მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ დიასმა ძირითადში დააბრუნა **მანუელ ლანსინი**, რომელიც მატიას ალმეიდას ათვალწუნებული ჰყავდა და ანგარიში ამ მატჩში სწორედ 19 წლის ფეხბურთელმა გახსნა. ლანსინის გოლიდან 7 წუთში კი თავი **კარლოს სანჩესმა** გამოიჩინა, ვინც ტორნეო ინისიალში უდავოდ "რივერის" ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი იყო.

ისევ ვერ მოიგო "ინდეპენდიენტემ", რომელიც ამ ტურში უმოტივაციო "კოლონს" მასპინძლობდა. სტუმართა მხრიდან დუბლი **ემანუელ ჟიგლიოტიმ** შეასრულა, მასპინძელთაგან კი თავი ცსკა-ს ყოფილმა ფეხბურთელმა **ოსმარ ფერეირამ** და **ერნესტო ფარიასმა** გამოიჩინეს. **ამერიკო გალიეგოს** გუნდს უკვე 7 მატჩია არ მოუგია. "ინდეპენდიენტეზე" რთულ მდგომარეობაშია სანტა ფეს "უნიონი" - გუნდი კატასტროფის წინაშე დგას. "უნიონის" ფეხბურთელებმა ტორნეო ინისიალი მოგების გარეშე დაასრულეს, სულ კი სანტაფელებს უკვე 23 თამაშია არ გაუმარჯვიათ (11 ფრე და 12 მარცხი). ამ უიღბლო სერიის გამო, "უნიონი" გასავარდნი ზონის ბოლო პოზიციაზე და უიმედო მდგომარეობაშია.

გაცილებით უკეთ არის "კილმესის" საქმე, რომელსაც იმის გამო რომ დებიუტანტია, მხოლოდ ამ სეზონის ქულები ეთვლება და აქედან გამომდინარე, ზედიზედ ორი-სამი წარმატებული შედეგის შემთხვევაში, "კილმესი" სარელეგაციო ცხრილის ზედა ნაწილში აღმოჩნდება. **ომარ დე ფილიპეს** გუნდს ამ ტურში არ უთამაშია, რადგან მისი მეტოქე "ტიგრე" იყო, რომელსაც წინ კოპა სუდამერიკანას ფინალის საპასუხო მატჩი ელის და არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ დასვენების საშუალება მისცა.

ახლა არგენტინულ ფეხბურთში მცირე პაუზა იქნება. ტორნეო ინისიალში "ტიგრეს" მიერ გამოტოვებული ორი მატჩი უნდა გაიმართოს, ხოლო ტორნეო ფინალი უკვე 2013 წლის 10 თებერვალს დაიწყება.

**ტატო ბაციკაძე**


# განვადება, რომელიც ასე გჭირდება

## გამარტივებული პირობები, არავითარი საკომისიო და ყველაზე დაბალი ფასები

ქართული კრედიტი
GEORGIAN CREDIT

ახალი წელი კარს მოგვადგა და ყველა ცდილობს სიახლე და კეთილდღეობა დაანდოს ოჯახს, საჩუქრებით გაანებივროს ახლობლები თუ მეგობრები, ან უბრალოდ თბილად შეხვდეს ზამთარს, რომელიც მხოლოდ ახლა იწყება. წლის ამ დროს ყველაზე დიდი მოთხოვნით საოჯახო ტექნიკა სარგებლობს, სასურველ საახალწლო საჩუქართა სიაშიც სწორედ ამგვარი პროდუქცია ჭარბობს, მაგრამ ყოველთვის როდი პასუხობს სურვილებს ჩვენი ფინანსური შესაძლებლობები. ხოლო იქ, სადაც ეს პროდუქცია ყველაზე ხელსაყრელ ფასად იყიდება, საბანკო განვადების შეთავაზება არ ხდება. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ქართულმა კრედიტმა" მომხმარებლისთვის ისეთი განვადების პროდუქტი შექმნა, რომლის პრეცედენტიც ადგილობრივ ბაზარზე არ არსებობს.

რადგან წლის ამ დროს მომხმარებლის მოთხოვნა საკრედიტო პროდუქტების მიმართ განსაკუთრებით იზრდება, „ქართულმა კრედიტმა" გადაწყვიტა მომხმარებელს შესთავაზოს ყველასთვის ცნობილი, თუმცა განსხვავებული პროდუქტი — უპრეცედენტო განვადება სხვადასხვა სახის ტექნიკაზე. ეს სესხები თითქმის ყველა სეგმენტისთვის არის ხელმისაწვდომი და რაც მთავარია, „ქართული კრედიტი" მას სხვა საფინანსო ინსტიტუტებთან შედარებით გაუმჯობესებული და გამარტივებული პირობებით გთავაზობთ.

სესხის გაცემისა და დამტკიცების პროცედურა ძალიან მარტივი და სწრაფია.

განვადების ოფიცერი პლანშეტით ხელში აცნობს პოტენციურ კლიენტს განვადების პირობებს, მომხმარებელი ადგილზე ეცნობა ხელშეკრულებას, ავსებს განაცხადის ფორმას და რამდენიმე წუთში იღებს პასუხს სესხის დამტკიცების თაობაზე. კლიენტის თანამონაწილეობა სასურველი სესხის თანხის მიღებისას მხოლოდ 20%-ია, რაც ასევე მცირეა სხვა საფინანსო ინსტიტუტებთან შედარებით.



**გიორგი ნასყიდაშვილი,** *სს „ქართული კრედიტის" გენერალური დირექტორი:* „ჩვენი კომპანიის მისია და მიზანია, რომ სოციალურად პოზიტიური როლი შევასრულოთ ბაზარზე. შესაბამისად, როცა დავიწყეთ ფიქრი იმაზე, თუ განვადების როგორი პროდუქტი იქნებოდა ყველაზე მისაღები და მორგებული მომხმარებელზე, გადავწყვიტეთ პირველ რიგში შეგვეთავაზებინა მომსახურება იქ, სადაც სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და კომერციული ბანკები მომხმარებელს ამ მომსახურებას არ სთავაზობენ. და კიდევ, აუცილებლად განვადება უნდა შეგვეთავაზებინა ისეთ პროდუქტებზე, რომელზეც განვადების ხელმისაწვდომობა დაბალია. ეს არის ის სავაჭრო ობიექტები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობენ. მაგალითად, თელავში განვადების პროდუქტით გაზიფიცირებაში ვეხმარებით მოსახლეობას და ვაძლევთ შესაძლებლობას, რომ ყველა ოჯახი უზრუნველყოფილი იყოს ბუნებრივი აირით. გარდა ამისა, ის რაც ადამიანს ყველაზე მეტად სჭირდება, მაგრამ ხშირად ვერ ახერხებს მათ შეძენას — საყოფაცხოვრებო ნივთები და მათ შორის გათბობის სისტემები. გავითვალისწინეთ ისიც, რომ ყველაზე მისაღები ფასები აღნიშნულ პროდუქციაზე ე.წ. ელიავას ბაზრობაზეა და სწორედ იქ მივავლინეთ ჩვენი წარმომადგენლები. ჩვენი თანამშრომელი პლანშეტით მივა ნებისმიერ იმ მაღაზიასთან, სადაც მომხმარებელი მისთვის სასურველ ნივთს შეარჩევს და სესხის გაცემის საკომისიოს გარეშე, რაც დიდი შეღავათია მომხმარებლისთვის, შეიძენს მისთვის სასურველ ნივთს განვადებით. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი წარმომადგენლი ძალიან სწრაფად ავსებს განაცხადს და სესხის დამტკიცების შემთხვევაში ხელშეკრულება ელექტრონულად ეგზავნება მას ცენტრალური ოფისიდან. შესაბამისად, კლიენტს არსად წასვლა არ უწევს, კლიენტს ქაღალდებთან შეხება საერთოდ არ აქვს, ის პლანშეტშივე მოაწერს ხელს ხელშეკრულებას და მაღაზია მაშინვე გაატანს მის მიერ შერჩეულ ნივთს".

მნიშვნელოვანია, რომ „ქართული კრედიტი" ნებისმიერ მომხმარებელს აძლევს საშუალებას განვადების დაბალი პროცენტით შეიძინოს საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ავეჯი, გათბობისა და კონდიციონირების სისტემები ელიავას ბაზრობასა და ვარკეთილში განთავსებულ შემდეგ მაღაზიებში: „ჯეოტექნიკსი", „ჯეობუმი", „მაქსთერმი" და სხვა. ამიერიდან, „ქართული კრედიტის" სწრაფი, მარტივი და იაფი განვადება ნებისმიერი მსურველისთვის ხელმისაწვდომია.

***დაგვიკავშირდით 239 31 11;***
***მისამართი ალ.ყაზბეგის 30*** ®

## უცხოური ფეხბურთი

ინციდენტი

# სითი ბოდიშს იხდის

ჯერ კიდევ გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ "სიტი"-"იუნაიტედის" მატჩის მიწურულს მასპინძელ ფანებსა და სტუმარ ფეხბურთელებს შორის ინციდენტი მოხდა. მავანმა "ქალაქელმა" **რიო ფერდინანდს** ორპენსიანი მონეტა წარბში გაარტყა, რის გამოც რიოს სერიოზული სისხლდენა დაეწყო. სტიუარდებმა ხულიგანი დააფიქსირეს, თუმცა უცნობია, მოახერხეს თუ არა სამართალდამცავებმა მისი დაკავება. სამაგიეროდ სტადიონის უსაფრთხოების სამსახურმა სტადიონზე რასისტული ლოზუნგებით გამომსვლელი მეორე პიროვნება დააკავა და პოლიციას ის გადასცა. "სიტის" კიდევ ერთი გულშემატკივარი იმავე ფერდინანდთან ცდილობდა მიჭრილიყო, მაგრამ მას გზა **ჯო ჰარტმა** გადაუღობა და ამით კოლეგა თავდასხმას გადაარჩინა. "ეტიჰადზე" არეულობის მსხვერპლი **უეინ რუნიც** გახდა. მას მცირე ზომის საგანი თვალთან კი არა თავში მოხვდა და საბედნიეროდ, სერიოზულად არ დაშავებულა. "გარდიანის" ინფორმაციით, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ უკვე გადაწყვიტა კვირის ინციდენტების გამოძიება. "უემბლის" ოფისში დამატებით დაელოდებიან პოლიციის მიერ გამოძიების დასრულებას მატჩამდე და მატჩის შემდეგ სოციალურ ქსელებში ატეხილი რასისტული ისტერიის შესახებ. რადიკალურად განწყობილ ფანებს თავისუფლების ალკვეთა ელით.


რიო ფერდინანდს ინციდენტის შემდეგ იუმორის გრძნობა არ დაუკარგავს

მატჩის დასრულების შემდეგ ინციდენტის თაობაზე კომენტარი რიო ფერდინანდმა ტრადიციულად "ტვიტერზე" დატოვა. აი, რას წერს ის: *"აი, შედეგი – 'ამი ქულა! სასიამოვნოა. ვისაც არ უნდა ჩაედინა ეს საქმე, მინდა ვთქვა, რომ კარგი სროლა იყო, მაგრამ ვერ ვიჯერებ, რომ ეს მხოლოდ ორპენსიანი იყო. ხომ შეიძლებოდა ერთფუნტიანი მაინც ყოფილიყო? ყოჩაღ ჯო ჰარტს, ვინც მოედანზე გადმოჭრილ იდიოტს წინ აღუდგა. ძალიან მიყვარს ფანებს შორის კინკლაობა, მაგრამ დგება მომენტი, როცა ეს ყველაფერი ზღვარს გადადის ხოლმე. ასე რომ, დამშვიდდით"*.

"სიტის" საიტზე შეხვედრიდან რამდენიმე წუთში გაჩნდა კლუბის ხელმძღვანელობის წერილი, სადაც "იუნაიტედის" ფეხბურთელს ოფიციალურად უხდიან ბოდიშს ინციდენტის გამო. კლუბი მზადყოფნას გამოთქვამს, ბოლომდე ითანამშრომლოს გამოძიებასთან ხულიგნების ვინაობის დასადგენად და პასუხისგებაში მათ მისაცემად.

არსენალი




# ანრის მესამედ მოსვლა

**ტიერი ანრი** "არსენალის" შემადგენლობაში 1999 წლის ზაფხულზე "იუვენტუსიდან" გადავიდა, სადაც მან თავი ვერაფრით გამოიჩინა. რატომ გაფერმკრთალდა მისი ნიჭი "სტადიო დელე ალპიზე", ამაზე წერა შორს წაგვიყვანს, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ ფრანგი თავდამსხმელის გამოყენებას ტურინელები ფლანგის ნახევარმცველად უფრო ცდილობდნენ. იტალიაში გაფლანგული ტალანტის გამოყენების გამოცდილება **არსენ ვენგერს** უკვე ჰქონდა. მან ხომ "ინტერში" დაკარგული **დენის ბერგკამპისგან** მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი გამოძერწა. ანრიც სწორედ "მეთოფეების" რიგებში იქცა იმ ფიგურად, რომელიც ფეხბურთის ისტორიაში შევიდა. 2007 წელს "ბარსელონაში" გადასვლამდე მან 378 თამაშში 228 გოლის გარდა 93 შედეგიანი გადაცემა მიითვალა, რითაც ჩრდილოლონდონელთა ფანების გულები სამუდამოდ დაიპყრო.

5-წლიანი პაუზის შემდეგ ანრი 2012 წლის იანვარში დაბრუნდა "არსენალში" თვენახევრიანი იჯარით და თავის გამოჩენა მაშინაც მოახერხა. "მეთოფეები" ამჟამადაც ახლოს არიან "ნიუ იორკ რედ ბულსთან" საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებასთან. MLS-ის წარმომადგენელი მზადაა, ანრი მარტის პირველ რიცხვებამდე დათმოს, ვენგერს კი იმედი აქვს, რომ ფეხბურთელს პრემიერლიგის სეზონის დასრულებამდე შეინარჩუნებს. "დეილი მეილის" მტკიცებით, ფრანგი სუპერვარსკვლავის "დებიუტი" საყვარელ გუნდში 6 იანვარს ასოციაციის თასის მე-3 ეტაპზე "სუონსის" წინააღმდეგ შედგება. გამოცემის მტკიცებით, ანრი ვენგერის მხოლოდ პირველი შენაძენი იქნება იანვრის სატრანსფერო ბაზარზე. შეგახსენებთ, რომ ფრანგ სპეციალისტს კლუბის მეწილეებმა 40 მილიონი ფუნტი გამოუყვეს შემადგენლობის გასაძლიერებლად.

ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ენრიკეს მცირე დაზიანება აქვს




XVI ტურში "ვესტ ჰემი"-"ლივერპულის" მატჩის 27-ე წუთზე **ბრენდან როჯერსი** იძულებული გახდა, ესპანელი მცველი, 26 წლის **ხოსე ენრიკე** ტრავმის გამო შეეცვალა. მოედანზე მის ნაცვლად **ჯო კოული** გამოჩნდა, ვინც საბოლოოდ დიდი როლი ითამაშა "წითლების" გამარჯვებაში. ვეტერანმა 2011 წლის აპრილის შემდეგ პირველი გოლი გაიტანა მერსისაიდელთა მაისურით. „ლივერპულ ექოს" ჟურნალისტები დაინტერესდნენ, თუ რამდენად სერიოზულია ტრავმირებული ფეხბურთელის მდგომარეობა და გაარკვიეს, რომ საბოლოო დიაგნოზზე ლაპარაკი ნაადრევია. სამედიცინო შემოწმება ენრიკესთვის გუშინ უნდა ჩაეტარებინათ. წინასწარი დასკვნით კი საშიში არაფერია. ფეხბურთელი ვარჯიშს შუა კვირაში განაგრძობს.

### სამი პრეტენდენტი

"სუონსის" 26 წლის ესპანელი თავდამსხმელი **მიგელ მიჩუ** (იგივე მიგელ პერეს კუესტა) XVI ტურის შემდეგ პრემიერლიგის ბომბარდირთა დავაში 12 გოლით დაწინაურდა. ცხადია, მისმა წარმატებებმა მრავალი შეძლებული კლუბის დაინტერესება გამოიწვია. transfermarketweb.com-ის ინფორმაციით, ესპანელის შეძენას იანვარში, ყველაზე გვიან კი სეზონის დასრულების შემდეგ, "ლივერპული" გეგმავს. მერსისაიდელების გარდა მისით "ნაპოლი" და "ჯენოაც" არიან დაინტერესებულნი. უელსური კლუბი თავის ვარსკვლავს 30 მილიონ ფუნტად აფასებს. რამდენად გასწვდებიან ამ თანხას იტალიელები ვერ გეტყვით, აი, "ლივერპულისთვის" კი კვალიფიციური თავდამსხმელის შეძენა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ისინი წესით გარიგებაზე მაინც უნდა წავიდნენ.

### დიამე მარტამდე დაისვენებს




"ვესტ ჰემის" სენეგალელმა საყრდენმა ნახევარმცველმა **მოჰამედ დიამემ** "ლივერპულთან" შეხვედრის 73-ე წუთზე ბარძაყის კუნთი დაიჭიმა, მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, რომ მუხლის მყესებიც დაიზიანა. მას ყველაზე ცოტა სამი თვით მოუწევს უფეხბურთოდ ცხოვრება. "ჩაქუჩებს" 25 წლის შუახაზელი სერიოზულად დააკლდებათ, რადგან იმის მიუხედავად, რომ ფეხბურთელის უმთავრესი ფუნქცია დაცვაზე ზრუნვა იყო, მიმდინარე სეზონში 16 შეხვედრაში მან 2 გოლის გატანა მაინც მოასწრო. მიუხედავად გაურკვეველი ვითარებისა, **სემ ელერდაისი** იმედს არ კარგავს, რომ მისი შეგირდი ბევრად უფრო სწრაფად მოიკეთებს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

მანჩესტერ სითი

# ბალოტელი დაბნეულია

## მანჩინი თანამემამულეს დაფიქრებისკენ მოუწოდებს


მარიო ბალოტელი და მისი Maserati GT

ფეხბურთის გულშემატკივარმა კვირას ალბათ თვალი ადევნა "სიტი"-"იუნაიტედის" დაპირისპირებას. **რობერტო მანჩინიმ** ბალოტელი ძირითადში დააყენა, მაგრამ 51-ე წუთზე, მას მერე, რაც თავდამსხმელმა **რიო ფერდინანდისა** და **პატრის ევრას** გარემოცვაში მოხვედრილმა რატომღაც ქუსლით სცადა თანაგუნდელისთვის პასის გაკეთება, "ქალაქელების" მთავარი მწვრთნელი მიხვდა, რომ მარიოსგან იმ დღეს ხეირს არ უნდა დალოდებოდა. მანჩომ უმალ მიიხმო **კარლოს ტევესი** და შეცვლაზე შესვლა დაავალა. მწვრთნელის აღშფოთება შეგირდის უაზრო საქციელის გამო კამერებს არ გამოჰპარვიათ. თამაშის დასრულების შემდეგ მას ჟურნალისტებმა კომენტარი სთხოვეს. აი, რა თქვა მანჩინიმ: *"მიყვარს მარიო როგორც პიროვნება, როგორც ფეხბურთელი, მაგრამ მგონი მოვიდა დრო, რომ მთელი კონცენტრაცია სამუშაოზე მიმართოს. მას ყველანაირი წინაპირობა აქვს იმისთვის, რომ დიდი ფეხბურთი ითამაშოს. ამიტომ ვამბობ, რომ ის ვალდებულია ბევრად უფრო უკეთ გაისარჯოს, ვიდრე ამას დღეს აკეთებდა. ჩვენ მისგან ყველანი მეტს ველოდებით. მარიო მაღალი კლასის ფეხბურთელია. როცა ასეთები ზამთრის სატრანსფერო პაუზისას გუნდიდან წასვლას ლამობენ, ნამდვილად არ მესმის რატომ აკეთებენ ამას. გარწმუნებთ, ცხოვრებაში ძალიან ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი შემხვედრია, რომელთაც ვერაფერს მიაღწიეს და ნამდვილად არ მინდა, მათი ბედი ბალოტელიმაც გაიზიაროს"*.

"მანჩესტერ სითის" იტალიელ თავდამსხმელს, 22 წლის **მარიო ბალოტელის** ამ დღეებში შვილი ეყოლა, მაგრამ ბრიტანული პრესა მის ოჯახურ ბედნიერებაზე უფრო მეტ ყურადღებას ისევ და ისევ ფეხბურთელის უცნაურობებს უთმობს. მაგალითად, ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ ფეხბურთელმა ლონდონიდან მანჩესტერისკენ მიმავალი გზა (მანძილი აღნიშნულ ქალაქებს შორის 317 კმ-ია. მანქანას მის დასაფარად 4 საათზე ცოტა მეტი სჭირდება. რედ) ველარ გაიკვალა და თავგზა კიდევ უფრო რომ არ აბნეოდა, მიხვდა, ჯობდა, გაჩერებულიყო და ვინმესთვის დახმარება ეთხოვა. იტალიელმა ტაქსი გამოიძახა და საკუთარი ავტომობილით უკან გაჰყვა. ეს მომსახურება მას 810 ფუნტი დაუჯდა. ჟურნალისტები განსაკუთრებით გაამხიარულა იმისმა წარმოდგენამ, როგორ მისდევდა მარიო ტაქსის მძღოლს მორჩილად 130 ათას ფუნტად ღირებული Maserati GT-ით.

"სანის" მტკიცებით კი იტალიელი 2,5 წლის შემდეგაც კი ვერ შეეჩვია მარჯვენა მხრის მოძრაობას. ამიტომ ის მანჩესტერიდან შორს წასვლას, როგორც წესი, თავს არიდებს ხოლმე. მარიოს ეშინია, რომ მაღალ სისწრაფეზე მოძრაობისას მექანიკურად საწინააღმდეგო ხაზზე არ გადავიდეს და საკუთარ თავს ხიფათი არაფერი მოსწიოს. ამას გარდა, მას საკმაოდ უჭირს შესახვევებში მანქანის შეყვანაც.

### პრემიერლიგა. XVI ტური

**ფულჰემი-ნიუკასლი 2:1**

**გოლები:** 1:0 სიდუელი (19), 1:1 ბენ არფა (54), 2:1 როდალიეგა (63)

**ფულჰემი (4-4-2):** შვარცერი – რიისე, ჰანგელანდი, ჰიუზი, რიტერი – კაჩანიკლიჩი (62. დეჟაგა), სიდუელი, ბერდი, დაფი – როდალიეგა (87. პეტრიჩი), ბერბატოვი

**ნიუკასლი (4-4-2):** კრული – სიმპსონი, კოლოჩინი, უილიამსონი, სანტონი – ხონასი, ტიოტე (86. ბიგირიმანა), ანიტა (87. მარვო), ბენ არფა (ს. ამეობი) – ბა, სისე

**გაფრთხილება:** არ ყოფილა

**კარში დარტყმა:** 13-12 (7-6) **კუთხური:** 5-4 **თამაშგარე:** 0-1 **ჯარიმა:** 14-11 **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 25 270

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 16 | 13 | 0 | 3 | 40-23 | 39 |
| 2. სიტი | 16 | 9 | 6 | 1 | 30-14 | 33 |
| 3. ჩელსი | 16 | 8 | 5 | 3 | 28-17 | 29 |
| 4. ევერტონი | 16 | 6 | 8 | 2 | 27-20 | 26 |
| 5. ტოტენჰემი | 16 | 8 | 2 | 6 | 29-25 | 26 |
| 6. ვესტ ბრომვიჩი | 16 | 8 | 2 | 6 | 24-21 | 26 |
| 7. არსენალი | 16 | 6 | 6 | 4 | 26-16 | 24 |
| 8. სუონსი | 16 | 6 | 5 | 5 | 26-21 | 23 |
| 9. სტოკ სიტი | 16 | 5 | 8 | 3 | 14-12 | 23 |
| 10. ლივერპული | 16 | 5 | 7 | 4 | 22-20 | 22 |
| 11. ვესტ ჰემი | 16 | 6 | 4 | 6 | 21-20 | 22 |
| 12. ნორვიჩი | 16 | 5 | 7 | 4 | 17-24 | 22 |
| 13. ფულჰემი | 16 | 5 | 5 | 6 | 27-27 | 20 |
| 14. ნიუკასლი | 16 | 4 | 5 | 7 | 18-23 | 17 |
| 15. საუთჰემპტონი | 16 | 4 | 3 | 9 | 22-32 | 15 |
| 16. ასტონ ვილა | 16 | 3 | 6 | 7 | 12-23 | 15 |
| 17. უიგანი | 16 | 4 | 3 | 9 | 17-30 | 15 |
| 18. სანდერლენდი | 15 | 2 | 7 | 6 | 14-21 | 13 |
| 19. რედინგი | 15 | 1 | 6 | 8 | 19-28 | 9 |
| 20. ქუინზ პარკი | 16 | 0 | 7 | 9 | 13-29 | 7 |

**ბომბარდირები:** 12 - მიგელ მიჩუ (სუონსი), 11 - რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), 10 - ლუის სუარესი (ლივერპული), დემბა ბა (ნიუკასლი),

### მომდევნო ტური

**15 დეკემბერი:** ჩელსი-საუთჰემპტონი გადადებულია, ნიუკასლი-მანჩესტერ სიტი, ლივერპული-ასტონ ვილა, მანჩესტერ იუნაიტედი-სანდერლენდი, ნორვიჩი-უიგანი, ქუინზ პარკი-ფულჰემი, სტოკ სიტი-ევერტონი

**16 დეკემბერი:** ტოტენჰემი-სუონსი, ვესტ ბრომვიჩი-ვესტ ჰემი

**17 დეკემბერი:** რედინგი-არსენალი

● იტალია. სერია A. XVI ტური

# სკუდეტომდე შორსაა

## ინტერმა და ნაპოლიმ უნდა მოუმატონ



ბედნიერ ანდრეა სტრამაჩონის პრობლემები თავზესაყრელად აქვს

**"იუვენტუსი"** უახლოეს მდევარს უკვე 4 ქულით უსწრებს, ამ ფორის ამოქაჩვას კი მინიმუმ ორი მატჩი სჭირდება. ტურინული გრანდი მაღლა დგას სხვებზე და XVI ტურმა ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა. თუ ასე გაგრძელდა, სკუდეტოსთვის ბრძოლა ნელ-ნელა მოჩვენებით ხასიათს მიიღებს და სადღაც, მეორე წრის შუაწელზე ყველაფერი ცხადი გახდება, მაგრამ ეს ყველაფერი იმ შემთხვევაში, თუ ასე გაგრძელდა...

### კარგი სანახაობა უამრავი ხარვეზით

"ჯუზეპე მეაცაზე" "ინტერმა" "ნაპოლის" მინიმალური ანგარიშით მოუგო და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. მილანური გრანდი "იუვეს" უახლოესი მდევარი გახლავთ და ცხრილის გათვალისწინებით, სკუდეტოს მოპოვების ერთ-ერთ რეალურ პრეტენდენტად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა ასე მარტივად არ არის საქმე და განვლილმა პაექრობამ ეს კარგად გვიჩვენა. მთელი შეხვედრის განმავლობაში, უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ და თავისუფლად შეიძლებოდა რომ შეხვედრა არათუ ფრედ, სტუმართა გამარჯვებით დასრულებულიყო. მილანელთა შესრულებით ვერ ვიხილეთ ის თამაში, რომელიც გუნდს სკუდეტომდე მიიყვანს, თუმცა ამ მხრივ არც ნეაპოლელებს ჰქონდათ საქმე იდეალურად, რაც ანგარიშიდანაც კარგად ჩანს. რეალურად, ამ ორმა გუნდმა უნდა გაუწიოს კონკურენცია "იუვენტუსს" და თუ განვლილი მატჩით ვიმსჯელებთ, ეს ნაკლებად სავარაუდოა. მართალია, თვითონ მატჩი სანახაობრივი და მეტად საინტერესო გამოდგა, მაგრამ ხარვეზებს ამით არაფერი დაჰკლებია.

#### ინტერი

**ანდრეა სტრამაჩონიმ** მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და გუნდი 4-4-2 ტაქტიკით განალაგა. შეტევის წინა ხაზზე **ანტონიო კასანო** და **დიეგო მილიტო** გაამწესა, მათ უკან კი შემდეგი ოთხეული მოქმედებდა: **ხავიერ ძანეტი, ფრედი გუარინი, ალვარო პერეირა** და **ვალტერ გარგანო**. აღვნიშნოთ ისიც, რომ დაცვის ცენტრში ნომინალური ნახევარმცველი **ესტებან კამბიასო** გაიპარჯა, რაც კარგი ცხოვრებით არ უნდა იყოს გამოწვეული. თუმცა, "ნაპოლისთან" შეხვედრაში პრობლემები არა იმდენად დაცვაში, რამდენადაც ნახევარდაცვაში იყო, რაც სტატისტიკაშიც ნათლად აისახა. თავად განსაჯეთ, ბურთის ფლობის პროცენტული მაჩვენებლით, "ინტერი" მეტოქეს საშინლად ჩამორჩა: 37%-63%... ასეთი მაჩვენებელი ევროპული ფეხბურთის გრანდს საკუთარ არენაზე ნამდვილად არ უნდა ჰქონდეს და თანაც მაშინ, როდესაც მეტოქე "ნაპოლია" და არა "ბარსელონა". მაგრამ, როდესაც შუა ხაზში გუარინის, გარგანოს და პერეირას ყაიდის ფეხბურთელები გყავს, ეს სულაც არ არის გასაკვირი.

"ინტერს" შუა ხაზში ბურთის დამჭერი ფეხბურთელები სჭირდება და ამ ფონზე, თუნდაც კამბიასოს დაცვაში დაწევა უცნაური გადაწყვეტილება გახლდათ. მით უმეტეს, თავისუფლად შეიძლებოდა ძანეტის დაცვაში დაყენება და ესტებანის ჩვეულ პოზიციაზე აწევა. მართალია, კამბიასო **პირლო** არაა, რომ თამაში წარმართოს, მაგრამ ამ კომპონენტში რომ გარგანოს აჯობებს, ეს ფაქტია. "ინტერს" ძალიან აკლია ექსტრა-კლასის შენტევი ნახევარმცველი, რომელიც ლიდერის ფუნქციებს აიღებს თავის თავზე და ამ ფონზე, **უესლი სნეიდერთან** გართულებული ურთიერთობებიც არაა კარგი ამბავი. ეს ყველაფერი კი მთლიანობაში "ნერაძურის" პოტენციალს მნიშვნელოვნად ამცირებს და სრულიად ბუნებრივს ხდის იმ არასტაბილურობას, რომელიც ამ გუნდს ახასიათებს.

რა პერსპექტივა აქვს ასეთ "ინტერს"? - თუ ანდრეა სტრამაჩონიმ ვითარება რადიკალურად არ შეცვალა, "ინტერის" მაქსიმუმი ჩემპიონთა ლიგის საგზური იქნება. მილანელებმა შეიძლება კიდევ გამოაცხონ რამდენიმე მატჩიანი წაუგებელი სერია, მაგრამ "იუვენტუსთან" ჭიდილისთვის ეს საკმარისი არ იქნება. სტრამაჩონის აქვს დრო, წინ სატრანსფერო ფანჯარაა და ვნახოთ...

#### ნაპოლი

მიუხედავად იმისა, რომ "ნაპოლი" დამარცხდა, **ვალტერ მაცარის** გუნდმა მთლიანობაში უფრო ბრძოლისუნარიანი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სტუმრებმა სულ 14-ჯერ დაარტყეს მეტოქის კარის მიმართულებით, მაშინ, როდესაც მილანელები 6-ჯერ დაემუქრნენ **მორგან დე სანქტისის** კარს. "ნაპოლიმ" უფრო გამოაჩინა პოტენციალი და ის რეზერვი, რომელიც სკუდეტოსთვის ბრძოლას სჭირდება, თუმცა ხარვეზები ნეაპოლელთა თამაშშიც ბევრი იყო.

მაგალითად, ნეაპოლელები ბრწყინვალედ გადადიან დაცვიდან შეტევაში და საოცრად კარგად ეხერხებათ კონტრ-იერიშებზე თამაში, მაგრამ როდესაც საქმე პოზიციურ შეტევებზე მიდგება, იქ უკვე პრობლემები იჩენს თავს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაცარის შეგირდები სრულად დაეპატრონენ ცენტრს, მაგრამ ეს ვითარება სათანადოდ ვერ გამოიყენეს. როდესაც ნეაპოლელები პოზიციურად უტევენ, ძალიან უჭირთ მეტოქის დაცვაში დისონანსის შეტანა და თავისუფალი ზონების მოძებნა. ამ საქმეში ყველაზე წარმატებული ახალგაზრდა ფორვარდი **ლორენცო ინსინიე** გახლავთ, რომელიც მწვრთნელმა ხან მარცხნივ გადაისროლა და ხან მარჯვნივ, მაგრამ მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, ისე იყო მისი საქმე. ნეაპოლლებს უკვე შექმნილი სივრცეების გამოყენება ეხერხებათ შესანიშნავად, მაგრამ თვითონ ძალიან უჭირთ ამ სივრცეების შექმნა... არადა, თუ პოზიციური შეტევა არ გამოგდის, ძნელია უმაღლესი მწვერვალების დაპყრობა. მაცარი უკვე მესამე წელია "ნაპოლის" წვრთნის და დროა, მისმა გუნდმა ამ კომპონენტში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიოს. სხვა შემთხვევაში, სკუდეტო სამხრეთელებისთვისაც მიუწვდომელი იქნება.

**ანდრეა სტრამაჩონი (ინტერი):** *"ვალტერ მაცარი სამი წელია "ნაპოლის" მთავარი მწვრთნელია და არ მიკვირს, რომ მისმა გუნდმა ბევრ კომპონენტში გვაჯობა. თუმცა, მთავარი შედეგია და საბედნიეროდ, სამი ქულა ჩვენ მოვიპოვეთ. ქულების განიავების უფლება ალარ გვაქვს, რადგან ჩვენი მიზანი სკუდეტოსთვის ბრძოლაა. მთლიანობაში, კმაყოფილი ვარ შეგირდთა ასპარეზობით".*

**ვალტერ მაცარი (ნაპოლი):** *"მეტოქემ პირველ ტაიმში ორი მომენტი შექმნა და ორივე გოლად აქცია, მეორეში კი ხეირიანად არც გადმოსულან ჩვენ ნახევარზე. მთლიანობაში, კმაყოფილი ვარ შეგირდთა ასპარეზობით, მაგრამ ფაქტია, რომ ის ორი შეცდომა ძალიან ძვირად დაგვიჯდა. მომდევნო მატჩზე უნდა ვიფიქროთ, "ბოლონიასთან" გვიწევს შეტოქება და იქ უკვე ქულების დაკარგვის უფლება ალარ გვაქვს".*

#### სამპდორია–უდინეზე 0:2

**გოლები:** 0:1 დანილო (17), 0:2 დი ნატალე (28).

**სამპდორია (4-5-1):** რომერო – ბერარდი (75. კასტელინი), გასტალდელო (53. ესტიგარიბია), როსინი, კოსტა – სორიანო, ტისონე, მარესკა (46. პოცი), ობიანგი, პოლი - იკარდი.

**უდინეზე (3-5-1-1):** ბრკიჩი – ერუ, დანილო, ანჯელა – ბასტა, ალანი, პინცი (66. ლაძარი), ბადუ, პასკუალე (74. არმერო) – პერეირა – დი ნატალე (90. რანიჯი).

**გაფრთხილება:** გასტალდელო, პოცი - ერუ.

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 14-10; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 13-10(4-5); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 20 000

#### ბოლონია–ლაციო 0:0

**ბოლონია (4-3-2-1):** ალიარდი – მოტა, ანტონსონი, სორენსენი, კერუბინი – პერესი (48. გუარენტე), კრხინი (88. პასკუატო), ტაიდერი – კონე (79. მორლეო), დიამანტი - ჯილარდინო.

**ლაციო (4-5-1):** მარკეტი – კავანდა, ბიავა, სიანი, რადუ – კანდრევა (78. კლოზე), ერნანესი, ლედესმა, გონსალესი (69. ლულიჩი), მაური (90. ონაზი) - კოზაკი.

**გაფრთხილება:** სორენსენი, გუარენტე - კავანდა.

**გაძევება:** კოზაკი (87).

**კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 16-17; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 11-13(3-8); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 25 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 16 | 12 | 2 | 2 | 33-10 | 38 |
| 2. ინტერი | 16 | 11 | 1 | 4 | 29-17 | 34 |
| 3. ნაპოლი | 16 | 10 | 3 | 3 | 29-14 | 33 |
| 4. ლაციო | 16 | 9 | 3 | 4 | 23-17 | 30 |
| 5. რომა | 16 | 9 | 2 | 5 | 37-26 | 29 |
| 6. ფიორენტინა | 16 | 8 | 5 | 3 | 29-18 | 29 |
| 7. მილანი | 16 | 7 | 3 | 6 | 28-21 | 24 |
| 8. უდინეზე | 16 | 5 | 7 | 4 | 24-24 | 22 |
| 9. კატანია | 16 | 6 | 4 | 6 | 22-24 | 22 |
| 10. ატალანტა | 16 | 7 | 2 | 7 | 17-23 | 21 |
| 11. პარმა | 16 | 5 | 5 | 6 | 19-22 | 20 |
| 12. კიევო | 16 | 5 | 3 | 8 | 19-27 | 18 |
| 13. სამპდორია | 16 | 5 | 3 | 8 | 19-23 | 17 |
| 14. კალიარი | 16 | 4 | 4 | 8 | 14-26 | 16 |
| 15. ბოლონია | 16 | 4 | 3 | 9 | 17-20 | 15 |
| 16. ტორინო | 16 | 3 | 7 | 6 | 17-21 | 15 |
| 17. პალერმო | 16 | 3 | 5 | 8 | 14-23 | 14 |
| 18. პესკარა | 16 | 4 | 2 | 10 | 12-30 | 14 |
| 19. ჯენოა | 16 | 3 | 3 | 10 | 16-27 | 12 |
| 20. სიენა | 16 | 4 | 5 | 7 | 15-20 | 11 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

**ბომბარდირები:** 13 – ელ შაარავი (მილანი); 11 - კავანი (ნაპოლი); 9 - კლოზე (ლაციო); 8 - ლამელა (რომა), დი ნატალე (უდინეზე), ოსვალდო (რომა).



ვალტერ მაცარი: ორი შეცდომა ძალიან ძვირად დაგვიჯდა

● იუვენტუსი

# კონტე: უფრო ძლიერი დავბრუნდი

სერია A-ს XVI ტურის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა უდავოდ **ანტონიო კონტეს** დაბრუნებაა, რომელმაც დისკვალიფიკაცია მოიხადა და "იუვენტუსის' სათადარიგოთა სკამზე თავისი ადგილი დაიკავა. "ვეკია სენიორა" "პალერმოს" ესტუმრა, მეტოქე მინიმალური სხვაობით დაამარცხა და კონტეს დაბრუნებაც იღბლიანი გამოდგა. დისკვალიფიკაციის პერიოდში, ანტონიო პრესასთან არ ურთიერთობდა და შესაბამისად, მის მოსაზრებებთან გაცნობა განსაკუთრებულად საინტერესოა:

*"განვლილი პერიოდი ჩემთვის იმაზე უფრო მძიმე იყო, ვიდრე ეს შეიძლება ვინმეს წარმოედგინა. მდგომარეობას ის მიმსუბუქებდა, რომ ყოველდღიურად გუნდთან ერთად ვიყავი და სანვრთნელ პროცესებში ჩვეულებრივად გახლდით ჩართული. საბედნიეროდ, დისკვალიფიკაცია მოვიხადე და დიდი იმედი მაქვს, რომ საყვარელ საქმეს კიდევ უფრო გაძლიერებული დავუბრუნდი. დიახ, ესეც ერთგვარი გამოცდილება იყო, რომელიც აუცილებლად დამეხმარება. მინდა მადლობა გადავუხადო ანჯელო ალესიოს და მასიმო კარერას, რომლებმაც ბრწყინვალედ შეასრულეს თავიანთი სამუშაო - ისინი იმაზე უფრო აქტიურად იქნებიან ჩართული სამწვრთნელო საქმიანობაში, ვიდრე ეს გასულ სეზონში იყო. მათი რჩევები ჩემთვის პრიორიტეტი იქნება, რადგან გვაჩვენეს, რომ გუნდის გაძღოლა შესანიშნავად შეუძლიათ. რაც შეეხება "პალერმოსთან" მატჩს - უბრალოდ, ძლიერს გაუმართლა".*



ანტონიო კონტე ყურადღების ცენტრშია

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XVI ტურის შეჯამება

# რატომ ამოიჩემა შტარკმა დორტმუნდი?

## სხვათა შორის, ვოლფგანგი ბავარიელია...



ვოლფგანგ შტარკს მთელი საფეხბურთო გერმანია აკრიტიკებს

**შაბათ-კვირის შემდეგ მთელი საფეხბურთო გერმანია ვოლფგანგ შტარკზე ლაპარაკობს - სწორედ იმ შტარკზე, რომლის გამოც ლევან კობიაშვილი ნახევარწლიან დისკვალიფიკაციას იხდის. ერთ-ერთმა ყველაზე გამოცდილმა გერმანელმა მსაჯმა „დორტმუნდისა“ და „ვოლფსბურგის“ მატჩში იმდენი მიჰქარა, რომ მისი რენომე წესით, საბოლოოდ უნდა დაეცეს.**

### ვოლფგანგ შტარკი და დორტმუნდის ბორუსია

*„ოკეი, ბიჭებო, კონცენტრაცია პირველივე წამიდან!“* - მოუწოდა მსაჯმა **ვოლფგანგ შტარკმა** „დოტრმუნდისა“ და „ვოლფსბურგის“ კაპიტნებს, **რომან ვაიდენფელერს** და **დიეგო ბენალიოს** თამაშის დაწყებამდე, მაგრამ ეს მოთხოვნა თვითონვე ვერ შეასრულა. შტარკს **მარსელ შმელცერის** მუხლი მის ხელში აერია, „ბორუსიას“ მარცხენა მცველი მოედნიდან გააძევა, „დორტმუნდის“ კარში კი პენალტი დანიშნა და BVB-ს მწვრთნელი **იურგენ კლოპი** ამბობს, ამ შეცდომით მატჩზე დიდი გავლენა მოახდინაო. მართალია, არბიტრს ეყო იმის ვაჟკაცობა, რომ თამაშის შემდეგ შეცდომა ეღიარებინა და დორტმუნდელებისთვის მოებოდიშებინა, მაგრამ „ბორუსიას“ ამით რა? მხოლოდ ის, რომ შმელცერს აღარ დასჯიან. ჩვენ კი ლოგიკურად გაგვიჩნდა ჩვენთვის საინტერესო კითხვა: იქნებ, შტარკს **ლევან კობიაშვილის** ხელიც სხვა რამეში აერია?..

### მეხუთე შემთხვევა ბოლო 4 წელიწადში

ასეა, თუ ისე, ფაქტია, რომ დორტმუნდელები შტარკს გაუნაწყენდნენ, ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა შტარკი „ბორუსიას“ საწინააღმდეგოდ ცდება...

**პირველი შემთხვევა:** 2008 წლის 5 ოქტომბერს შტარკმა დორტმუნდელებს „ჰანოვერის“ კარში გატანილი გოლი არ ჩაუთვალა, რომლის ავტორი **რობერტ კოვაჩი** გახლდათ. შეხვედრა 1:1 დასრულდა, „კიკერმა“ კი შტარკს ყველაზე ცუდი შეფასება, ექვსიანი დაუწერა.

**მეორე შემთხვევა:** 2010 წლის 18 აპრილს შტარკმა დორტმუნდელებს „ჰოფენჰაიმის“ კარში გატანილი გოლი არ ჩაუთვალა. ავტორი **ლუკას ბარიოსი** გახლდათ, მატჩი 1:1 დასრულდა, „კიკერმა“ კი ვოლფგანგს ხუთიანი დაუწერა.

**მესამე შემთხვევა:** 2010 წლის 24 ოქტომბერს, „დორტმუნდისა“ და (ისევ) „ჰოფენჰაიმის“ შეხვედრაში შტარკმა **ნური შაჰინს** თერთმეტმეტრიანი თითიდან გამოწოვილი მიზეზის გამო გაამეორებინა. პირველი მცდელობით გატანილი, თურქმა ნახევარმცველმა მეორე ცდაზე ველარ გაიტანა - მატჩი 1:1 დამთარდა, „კიკერმა“ შტარკს ხუთიანი დაუწერა.

**მეოთხე შემთხვევა:** 2011 წლის 27 აგვისტოს, „ლევერკუზენისა“ და „ბორუსიას“ მატჩში (0:0) შტარკმა დორტმუნდელი **მარიო გიოტცე** მოედნიდან გააძევა და ეს საქციელი ასე ახსნა: გიოტცემ მოწინააღმდეგე ფეხბურთელისკენ გადააფურთხაო. გიოტცე ასეთ რამეს დღემდე უარყოფს. „კიკერმა“ შტარკს იმ მატჩის შემდეგ 4.5 ბალი დაუწერა.

**მეხუთე შემთხვევა:** ეს კი ახალი შემთხვევაა: „ვოლფსბურგთან“ მატჩში, რომელიც „ბორუსიამ“ 2:3 წააგო, შტარკმა შმელცერი მოედნიდან გააძევა, „დორტმუნდის“ კარში კი პენალტი დანიშნა. მატჩის შემდეგ ვოლფგანგმა შეცდომა აღიარა და „ბორუსიას“ მოუბოდიშა.

აქვე ვთქვათ, რომ შტარკი წარმოშობით ლადსჰუტიდანაა, ეს პატარა ქალაქი კი ბავარიის მხარეში მდებარეობს.

### შმელცერი და ნობელის პრემია

ამრიგად, ბუნდესლიგის მე-16 ტურის ყველაზე უიღბლო ფეხბურთელი სწორედ შმელცერი გახლდათ, რომელსაც წითელი ბარათი იმისთვის აუფრიალეს, რომ **ბას დოსტის** დარტყმულს მუხლი შეუშვირა. მსაჯის უკიდურესად უსამართლო გადაწყვეტილებას მარსელი ისე შეხვდა, როგორც ნამდ სპორტსმენს შეშვენის: თავში ხელები წაიშინა, ერთი იყვირა, ხელით არ მითამაშიაო და მერე მოედანი უსიტყვოდ დატოვა. ამის გამო, მატჩის შემდეგ, კლოპმა შმელცერისთვის ნობელის პრემიის მინიჭებაც კი მოითხოვა - მის ადგილზე მე ემოციებს ვერ მოვთოკავდიო. მარსელს ნობელის პრემიას, ცხადია, არ მიანიჭებენ, დისკვალიფიკაციას კი გადაურჩება...

### ტურის ვირი

რაკი პრემია ვახსენეთ, თემა **ჯერმეინ ჯონსით** უნდა განვაგრძოთ. ამ უკანასკნელმა „ტურის ვირის“ ტიტული დაიმსახურა. „შალკეს“ საყრდენმა ნახევარმცველმა მსაჯს თავი იმ დროს გააგდებინა, როცა გელზენკირხენელებმა ხეირიან კომბინაციებს მოუხშირეს და რაკი მეტოქე ათი კაცით თამაშობდა, თამაშის სათავისოდ შეტრიალება შეეძლოთ. ჯონსის გაძევების შემდეგ კი „შალკეს“ შანსი მინიმუმამდე შემცირდა და „ქამბექი“ არც შედგა: გელზენკირხენული კლუბი დამარცხდა და სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილამდე ჩამოქვეითდა.

### ნამდვილი სუპერმარიო

**მარიო გომესი** გამოჯანმრთელდა, ხშირად ათამაშებენ და გოლების გატანასაც მოუხშირა. უფრო ზუსტად: გომესს ყოველ 59 წუთში ერთი გოლი გააქვს. ის „აუგსბურგთან“ შეხვედრაშიც სკამზე იჯდა და თამაშში მხოლოდ მეორე ტაიმში ჩაერთო, მაგრამ **მარიო მანჯუკიჩს**, რომელმაც მანამდე ოთხი რეალური საგოლე მომენტი გაანიავა, მაინც უჩვენა, ვინ არის „ბაიერნის“ თავდასხმაში ნამდვილი სუპერმარიო. მოედანზე შესვლიდან ერთ წუთში გომესმა **რიბერისთან** მარტივი კომბინაცია გაითამაშა და სხვაობა ორამდე გაზარდა.

ფაქტია, რომ რეკორდმაისტერის წინა ხაზზე ორივე მარიოს ადგილი არაა და თუ ასე გააგრძელა, ძირითადში სწორედ გომესი ითამაშებს ხოლმე.

### ისევ ხუან არანგო

ამ ფეხბურთელზე უკვე მეორედ ვწერთ ამგვარ რამეს და მაინც არ გვეზარება: ყოველთვის არსებობენ ფეხბურთელები, რომელთა სანახავად ფულის გადახდა ღირს. გერმანიაში ახლო წარსულში ასეთი **შტეფან ეფენბერგი** იყო, დღეს კი, გერმანელებიდან ასეთობის საუკეთესო შანსები მარიო გიოტცეს და **მარკო როისს** აქვთ. არაგერმანელებიდან კი ბუნდესლიგაში ასეთი **ხუან არანგოა**.

მიონხენგლადბახის ბრწყინვალე საფეხბურთო პუბლიკას ერთ დროს **გიუნტერ ნეტცერი** აღაფრთოვანებდა, ათწლეულების შემდეგ ეფენბერგი, ბოლოს როისი, ახლა კი, „ბორუსია-პარკზე“ ასეთი არანგოა, რომელმაც გასულ უქმეებზე კიდევ ერთი უმშვენიერესი გოლი გაიტანა: მეკარისგან გადმოგდებულ ბურთს მაშინვე ფეხი დაჰკრა და 40 მეტრიდან „მაინცის“ კარის ბადეში გაახვია. „ბორუსია-პარკის“ 46-ათასიანი პუბლიკა კი მაშინვე მიხვდა, რაში გადაიხადეს ფული...

### არტიომს რუდნევსი

„ჰამბურგის“ თავდამსხმელი ბუნდესლიგის უკანასკნელი დინოს ისედაც გამწარებულ ფანებს ნერვებს უშლის ხოლმე - გერმანიაში პირველ სეზონს ატარებს და უკვე იმდენი მომენტი გაატანა ქარს, რომ არაერთი შესაბამისი მეტსახელი მოუგონეს. პარასკევს კი, „ჰოფენჰაიმთან“ დუბლი შეასრულა და „ჰამბურგის“ ხელმძღვანელებმაც შვებით ამოისუნთქეს - როგორც ჩანს, ფული წყალში არ გადაგვიყრიაო.

*„რუდნევსმა ხანდახან თვითონაც არ იცის, სად ურტყამს. მას ისეთი დარტყმა აქვს, როგორც ცხენს - დიდხანს არ ფიქრობს ხოლმე, ეგრევე კარისკენ უბრახუნებს. ამჯერად ორივეჯერ კარგად დაარტყა და იმედია, ასე გააგრძელებს,“* - თქვა მატჩის შემდეგ ჰამბურგელთა მეკარე **რენე ადლერმა**.

### ვედო დაბრუნდა!

გახსოვთ 2008/2009 წლების სეზონის პირველი წრე და იმ დროისთვის ბუნდესლიგის დებიუტანტ „ჰოფენჰაიმის“ მანამდე ყველასათვის უცნობი თავდამსხმელი **ვედად იბიშევიჩის** მაშინდელი შედეგიანობა? ბოსნიელი მაშინ ისეთ ფორმაში იყო, რომ სამი გოლის გასატანად ორი შანსი ჰყოფნიდა. იბიშევიჩს გაჰქონდა თავით, ცაციით, მარჯვენა ფეხით, პენალტით და ხანდახან კვერცხებითაც კი. ამ უქმეებზე ვედო სწორედ ისეთი ვედო იყო, როგორიც მაშინ - ძველ კარგ დროს. იბიშევიჩი ახლა „შტუტგარტის“ თავდამსხმელია და კვირას „შალკესთან“ ჰეთ-თრიკი შეასრულა. მის ანგარიშზე 14 მატჩში (ორი ტური დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა) 10 გოლია და იბიშევიჩი ბუნდესლიგის ბომბარდირთა რეიტინგის ერთ-ერთი ლიდერია - **შტეფან კისლინგთან** (ლევერკუზენი) და **ალექს მაიერთან** (აინტრახტი) ერთად.

### არმინ ფეე და აინტრახტი

გერმანიაში **არმინ ფეე** მაშინ არ დაუფასებიათ ასე, როცა „შტუტგარტი“ ყველასათვის მოულოდნელად გაჩემპიონა. ახლა, როცა მისი „აინტრახტი“ ელიტაში აღზევების შემდეგ შედეგთან ერთად, ბრწყინვალე ფეხბურთს თამაშობს და მხოლოდ შიგადაშიგ აქვს ჩავარდნები, ფეეს მთელი საფეხბურთო გერმანია ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად მოიხსენიებს.

„აინტრახტმა“ 16 ტურში 31 გოლი გაიტანა, რაც მესამე შედეგია და პირველი წრის მიწურულს ფრანკფურტელები საუკეთესო ოთხეულში არიან. ამ ხნის მანძილზე არმინი ამბობდა, ჩვენი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ელიტაში ადგილის შენარჩუნებააო, „ვერდერის“ განადგურების შემდეგ (4:1) კი, მიზანი ოდნავ შეცვალა და თქვა: „რა თქმა უნდა, ყველას გვინდა, რომ მეტი შევძლოთ.“

...და გერმანიაში არმინ ფეეს დაფასება დაიწყეს.

**გოტფრიდ ლენცი**

### საუკეთესო ფეხბურთელები

XVI ტურის შემდეგ, „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | შეფასება | ს/შ |
|---|---|---|---|
| 1. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 11 | 2.09 |
| 2. რენე ადლერი | ჰამბურგი | 16 | 2.22 |
| 3. კევინ ტრაპი | აინტრახტი | 16 | 2.22 |
| 4. აარონ ჰანტი | ვერდერი | 14 | 2.39 |
| 5. თომას მიულერი | ბაიერნი | 15 | 2.54 |
| 6. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 14 | 2.54 |
| 7. სებასტიან როდე | აინტრახტი | 16 | 2.59 |
| 8. დიეგო ბენალიო | ვოლფსბურგი | 16 | 2.63 |
| 9. ფაბიან გიფერი | ფორტუნა | 16 | 2.63 |
| 10. ტონი კროოსი | ბაიერნი | 16 | 2.73 |

### გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. თომას მიულერი | ბაიერნი | 15 | 9 | 9 | 18 |
| 2. ჟაბოლკ ჰუშტი | ჰანოვერი | 14 | 5 | 9 | 14 |
| 3. ვედად იბიშევიჩი | შტუტგარტი | 14 | 10 | 3 | 13 |
| 4. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 16 | 10 | 3 | 13 |
| 5. რობერტ ლევანდოვსკი | ბორუსია (დ) | 15 | 9 | 4 | 13 |
| 6. ტონი კროოსი | ბაიერნი | 16 | 6 | 5 | 11 |
| 7. ალექსანდერ მაიერი | აინტრახტი | 16 | 10 | 1 | 11 |
| 8. მარკო როისი | ბორუსია (დ) | 16 | 6 | 5 | 11 |
| 9. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 11 | 4 | 7 | 11 |
| 10. შტეფან აიგნერი | აინტრახტი | 16 | 6 | 4 | 10 |

### XVI ტურის გმირი

### ვედად იბიშევიჩი (შტუტგარტი)



მამაც ფეხბურთელებს მწვრთნელებისგან მაქსიმალური მხარდაჭერა სჭირდებათო, თქვა ამას წინათ „შტუტგარტის“ მწვრთნელმა **ბრუნო ლაბადიამ** და დაამატა, ჩვენთან პენალტებს კვლავ იბიშევიჩი დაარტყამსო. არადა, ბოსნიელ თავდამსხმელს ზედიზედ ორი პენალტი ჰქონდა გაფუჭებული. ვედომ ლაბადიას მადლობა მაბათს გადაუხადა: „შალკესთან“ მატჩში ჰეთ-თრიკი შეასრულა და ერთი გოლი სწორედ თერთმეტმეტრიანით შეაგდო. ზემოთაც ვთქვით, რომ 28 წლის თავდამსხმელს ამ სეზონში უკვე 10 გოლი აქვს გატანილი და ამბობს, ერთ სეზონში 40 გოლის გატანა შემიძლიაო. მართლა მამაცია, ხო იცით?!

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით



ბარსელონა

# კაცი, რომელმაც მსოფლიოს რეკორდი დაამყარა

## მესი: ახლა ჩემი მისიაა, რაც შეიძლება მეტი გოლი გავიტანო დარჩენილ მატჩებში, რომ ჩემი რეკორდის გამეორება ვერავინ მოახერხოს

**ბუნებრივია,** სადღაც, რომელიმე სუსტ საფეხბურთო ლიგაში, ვინმეს ამაზე მეტი გოლიც შეიძლება ჰქონდეს გატანილი, მაგრამ კვირა საღამოს ლიონელ ანდრეს მესიმ მთელი მსოფლიო აალაპარაკა. სევილიაში, „ბეტისის“ კარში 25 წლის არგენტინელმა სუპერვარსკვლავმა 2 გოლი გაიტანა და კალენდარულ წელს ოფიციალურ მატჩებში 86 გოლი დაუგროვდა, რაც ერთით მეტია, ვიდრე გერმანელი გერდ მიულერის 40 წლის წინანდელი რეკორდი. თუმცა რატომ ერთით მეტი? ტელეკომპანია ESPN-მა დაადგინა, რომ სინამდვილეში „დერ ბომბერ“ მიულერმა 1972 წელს 84 გოლი გაიტანა. ასეა თუ ისე, რეკორდი დაემხო, გაუმარჯოს ახალ რეკორდს!

### პირველი მაინც გუნდია

საოცნებო წელიწადი გამოუვიდა მესის. ვფიქრობთ, რეკორდის დამყარების შემდეგ მისი შანსი „ოქროს ბურთზე“ კიდევ უფრო გაიზარდა და ახლა სამეულში (ის, **კრიშტიანო რონალდო** და **ანდრეს ინიესტა**) აშკარა ფავორიტია. ლა ლიგის ბოლო სეზონის „პიჩიჩი“ მან მოიპოვა 50 გოლით, რისთვისაც „ოქროს ბუცი“ მიიღო, როგორც კონტინენტის მთავარმა მეგოლემ. ის გახდა ჩემპიონთა ლიგის ბომბარდირი 14 გოლით, მოიგო „კოპა დელ რეი“ „ბარსელონასთან“ ერთად. ამ სეზონშიც საუკეთესო მეგოლეა 15 მატჩში 23 გოლით, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის 6 მატჩში ლეომ 5 გოლი გაიტანა.

სხვათა შორის, 86 გოლი სულაც არ არის ზღვარი - არგენტინელს კიდევ სამი თამაში რჩება წლის ბოლომდე, ერთი ესპანეთის თასზე და ორი ლა ლიგაში. მართალია, 100-გოლიან ბარიერს ვერ მიაღწევს (თითო შეხვედრაში 5-5 გოლიც არ ჰყოფნის), მაგრამ ამ ნიშნულთან მიახლოება კი შეუძლია „ლა პულგას“.

*„დიდებული რეკორდია! ძალიან გახარებული ვარ, რომ ის დავამხე, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ისაა, რომ დღეს, ჩვენ მატჩი მოვიგეთ და მდევრებთან უპირატესობა შევინარჩუნეთ. ოთხშაბათს მცირე შიში ვჭამე ტრავმის გამო, თუმცა დღეს ძალიან მინდოდა თამაში. ახლა ჩემი მისიაა, რაც შეიძლება მეტი გოლი გავიტანო დარჩენილ მატჩებში, რომ ჩემი რეკორდის გამეორება ვერავინ მოახერხოს“*, - ბოლო ფრაზა „ლა პულგამ“, რა თქმა უნდა, ხუმრობით თქვა. მესიმ დაამატა: *„როცა სეზონი იწყება, ყველა გუნდთან ერთად რაც შეიძლება მეტი მატჩის მოგებას ვგეგმავთ, პერსონალური მიღწევები ყოველთვის მეორეხარისხოვანია“.*

### რეკორდი დეტალებში

* „ბენიტო ვილიამარინზე“ დუბლის შესრულებით ლეო მესიმ 2012 წელს 86 ოფიციალური გოლი გაიტანა.

* ლა ლიგაში 34 მატჩში 56 გოლი გაიტანა. **გერდ მიულერმა** გერმანიის ჩემპიონატის 34 მატჩში 42 გოლი გაიტანა.

* ევროთასებზე მესიმ 11 მატჩში 13 გოლი გაიტანა. მიულერმა: 10 - 4 მატჩში.

* ქვეყნის თასისთვის ბრძოლაში მესიმ 7მატჩში 3 გოლი გაიტანა. მიულერმა: 7 - 6 მატჩში.

* სექტემბერი იყო ყველაზე პროდუქტიული მესისთვის - 13 გოლი. მიულერისთვის - მარტი (13 გოლი).

* სულ „ბარსას“ და არგენტინის ნაკრების მაისურით მესიმ 66 მატჩში 86 გოლი გაიტანა. მიულერმა - 60 მატჩში - 85.



ლიონელ მესი ტოპ-ფორმაში

* 86-დან 76 გოლი მესიმ ცაციით გაიტანა, 7 - მარჯვენა ფეხით და 3 თავით.

*74 გოლი მესიმ საჯარიმოს ტერიტორიიდან გაიტანა (14 პენალტი), 12 - საჯარიმოს გარდენა (7 საჯარიმო დარტყმით).

* ყველაზე მეტად მესიმ „მალაგა“ და „ლევერკუზენი“ აზარალა - 6-6 გოლი გაუტანა.

* ყველაზე მეტი საგოლე პასი **ანდრეს ინიესტაზე** მოდის - 9, მერე მოდიან: **სესკ ფაბრეგასი** და **ალექსის სანჩესი** (6-6).

* 86 გოლის გასატანად მესის 343 დღე ეყო.

### მესის ერთადერთი ნაკლი

გთავაზობთ წინა რეკორდსმენის კომენტარს: *„ჩემმა რეკორდმა 40 წელი გაძლო და ის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა დაამხო. მესი საოცარი ფეხბურთელია და მოხარული ვარ მის გამო. თავმდაბალი ადამიანი ჩანს, მინდა, რომ მისმა რეკორდმა კიდევ 40 წელიწადი გაძლოს. ჩემი აზრით, მესის ერთადერთი ნაკლი აქვს - ის „ბაიერნში“ არ თამაშობს“*, - თქვა გერდ მიულერმა.

### სეზონში საუკეთესო 30 წუთი

სხვათა შორის, რეკორდის ავტორმა ძალიან შეაქო „ბეტისი“. არგენტინელი მართალია, 0:2-ის შემდეგ სევილიურმა კლუბმა ბევრი პრობლემა შეუქმნა „ბარსელონას“ და კინაღამ ქულის გადარჩენაც შეძლო. **პეპე მელის** გუნდი ტყუილად არ არის ცხრილის ზედა ნახევარში და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვისაც იბრძვის.

**ტიტო ვილანოვა** ძალიან კმაყოფილი იყო შეხვედრით, განსაკუთრებით პირველი ნახევრით: *„მოხარული ვართ, რომ მესიმ თამაშიც შეძლო და ორი გოლით გუნდს მოაგებინა, თავად კი მიულერის რეკორდი დაამხო. ვნახოთ, დარჩენილ მატჩებში იქნებ, მოუმატოს კიდევაც გოლთა რიცხვს. შეხვედრის პირველი 30 წუთი „ბარსელონასთვის“ წლეულს უდავოდ საუკეთესო იყო, მაგრამ მე ვაფრთხილებდი ბიჭებს, რომ „ბეტისი“ სახიფათოა - მეტოქეს პირველ ნახევარში ბევრი არაფერი შეუქმნია, მაგრამ გოლი გაიტანა, რამაც თამაშის შინაარსი მთლიანად შეცვალა და 3 ქულისთვის ბოლომდე დახარჯვამ მოგვიწია“*, - განაცხადა „ბარსელონას“ თავკაცმა. დებიუტანტ მწვრთნელს ახლა 15 მატჩში 43 ქულა აქვს, ლა ლიგის ყველა დროის რეკორდი მან წინა ტურში დაამხო, ახლა კი უფრო გაზარდა.

### წინ თასია!

ოთხშაბათს „ბარსელონას“ „სამეფო თასის“ პირველი მერვედფინალური მატჩი ელის - „კორდობასთან“, კვირას კი „კამპ ნოუზე“ ტურის მატჩია - „დეპორტივოს“ კარში 5 გოლის ავტორი **რადამელ ფალკაო** და კომპანია ტიტო ვილანოვას გუნდს ესტუმრება. სავარაუდოდ, მწვრთნელი „კორდობასთან“ საგარეო მატჩში რამდენიმე ფეხბურთელს დაასვენებს. ალბათ ამით არის გამოწვეული, რომ პირველ გუნდთან ერთად ემზადებიან: **სერხი გომესი, კინტილია, რომანი, ესპინოსა, იე, ბალიუ, ოიერი** და **ტელიო.**

### წლეულს სესკს ვეღარ ვნახავთ

„ბარსელონაში“ ყველაფერი იდეალურად იქნებოდა, რომ არა სესკ ფაბრეგასის ტრავმა სევილიურ ჯახში. შემტევი ნახევარმცველი თამაშის დასაწყისშივე, მე-9 წუთზე ალექსის სანჩესით შეცვალეს. სესკმა ფეხის ორთავა კუნთი დაიზიანა. ექიმთა დასკვნით, მას 3-4 კვირა გაუცდება. ასე რომ, წლეულს ფაბრეგასს ვეღარ ვნახავთ („ბარსას“ ლა ლიგის 2 და თასის მატჩი რჩება). ფეხბურთელმა შეიძლება, 2013 წლის პირველი ორი შეხვედრაც გამოტოვოს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ელვა.ჯი
პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო
www.elva.ge

ჩვენ გჩუქნით წიგნებს!
ეს წიგნები მაღაზიებში 35 ლარამდე ღირს
იჩქარეთ, მხოლოდ 31 დეკემბრამდე!

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო“ და „პალიტრა მედიის“ კიდევ ერთი გამოცემა და აირჩიეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L“-ის წიგნი ბესტსელერები:

„მოგზაურობათა დიდი ილუსტრირებული ატლასი“
„დავით აღმაშენებელი“ - კონსტანტინე გამსახურდია (2 წიგნად)
„ვეფხისტყაოსანი“ (3 D)




| მედია "პალიტრის" გამოცემები | 1 ეგზ. ფასი | ერთეულის რაოდენობა 1 წლის მანძილზე | 1 წლის ფასი |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1 | 52 | 52 |
| არსენალი | 2 | 26 | 52 |
| ბომონდი | 5 | 12 | 60 |
| გზა | 1 | 52 | 52 |
| და... ქალი | 2 | 12 | 24 |
| ისტორიანი | 2 | 12 | 24 |
| კარიბჭე | 1 | 26 | 26 |
| კარუსელი | 0.80 | 52 | 41.60 |
| ლელო | 0.80 | 312 | 249.60 |
| ლიტ. პალიტრა | 2 | 12 | 24 |
| ოჯახის მკურნალი | 1 | 26 | 26 |
| რეიტინგი | 1.50 | 52 | 78 |
| საბავშვო კარუსელი | 1 | 52 | 52 |
| სიტყვა და საქმე | 1 | 260 | 260 |
| სიტყვა და საქმე (კატალოგი) | 2 | 52 | 104 |
| ყველა სიახლე | 1 | 52 | 52 |
| Georgian Journal | 2 | 52 | 104 |

დაგვიკავშირდით, პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო ელვა.ჯი ტელ.: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76 www.elva.ge

## უცხოური ფეხბურთი

**საფრანგეთი. ლიგა 1. XVI ტურის გამოხმაურება**



„ლიონს" მიშელ ბასტოსმა მოაგებინა

# დერბიმ იმედები გაამართლა

**სენტ ეტიენი–ლიონი 0:1**

**სენტ ეტიენი** (4-3-2-1): რუფიე – კლერი, ბაიალი, პერენი, გულამი – კლემანი, ლემუანი (76. ა. ალონსო), კოადი (79. გილავოგი) – ამუმა, გრადელი (82. ალეკსიჩი) - ობამეიანი

**ლიონი** (4-3-2-1): ვერკუტრი – რევეიე, ბიშევაცი, უმტიტი, დაბო – მალბრანკი, გონალონი, გურკუფი (61. მ. ბასტოსი) – გრენიე (12. ფოფანა), ლაკაზეტი – გომისი (87. ბენზია).

**გოლი:** 0:1 მ. ბასტოსი (65).

**გაფრთხილება:** ბაიალი, ობამეიანი, ა. ალონსო – ბენზია.

**გაძევება:** ა. ალონსო (85) – დაბო (55).

**მაყურებელი:** 26 579

პირველად 1980/81 წლების სეზონის შემდეგ, როდესაც "სენტ ეტიენი ბოლოს გახდა ჩემპიონი, "დერბი დუ რონის" ორივე მონაწილე მატჩის წინ სატურნირო ცხრილის სამეულში იყო. "სენტ ეტიენის" და "ლიონის" 105-ე დაპირისპირებამ მოლოდინი გაამართლა და შეხვედრა ისეთი გამოდგა, როგორიც დერბის ეკადრება.

მატჩის პირველი ნახევარი უკეთ სტუმრებმა ჩაატარეს და ყველაზე რეალური საგოლე მომენტიც **რემი გარდის** შეგირდებს ჰქონდათ, მაგრამ **ანტონი რევეიემ**, ყოფილი სენტეტიენელი **ბაფეტიმბი გომისის** კარგი გადაცემით ვერ ისარგებლა და გოლი ვერ გაიტანა. მეორე ნახევრის დასაწყისში, კიდევ ერთმა ყოფილმა სენტეტიენელმა **მუჰამადუ დაბომ, მაქს-ალენ გრადელთან** შეჯახების შემდეგ, ნერვები ვერ მოთოკა და კოტდივუარელს თავი ჩაარტყა, რასაც მისი გაძევება მოჰყვა. სხვათა შორის, დაბო ამ გუნდების შარშანდელ დაპირისპირებაშიც გააძევეს და მაშინ "სტად ჟერლანზე" გამარჯვება "ლიონს" დარჩა. ისტორია ამჯერადაც განმეორდა და შეხვედრის ერთადერთი გოლი, დაბოს გაძევებიდან რამდენიმე წუთში, ლაზარეთიდან ცოტა ხნის წინ დაბრუნებულმა **მიშელ ბასტოსმა** გაიტანა. ბრაზილიელმა თავის სტილში, სტანდარტულიდან შეძლო **სტეფან რუფიეს** კარის აღება.

გაშვებული გოლის შემდეგ, მასპინძლებს ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ "ლიონის" დაცვას ვერაფერს უხერხებდნენ. ყველაფერი კი 85-ე წუთზე გადაწყდა, როდესაც ცვლილებაზე გამოსულმა **ალეხანდრო ალონსომ**, რომელსაც ერთი წუთის წინ **სამუელ უმტიტისთან** უხეშობის გამო, ყვითელი ბარათი ჰქონდა მიღებული, ისევ უმტიტის წინააღმდეგ იუხეშა და საკუთარი გუნდიც კაცნაკლული დატოვა.

საბოლოოდ 0:1 და "სენტ ეტიენმა" საკუთარ მოედანზე მოსისხლე მტრის დამარცხება ზედიზედ მეთოთხმეტედ ვერ შეძლო (ბოლოს 1994 წელს მოუგო). ამ გამარჯვების წყალობით, რემი გარდის შეგირდებმა ჩემპიონატში ლიდერობა გაიმყარეს. ახლა "ლიონი" უახლოეს მდევრებს, "პარი სენ ჟერმენს" და "მარსელს" უკვე 5 ქულით უსწრებს.

ტატო ბაციკაძე

**ესპანეთი. ლა ლიგა. XV ტური**

**ვალეკანო–სარაგოსა 0:2**

**გოლები:** 0:1 სუკულინი (21), 0:2 აპონიო (60)

**რაიო ვალეკანო (4-2-3-1):** კობენიო - ტიტო, გალვესი, ამატი (83. არანა), ნაჩო - ტრაშორასი (74. ბილე ნილსენი), ფუეგო - ფ. ვასკესი (64. დელიბაშიჩი), ა. დომინგესი, ლ. ბანგურა - ლეო კარილიო.

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - სეპუნარუ, პინტერი, ალვარო, აბრაამი - აპონიო, მოვილია - სუკულინი (69. ბაბოვიჩი), ვ. როდრიგესი (77. ხოსე მარი), მონტანიესი (89. ვილჩესი) - პოშტიგა.

**გაფრთხილება:** ბანგურა, ფუეგო - აბრაამი, ალვარო, სუკულინი

**კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 16-21; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 11-10 (3-7); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 9 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 15 | 14 | 1 | 0 | 50-17 | 43 |
| 2. ატლეტიკო | 15 | 12 | 1 | 2 | 35-13 | 37 |
| 3. რეალი | 15 | 10 | 2 | 3 | 37-12 | 32 |
| 4. მალაგა | 15 | 7 | 4 | 4 | 23-10 | 25 |
| 5. ბეტისი | 15 | 8 | 1 | 6 | 24-26 | 25 |
| 6. ლევანტე | 15 | 7 | 3 | 5 | 20-21 | 24 |
| 7. ხეტაფე | 15 | 7 | 2 | 6 | 18-20 | 23 |
| 8. ვალიადოლიდი | 15 | 6 | 3 | 6 | 22-18 | 21 |
| 9. სოსიედადი | 15 | 6 | 3 | 6 | 22-19 | 21 |
| 10. ვალენსია | 15 | 6 | 3 | 6 | 19-23 | 21 |
| 11. სევილია | 15 | 5 | 4 | 6 | 21-22 | 19 |
| 12. სარაგოსა | 15 | 6 | 1 | 8 | 18-23 | 19 |
| 13. ვალეკანო | 15 | 6 | 1 | 8 | 18-32 | 19 |
| 14. ბილბაო | 15 | 5 | 3 | 7 | 20-32 | 18 |
| 15. სელტა | 15 | 4 | 3 | 8 | 16-20 | 15 |
| 16. ოსასუნა | 15 | 3 | 4 | 8 | 12-16 | 13 |
| 17. მალიორკა | 15 | 3 | 4 | 8 | 14-27 | 13 |
| 18. გრანადა | 15 | 3 | 3 | 9 | 11-24 | 12 |
| 19. ესპანიოლი | 15 | 2 | 5 | 8 | 15-24 | 11 |
| 20. დეპორტივო | 15 | 2 | 5 | 8 | 21-37 | 11 |

**ამბები**

## ჟილბერტო სილვა რონალდინიოს თანაგუნდელი გახდა

ლონდონის "არსენალის" ყოფილი ნახევარმცველი **ჟილბერტო სილვა**, რომელიც ბოლოს "გრემიოში" თამაშობდა, იანვრიდან **რონალდინიოს** თანაგუნდელი გახდება და "ატლეტიკო მინეიროში" ჩაირიცხება. 36 წლის ვეტერანი ყოფილ გუნდში ბრუნდება, სადაც 2000/02 წლებში ასპარეზობდა და სწორედ აქედან წავიდა "არსენალში".

*"იმედი მაქვს, "ატლეტიკოს" დავეხმარები. ჩემი გამოცდილების წყალობით, თანაგუნდელებისთვის სასარგებლო არა მხოლოდ მოედანზე, არამედ მოედანს მიღმაც უნდა ვიყო"* – განაცხადა ჟილბერტომ.

ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი "ატლეტიკოს" პირველი შენაძენია. გუნდის მთავარი მწვრთნელი **კუკა** კიდევ რამდენიმე ტრანსფერს გეგმავს, რადგან მინას ჟერაესის შტატის წარმომადგენლებს საკმაოდ დატვირთული პერიოდი ელით – "ატლეტიკო" შტატის პირველობის და ბრაზილიის ჩემპიონატის გარდა ხომ ლიბერტადორესის თასზეც ითამაშებს.

## უაჩიპატო ჩილეს ჩემპიონია

ჩილეში დასრულდა 2012 წლის კლაუსურა, რომლის გამარჯვებულიც, 38-წლიანი პაუზის შემდეგ, "უაჩიპატო" გახდა. საპასუხო ფინალური შეხვედრის წინ, ფავორიტად "უნიონ ესპანიოლა" მიიჩნეოდა, რომელსაც პირველი შეხვედრა შინ მოგებული ჰქონდა (3:1). მეორე მატჩის დებიუტში ანგარიში სტუმრებმა გახსნეს და საკუთარი უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდეს, მაგრამ "უაჩიპატოს" ფეხბურთელები არ დანებდნენ და დარჩენილ დროში სამი გოლის გატანა მოახერხეს, მათ შორის ბოლო ბურთი მასპინძლებმა უკანასკნელ წუთზე გაიტანეს. საბოლოოდ, საპასუხო შეხვედრაც პირველის მსგავსი ანგარიშით დასრულდა და ჩემპიონის გამოსავლენად პენალტების სერია გახდა საჭირო. 11-მეტრიანები უკეთ მასპინძლებმა შეასრულეს (3:2) და ჩილეს ჩემპიონის ტიტული ისტორიაში მეორედ მოიპოვეს.

ტატო ბაციკაძე

## ქართული სპორტი

**ძიუდო. ფედერაციის ყრილობა**

# დახურული ყრილობა და უცნაური [illegible]

### მედია გარიყულის როლში

როგორც იქნა, ძიუდოს ფედერაციის სამჯერ გადადებულ ყრილობას ჩატარება, თავად ფედერაციას კი ახალი პრეზიდენტი ეღირსა - ევროპის ვიცე-ჩემპიონი **დავით ქევხიშვილი**. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გამართული ყრილობა მშვიდ და მეტად უჩვეულო ატმოსფეროში ჩატარდა, რადგან უშუალოდ სდომის მიმდინარეობისას ქევხიშვილს კონკურენტები შემოეცალნენ - მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ოლიმპიური ვერცხლის მედალოსანმა **თემურ ხუბულურმაც** და მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ირაკლი ცირეკიძემაც** კანდიდატურები მოხსნეს. თავისთავად ეს ფაქტიც ფრიად გასაკვირია, რადგან თავის დროზე ქევხიშვილი დაპირისპირებულ მხარეთა შეთანხმებული კანდიდატი იყო და საარჩევნო მარათონში სხვების ჩართვა ამ ჯენლტმენური გარიგების დარღვევად მოჩანდა, თუმცა ამაზე მეტად ჩვენი გაკვირვება სხვა რამემ გამოიწვია - სხდომის დაწყებიდან მალევე, როცა საქართველოში ძიუდოს ერთ-ერთმა დამაარსებელმა მწვრთნელმა **გურამ პაპიტაშვილმა** დელეგატებს ქართული ძიუდოს რაინდული ტრადიციები შეახსენა და ყრილობის მონაწილეებს მათი დაცვისკენ მოუწოდა, სხდომა პრესისთვის დაიხურა! ისე გამოდის, თურმე მედია ვყოფილვართ დამნაშავე იმ დაპირისპირებაში, რასაც ფედერაციაში უკვე ამდენი წელიწადია, ვხედავთ და რაც ყველას მობეზრდა; თურმე ჩვენს გამო ხდებოდა ეს ყველაფერი, თორემ თვითონ არაფერი ჰქონიათ საჩხუბარი! ოღონდ ახლა მაინც დაწყნარდნენ, ახლა მაინც სცენ პატივი ერთმანეთსაც, ძიუდოს ქართულ სამყაროსაც, ზემოხსენებულ რაინდულ სულისკვეთებასაც და ჩვენ სულაც განზე გავდგებით. თუ სურთ, არც მათ მიღწევებს გავაშუქებთ, თორემ დღევანდელი რეალობა დასავლური სამყაროსთვის შეუფერებელ სახეს იღებს - როცა წარმატებებს აღწევენ, მაშინ ძალიანაც სჭირდებათ მედია, არიქა, გააშუქეთ, რა მაგრები ვართო, იმის იქით კი თურმე მათი მტრები ვყოფილვართ.



დახურვის შემდეგ სხდომა მშვიდად წარიმართა, ან კი საკამათო რაღა იყო, როცა კანდიდატურების მოხსნის შემდეგ ქევხიშვილი უალტერნატივოდ დარჩა და მთავარი საკითხიც გაირკვა. დელეგატებმაც ღია კენჭისყრით ერთხმად დაუჭირეს მხარი მის კანდიდატურას. ამით ორთვიანი სპექტაკლიც სახელწოდებით „ძიუდოს არჩევნები" - დასრულდა. იმედია, საბოლოოდ და ქევხიშვილი მართლაც შეძლებს დაპირისპირებული სამყაროს მორიგებას.

### უკონკურენტო ქევხიშვილის გეგმები

როგორც ყრილობის დასრულების შემდეგ გავიგეთ, ქევხიშვილმა ალმასკომის 15-კაციანი შემადგენლობაც დაასახელა, თუმცა ეს რიცხვი, შესაძლოა, 17-მდე გაიზარდოს. მისი გადაწყვეტილებით, ალმასკომში შევიდა ოლიმპიადისა და მსოფლიოს ყველა ჩემპიონი: თემურ ხუბულური, **შოთა ხაბარელი, დავით ხახალეიშვილი, ამირან ტოტიკაშვილი, ზურაბ ზვიადაური** და ირაკლი ცირეკიძე. რამდენიმე წევრი ძველი შემადგენლობიდანაც დარჩა, თუმცა არიან ახალი კადრებიც. ქევხიშვილმა პირველ ვიცე-პრეზიდენტად **მამუკა ყიზილაშვილი** დაასახელა, ხოლო გენერალური მდივნისა და ორი ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატურას მოგვიანებით წარუდგენს ალმასკომს.

აი, რა განგვიცხადა ყრილობის დასრულების შემდეგ ახალმა პრეზიდენტმა დავით ქევხიშვილმა:

- უპირველესად, გაერთიანება უნდა შევძლოთ. ამის ნიშნები დავინახე ყრილობაზეც და მანამდეც, რისთვისაც დიდ მადლობას ვეუბნები ყველას. საბედნიეროდ, ერთიანობისთვის ყველამ გადადგა ნაბიჯი. ცხადია, მთავარი აქცენტი ნაკრებზე გადავა, რადგან ის ყველაფრის საზომია. ყურადღება გამახვილდება იმაზეც, რომ ძიუდოს ფედერაცია, როგორც ერთიანი ორგანიზმი, იყოს ძლიერი ორგანიზაცია და ქმედუნარიანი. ფედერაცია უნდა გაძლიერდეს ფინანსურად, მატერიალურად, ცვლილებები იქნება საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხითაც. შესაძლოა, ახალი კადრებიც მოვიზიდოთ, რათა ფედერაცია მყარ ორგანიზაციად იქცეს, რომელიც თავის თავს მიხედავს.

ჩემი სურვილია, გენერალურ მდივნად იმუშაოს არა მაინცდამაინც ძიუდოისტმა, არამედ პიროვნებამ, ვინც იქნება კარგი მენეჯერი, ეცოდინება უცხო ენა და ასე შემდეგ. ის კურატორობას გაუწევს იმ ორ ვიცე-პრეზიდენტს, ნაკრებების და ფედერაციის სტრუქტურულ-რგანიზაციული სრულყოფის ხელმძღვანელებს. გენერალური მდივანი ამ სფეროებს გააერთიანებს და არაა გამორიცხული, ამ თანამდებობაზე კონკურსიც გამოვაცხადოთ. დიდი სურვილი მქონდა, მეთანამშრომლა ახლანდელ გენერალურ მდივან ვლადიმერ ნუცუბიძესთან, მაგრამ მან თავად არ ისურვა ეს სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით, თუმცა ის ჩვენთან მაინც დარჩება, როგორც უმაღლესი კატეგორიის მსაჯი. მნიშვნელოვანი იქნება ყიზილაშვილის ფუნქციაც - ის ფედერაციის არასანაკრებო მხარეს, ამ კუთხით მის განვითარებას მიხედავს. თუმცა ეს ჯერ იდეის დონეზეა და ვნახოთ, თუ დაამტკიცებს ალმასკომი.

**- ამბობენ, რომ ყვარლის გამგებლადაც ინიშნებით. მოახერხებთ ორივე პოსტის შეთავსებას?**

- ეს ჯერ მხოლოდ საუბრის დონეზეა, თუმცა საკითხი ჩემი გადასაწყვეტია. ჯერ უნდა ჩავიდე ადგილზე, გავიარო კონსულტაციები და მერე მივიღებ გადაწყვეტილებას, მაგრამ შეთავსებაც შესაძლებელია. მით უფრო, როცა ფედერაციაში გუნდი ჩამოყალიბდება და სისტემა აეწყობა. ჩემთვის ძიუდო მთავარია და თუ შეთავსება შეუძლებელი გახდება, ფედერაციის პრეზიდენტად დავრჩები.

**- ცირეკიძესთან დაკავშირებით რას იტყვით?**

- მოგეხსენებათ, ის ჩემი ერთ-ერთი უახლოესი მეგობარია, მაგრამ ამას თავი დავანებოთ და მიმაჩნია, რომ შეუძლია ნებისმიერი ფუნქციის კარგად შესრულება. ძიუდოს ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია რაღაც გადაადგილებები მართლაც მოხდეს. კონსულტაციებს მასთანაც გავივლი და ცხადია, ალმასკომთანაც. მივიღებთ საერთო საქმისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას. ვფიქრობთ, ნაკრებში სისტემაა შესაცვლელი და ფუნქციები უნდა გაიმიჯნოს - რამდენმა მწვრთნელმა უნდა იმუშაოს ნაკრებთან, ვის რა ფუნქცია ექნება და ასე შემდეგ... ოღონდ ვიდრე ეს საკითხები დალაგდება, მანამ ცირეკიძე გააგრძელებს ნაკრებთან მუშაობას და საქართველოს ჩემპიონატზეც ის იქნება თუნდაც იმიტომ, რომ ჩემპიონატმა კარგად ჩაიაროს.

### ყოფილ კანდიდატთა კომენტარები

ქევხიშვილის შემდეგ მის ყოფილ კონკურენტებსაც გავესაუბრეთ. თემურ ხუბულურმა კანდიდატურის მოხსნა ასე განმარტა: *„არ მინდოდა, დაპირისპირების მიზეზი ვყოფილიყავი, ძიუდოს სამყარო მე მიჭერდა მხარს. მქონდა იმედი, რომ ახალგაზრდებთან შევთანხმდებოდი, მაგრამ ამას ვერ მივაღწიე და ამიტომ მოვხსენი კანდიდატურა".*

ირაკლი ცირეკიძე: - თავიდანვე მიმაჩნდა, რომ უფრო მეტი სარგებელის მოტანა მწვრთნელის ამპლუაში შემეძლო. ახლაც დიდი სურვილი მაქვს იქ

>> მე-11 გვერდზე

« მე-10 გვერდიდან



დავით ქევხიშვილი

მუშაობისა, სადაც ჩემს გამოცდილებას სხვებს გავუზიარებ. გარკვეული მიზეზების გამო გაჩნდა აუცილებლობა კანდიდატურის წამოყენებისა, თუმცა კიდევ ვიმეორებ - მიმაჩნდა, რომ მე ჩემი საქმე უნდა მეკეთებინა დარბაზში. რადგან ბატონი თემურ ხუბულური ჩამოსცილდა არჩევნებს, მეც მოვხსენი კანდიდატურა. ქევხიშვილი შესაფერის პრეტენდენტად მიმაჩნია. მომწონს მისი ხედვები და გეგმები. მსურს, ერთხელ და სამუდამოდ ამოისუნთქოს ძიუდომ და აღარ იყოს დაპირისპირება, შუღლი, ყველა ის ადამიანი, ვისაც ქართული ძიუდოსთვის წარმატების მოტანა ხელეწიფება, ერთად დადგება და აღარ იქნება პიროვნული ინტერესი.

**- ქევხიშვილს რომ განეცხადებინა უარი არჩევნებში მონაწილეობაზე, მაშინ თუ მოხსნიდით კანდიდატურას?**

- ქევხიშვილს რომ მოეხსნა კანდიდატურა, მაშინ შედგებოდა არჩევნები.

**- ნაკრების მთავარ მწვრთნელად გააგრძელებთ მუშაობას, ამ კუთხით ჯერ ხომ არაფერი გარკვეულა?**

- ეს სამსჯელო თემაა, რადგან ჩემ საწინააღმდეგოდ გარკვეული ხელის შემშლელი ფაქტორები არსებობს, თუმცა რეალურ მიზეზს ვერ დამისახელებენ, რატომ არ უნდა ვიყო მწვრთნელი. ერთი ფაქტორი შეიძლება ის იყოს, რომ სიმართლეს ვამბობდი.

**- მაგრამ ამ სიმართლეს ქევხიშვილთან რა კავშირი აქვს, ამისთვის რატომ უნდა დაისაჯოთ?**

- ჩემი დატოვება-მოხსნის საკითხი მთლიანად ქევხიშვილის ხელშია, ამ შემთხვევაში მე არაფერი არ შემიძლია.

**- ამ დღეებში ვარჯიში არ ჩაგიტარებიათ, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატამდე ავარჯიშებთ ნაკრებს?**

- კი, ვარჯიშს ჩვეულებრივად გავაგრძელებ.

ირაკლი თავაძე

ოლიმპიური კომიტეტი

# ოლიმპიური საპრეზიდენტო სამაია

გუშინ ამოიწურა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის არჩევნებში კანდიდატურების წარდგენის ვადა. ადრე გაცხადებულ პრეტენდენტებს - სეოკ-ის მოქმედ თავკაც **გია ნაცვლიშვილსა** და პარლამენტარ **ლერი ხაბელოვს** ბოლო მომენტში საქართველოს აკადემიური ნიჩბოსნობის ახლადარჩეული პრეზიდენტი **ბეჟან ხურციძეც** დაემატა.

სესია 20 დეკემბერს სასტუმრო „მეტეხში" გაიმართება. მოწვეულია 111 დელეგატი, გამარჯვებულად კი ის კანდიდატი გამოცხადდება, რომელიც რეგისტრირებულთა საერთო რაოდენობის ხმების 50+1-ს მოაგროვებს.

ირაკლი თავაძე

ჭადრაკი

# გურამიშვილმა წრიული მოიგო

ხუთი ქვეყნის 10 წარმომადგენელი მონაწილეობდა მოჭადრაკე ქალთა წრიულ საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც ესპანურმა ბენიდორმმა უმასპინძლა. მოასპარეზეთა შორის ოთხი ქართველი იყო - თბილისელი **სოფიკო გურამიშვილი,** ბათუმელი **ნინო ბაციაშვილი,** საფრანეთში გათხოვილი **ნინო მაისურაძე** და გაესპანელებული **ანა მათნაძე.** განსაკუთრებით გურამიშვილმა იყოჩაღა - ხუთი პარტია მოიგო (დაამარცხა ბაციაშვილი, მაისურაძე, ესპანელები - მარიელა პერერა, ანაბელ გუადამურო, ლუცია ფიდალგო), ოთხი ყაიმით დაასრულა, 7 ქულით პირველი ადგილი დაიკავა და რეიტინგი 10 პუნქტით გაიმდიდრა. ჩვენებურს ნახევარი ქულით ჩამორჩა რუსი ანასტასია სავინა. 5,5-5,5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები მათნაძემ და ბაციაშვილმა გაინაწილეს, მაისურაძეს (5 ქულა) მე-6 ადგილი ერგო.

ვაჟა დანელია



# შანავა მესამეა

ქართველი დიდოსტატი **კონსტანტინე შანავა** პავლოდარის (ყაზახეთი) საერთაშორისო ტურნირში რეიტინგით მეექვსე იყო, მაგრამ საბოლოოდ 107 მონაწილეს შორის მეორე-მეხუთე ადგილები გაინაწილა. მე-10 ტურში მან შავი ფიგურებით ვადიმ მალახატკოს (ბელგია) სძლია და 7,5 ქულას მოუყარა თავი. ჩვენებურის უშუალო მეტოქეები ერთმანეთს დაუზავდნენ. ყაიმზე შეთანხმდნენ: ავეტიკ გრიგორიანი (სომხეთი) - სემიონ დვოირისი (რუსეთი), პაველ პონკრატოვი (რუსეთი) - ვლადისლავ არტემიევი (რუსეთი), ალექსეი ალექსანდროვი (ბელარუსი) - ალექსანდრ ზუბარევი (უკრაინა).

საბოლოოდ, 8 ქულით პირველი ადგილი გრიგორიანმა დაიკავა. 7,5-7,5 ქულით, შესაბამისად, მეორე-მეხუთე ადგილებზე გავიდნენ: არტემიევი, შანავა, დვოირისი და ალექსანდროვი.

ვაჟა დანელია

# საგზურები განაწილდა



ავტორის ფოტო

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 70-ე ეროვნული ჩემპიონატში 12 მანდილოსანი ითამაშებს წრიული სისტემით. შვიდი მათგანის ვინაობა ცნობილი იყო, 5 მონაწილე კი ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის შეჯიბრებამ გამოავლინა. გუშინ ცხრატურიანი მარათონის ბოლო ორთაბრძოლები გაიმართა. ფავორიტთა სამი შეხვედრა ყაიმით დასრულდა. დაზავდნენ: ლიკა კობეშავიძე - სოფიო გვეტაძე, მაკა ფურცელაძე - ანა კუჭავა, ინგა ხურცილავა - ანა გავაშელი.

ამდენად, პირველ-მეხუთე ადგილებზე გავიდნენ და უმაღლესი ეშელონის საგზურები **სოფიო გვეტაძემ** (7,5 ქულა), **მაკა ფურცელაძემ** (7), **ინგა ხურცილავამ** (6), **ანა კუჭავამ** (6) და **ლიკა კობეშავიძემ** (6) მოიპოვეს.

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი

# გაიმარჯვა და ნატნოზ კორტებს შემორჩა

ანტალიაში დამთავრდა ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი), რომელშიც პირველ ნომრად იყო განთესილი თბილისელი **ნიკოლოზ ბასილაშვილი.** ფინალში მან უკრაინელი ვლადიმირ იჟილოვსკი სამ სეტში დაამარცხა - 3:6, 6:2, 6:2 და მთავარი პრიზი მოიპოვა. ბასილაშვილი ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ანტალიაში დარჩა, სადაც დღეიდან ისევ 10.000-იან ტურნირში ჩაებმება და იქაც პირველი ნომერია.

ქალთა ასპარეზობის (ისიც ანტალიაშია და 10.000-დოლარიანი) საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩაება **მარიამ ბოლქვაძე,** რომელმაც სტარტზე მარია კიპარენკოს (რუსეთი) სძლია - 6:0, 7:5, მეორე წრეში კი სამირა გიგერო (შვეიცარია) ჩამოიშორა გზიდან - პირველი სეტი 6:4 მოიგო, მეორეში 1:0 რომ დაწინაურდა, მეტოქემ ტრავმის გამო ორთაბრძოლის გაგრძელება ვერ შეძლო. მესამე წრეში რუმინელ ლკა კსორეგის თუ დაამარცხებს, ძირითად ბადეში ითამაშებს. ამავე ტურნირში ცდიდა ძალებს **თამარ ჭალაგანიძე,** მაგრამ პირველივე შეხვედრა ალესია პირანთან (იტალია) წააგო - 2:6, 1:6.

ახალი მონაცემებით ნიკოლოზ ბასილაშვილს პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) რეიტინგში 146 ქულით 312-ე ადგილი უკავია. 948 (958). **ალექსანდრე მეტრეველი** (10 ქულა), 1366 (1369). **გიორგი ცივაძე** (3), 1479 (1474). **გიორგი ჯავახიშვილი** (2).

WTA-ს განახლებული რეიტინგი: 51 (51). **ანა ტატიშვილი** (1140), 311 (300). **სოფიო შაფათავა** (153), 404 (403), **მაკა ჩახნაშვილი** (93), 416 (423), **სოფიო ქვაცაბაია** (89), 417 (416). **ოქსანა კალაშნიკოვა** (88), 493 (492). **ეკატერინე გორგოძე** (62), 636 (634). **ნათია გეგია** (37), 1151 (1142). **ანი გოგვაძე** (3).

ვაჟა დანელია

მწვრთნელის არდავიწყება

# ვლადიმერ აფციაურის ხსოვნის ტურნირი ქუვეითში

წლეულს 50 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა სახელოვანი ქართველი მოფარიკავე, სეულის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული, მსოფლიოს და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ევროპის თასის მფლობელი რაპირაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი **ვლადიმერ აფციაური,** რომელიც 18 წლის განმავლობაში ქუვეითელ მუშკეტერებს ავარჯიშებდა. მისი ხელმძღვანელობით ამ ქვეყნის სპორტსმენებმა ხუთჯერ არაბული სახელმწიფოების ჩემპიონატები მოიგეს.

ამას წინათ ქუვეითში დასავლეთი აზიის მოფარიკავეთა საკლუბო პირველობა გაიმართა, რომელშიც რაპირისტთა გუნდური ასპარეზობა ვლადიმერ აფციაურის ხსოვნას მიეძღვნა. შეჯიბრებაში მასპინძლებთან ერთად ეგვიპტის, ერაყის, იორდანიის, ტუნისის, ყატარის, საუდის არაბეთისა და ირანის წარმომადგენლებიც იბრძოდნენ მედლებისთვის. ზოგიერთი გუნდის შემადგენლობაში ის მოფარიკავეებიც იყვნენ, რომლებისთვისაც ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონს გამოცდილება გაუზიარებია.

რაპირაში პირველი ადგილი დაიკავა მასპინძელთა "იარმუკმა", რომელსაც წლების განმავლობაში აფციაური ავარჯიშებდა. გამარჯვებულებს მთავარი პრიზი ოლიმპიური ჩემპიონის მეუღლემ **ირინე სხირტლაძემ** გადასცა, რომელიც სპეციალურად მიიწვიეს ამ ღონისძიებაზე. *„ტურნირი ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. მადლობის მეტი რა მეთქმის - ვოვას შრომას და ღვაწლს უკვალოდ არ ჩაუვლია. ქუვეიტის ფარიკაობის მესვეურებმა ჩვენი ფედერაციის გენერალურ მდივანს ბატონ დავით სახვაძეს, რომელიც ჩემპიონატზე მსაჯობდა, სთხოვეს, ურთიერთობას ნუ გავწყვეტთ, ჩვენს შეჯიბრებებზე მოგიწვევთ და თქვენს ტურნირებზეც ჩამოვალთო. ამგვარი კონტაქტები ხომ არა მარტო სპორტსმენების, არამედ ჩვენი ქვეყნების მეგობრობასაც შეუწყობს ხელს"*, - გვითხრა ირინე სხირტლაძემ.

ვაჟა დანელია



ირინე სხირტლაძე ქუვეითელებთან

ძიუდო

# სარეიტინგო ტურნირი საგარეჯოში

საგარეჯოს ძიუდოს ცენტრალურ სპორტულ დარბაზში საქართველოს ძიუდოს ეროვნულმა ფედერაციამ და საგარეჯოს სპორტულმა გაერთიანებამ 1996-1997 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა სარეიტინგო ტურნირს უმასპინძლა ძიუდოში. ტურნირში აჭარის, მესტიის, ზესტაფონის, თელავის, ქარელის, გორის, კასპის, თიანეთის, ახმეტის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, ბორჯომის, თბილისის, საგარეჯოს და აზერბაიჯანის ქალაქ სუმგაითის 300-მდე ჭაბუკმა ძიუდოისტმა იასპარეზა.

**გამარჯვებულები და პრიზიორები**

**50 კგ.** 1. ნიკო ჭიკაიძე (ახმეტა), 2. ნარიმან ახმედოვი (სუმგაითი, აზერბაიჯანი), 3. ირაკლი კუპატაძე (საგერეჯო), გელა გარაყანიძე (თბილისი).

**55 კგ.** 1. ბექა ნათათრაშვილი (თბილისი), 2. შოთა ბესიაშვილი (თბილისი, „შევარდენი"), 3. თემურ ჩუტკერაშვილი (ბორჯომი), რომან რატიანი (მესტია).

**60 კგ.** 1. ზვიად ხუბულური (გორი), 2. გიორგი კაციაშვილი (კასპი), 3. ოთარ კაციაშვილი (საგარეჯო), ბაჩო ჭიკაძე (დედოფლისწყარო).

**66 კგ.** 1. კობა მჭედლიშვილი, 2. სიმონ მამარდაშვილი (ორივე — საგარეჯო), 3. ბექა ფალიანი (მესტია), ნიკა მამულაშვილი (თბილისი, ძიუდოს აკადემია).

**73 კგ.** 1. თამაზ კირაკოზაშვილი (საგარეჯო), 2. ბაჩანა ბოლქვაძე (აჭარა), 3. ზურაბ ლომიძე (ზესტაფონი), ზვიად მრელაშვილი (ახმეტა).

**81 კგ.** 1 გიორგი ქურდიანი (თბილისი), 2. იესო კვირიკაშვილი (გორი), 3. ნიკა მოველიძე (საგარეჯო), დავით იმერლიშვილი (ქარელი).

**90 კგ.** 1. ჯაბა მუმლაძე (ახმეტა), 2. მიხეილ ჟორჟოლიანი (მესტია), 3. დავით რამაზაშვილი (ახმეტა), დავით ოზბეთელაშვილი (თბილისი).

**+90 კგ.** 1. გიორგი ძებისაშვილი (თბილისი), 2. ზაზა გოჯიაშვილი (თიანეთი), 3. დავით რაზმაძე (თელავი), გიორგი ფარადაშვილი (ქარელი).



ჭაბუკების ორთაბრძოლებს თვალყურს ადევნებდნენ საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის აღმასრულებელი მდივანი **ანზორ მარტყოფლიშვილი,** ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი **გიორგი თენაძე,** საქართველოს ძიუდოს ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელი **ანზორ თენაძე,** სამბოს ცნობილი ოსტატები — მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **უშანგი კუზანაშვილი,** ევროპის ჩემპიონი **დავით სვიმონიშვილი,** მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **მამუკა კურდღელაშვილი,** საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ძიუდოს ნაკრების მწვრთნელი **გურამ მოდებაძე,** საგარეჯოს სპორტული გაერთიანების დირექტორი **გია ბედიაშვილი** და სხვები. ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საგარეჯოს მაჟორიტარმა დეპუტატმა, ქალბატონმა **თინა ხიდაშელმა** და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ახალმა გამგებელმა **გიორგი ლოლაძემ.**

გარდა გამარჯვებულებისა და პრიზიორებისა, სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ ცალკეულ ნომინაციებში გამორჩეული ჭაბუკები.

თენგიზ კოზიაშვილი
საგარეჯოდან

# კალათბურთი

**ევროჩელენჯი. თბილისი, სპორტის სასახლე. არმია-ტელეკომი, 20:30**


ეპიზოდი პირველი მატჩიდან

## კარის გაჯახუნებისთვის

დღეს საქართველოს ჩემპიონი „არმია" ევროჩელენჯის ბოლო მატჩს გამართავს - ბონის „ტელეკომს" (გერმანია) უმასპინძლებს. არმიელთა ყველა საშინაო მატჩი 18 საათზე დაიწყო, ეს შეხვედრა კი 20:30 საათზე გაიმართება. გაგახსენებთ „შსს აკადემიას" მწვრთნელის, **გიორგიოს კეცელიდისის** მოწოდებას - დარბაზში ყველამ ახლობელ-ნათესავები მივიყვანოთ, მხარი დავუჭიროთ „არმიას", რათა ფიბა-ევროპას დავანახოთ, რომ საქართველოში კალათბურთი ძალიან უყვართო.

სატურნირო სიტუაციას თუ გადავხედავთ, „ანტვერპენს", „ტელეკომსა" და „ჰაპოელს" მომდევნო ეტაპზე გასვლის თითქმის თანაბარი შანსი აქვთ, ჩვენს გუნდს კი ბოლო ტურის მატჩში ერთი მიზანი ექნება - კარის გაჯახუნება. გერმანელთა ძლევა რეალური რომ არის, ამაში ბონში გამართულმა მატჩმაც დაგვარწმუნა. რომ არა ბოლო წამებზე აცილებული საჯარიმოები, მატჩის არათუ ოვერტაიმში გადაყვანა, მოგებაც შეიძლებოდა. საბოლოოდ 71:75 „ტელეკომის" სასარგებლოდ.

დაველოდოთ მატჩს და ვნახოთ, როგორ გაიხურავს კარს „არმია", ხმაურიანად თუ...

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰაპოელი | 5 | 4 | 1 | 404/360 | 9 |
| 2. ანტვერპენი | 5 | 3 | 2 | 385/372 | 8 |
| 3. ტელეკომი | 5 | 3 | 2 | 389/378 | 8 |
| 4. არმია | 5 | 0 | 5 | 337/405 | 5 |

**11 დეკემბერი**

20:30 არმია-ტელეკომი (გერმანია)
23:30 ანტვერპენი (ბელგია)-ჰაპოელი (ისრაელი)

**მინსკის საერთაშორისო ტურნირი. U-16**

## პოსტსაბჭოელ თანატოლებში

**7 დეკემბერი**

**საქართველო-უკრაინა 65:77**

10:24, 13:19, 19:15, 23:19

**საქართველო:** ალიევი (1ქ), გოგალაძე (5ქ, 5მ), ქვარაია, ფალავა, ისიანი (25ქ, 10მ), სხირტლაძე (2ქ, 7მ), ლომიძე (9ქ, 5მ, 3პ), თვალაბეიშვილი (4ქ), სანაია, გოგობერიშვილი (10ქ, 7მ), აფხაზავა (9ქ, 4პ).

**8 დეკემბერი**

**ბელარუსი-საქართველო 81:68**

24:20, 17:13, 18:20, 22:15

**საქართველო:** ალიევი, გიორგაძე, გოგალაძე (16ქ), ქვარაია, ფალავა, ისიანი (12ქ, 9მ, 4ჩ), სხირტლაძე (10ქ), ლომიძე (18ქ, 5ჩ), თვალაბეიშვილი, სანაია (5ქ), გოგობერიშვილი (4ქ), აფხაზავა (3ქ).

**9 დეკემბერი**

**ლიტვა-საქართველო 92:61**

31:11, 20:19, 20:23, 21:8

**საქართველო:** ალიევი, გიორგაძე (4ქ), გოგალაძე (17ქ, 8მ), ქვარაია, ფალავა, ისიანი (19ქ, 9მ, 3პ), სხირტლაძე, ლომიძე (8ქ), თვალაბეიშვილი (2ქ), სანაია, გოგობერიშვილი (11ქ), აფხაზავა.

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა მინსკის საერთაშორისო ტურნირი დაასრულა. შეჯიბრებაში ჩვენ გარდა პოსტსაბჭოთა სამი ქვეყნის კადეტთა ნაკრები მონაწილეობდა: ბელარუსი, უკრაინა და ლიტვა.

ეს იყო პირველი ეტაპი ჩვენი გუნდის საევროპო მზადებისა - აგვისტოში ქართველები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაებმებიან, რისთვისაც გუნდი საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატშიც ემზადება.

როგორც მწვრთნელები ამბობდნენ, ზაფხულამდე შემადგენლობაში ცვლილებები კიდევ მოსალოდნელია.

მინსკის საერთაშორისო ტურნირი კადეტთა ნაკრებისთვის პირველი სერიოზული გასვლითი შეჯიბრება იყო და იმედი დავიტოვოთ, რომ კადეტმა კალათბურთელებმა საკმარისი გამოცდილება მიიღეს.


უკრაინელებს უტევს გიგი გოგობერიშვილი

**ლეგიონის კვირა**


ცინცაძის მითითებები დნიპროსთან მატჩისას

## მოსავლიანი კვირეული

### იტალია

გასული შვიდდღეული უცხოეთში მოთამაშე ქართველი კალათბურთელებისთვის გამორჩეული იყო. ამას თამამად მანუჩარ მარკოიშვილის გარჯის შემყურენი ვწერთ. მან ხომ ლომის წვლილი შეიტანა მადრიდის „რეალის" ძლევაში - 23 ქულა ჩააგდო. მანუმ ქულაუხვი სერია იტალიის ჩემპიონატშიც განაგრძო და „ბიელას" ძლევაში 17-ბალიანი წვლილი შეიტანა. საინტერესოა, რომ მანუჩარმა 12 ქულა მეოთხე პერიოდში ჩააგდო.

იტალიაში გუშინ გვიან დასრულდა ვიქტორ სანიკიძის „მონტეპასკის" მატჩი, რომლის შესახებ ცხრილიდან შეიტყობთ, ისევე როგორც გიორგი შერმადინის „მაქაბის" შეხვედრაზე. აქ კი გეტყვით, რომ გიორგის ვაჟი შეეძინა, რასაც კალათბურთელს გულითადად ვულოცავთ.

### NBA

განვლილი 7 დღე მოსავლიანი იყო ზაზა ფაჩულიას „ატლანტასთვის" რომელმაც სამივე მატჩი მოიგო და აღმოსავლეთის კონფერენციაში მესამე ადგილამდე ავიდა. ზაზას როლზე მისი წუთობრივი მონაგარიც მეტყველებს.

თორნიკე შენგელიას „ბრუკლინმა" პირიქით, გასულ კვირას ყველა მატჩი წააგო. ქართველი თავდამსხმელი კი მწვრთნელს მოედანზე არ გამოუყვანია.

### ევროთასი

გიორგი ცინცაძის „ბუდიველნიკმა", ფაქტობრივად, სეზონის მატჩი მოიგო - ჩეხეთის „ნიმბურკთან" გამარჯვებით უკრაინელებმა მომდევნო ეტაპისკენ დიდი ნაბიჯი გადადგეს. მათ დარჩენილი აქვთ მატჩი ლიტვაში, „პრიენაისთან". მარცხის შემთხვევაშიც კი ცინცაძის თანაგუნდელებს მომდევნო ეტაპზე გასვლის კარგი შანსი შერჩებათ. ურთულეს სიტუაციაშია ამავე ჯგუფის ბინადარი ჯეიკობ პულენის „ჰაპოელი", რომელსაც ჩეხეთში ურთულესი მატჩი ელის. „ჰაპოელის" ძლევის შემთხვევაში პირველ ადგილს „ნიმბურკი" დაიკავებს, მეორეს - „ბუდიველნიკი". ჯგუფიდან ორი საუკეთესო გადის.

ევროპაზე წარმატებული სვლა კიეველებმა უკრაინის ჩემპიონატში განაგრძეს. მათ სტუმრად ორი დნეპრისპირული გუნდი დაამარცხეს. განსაკუთრებით ეფექტური ცინცაძე მეორე მატჩში იყო: 7-დან 3 ორქულიანი, 5-დან 2 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო და 14 ქულას მოუყარა თავი.

### აზია

ირანში კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა 224 სმ სიმაღლის ცენტრმა სერგო ათუაშვილმა, რომელმაც 19 მოხსნა მიითვალა. რაც მთავარია, სერგოს ორმაგი დუბლი (19 მოხსნა, 15 ქულა) „ქეშმის" გამარჯვების საწინდარი გახდა - „სანაიეს" 69:57 სძლია.

ირანიდან ლიბანში გადასულ ნიკა ცქიტიშვილს „ჩამპვილის" შემადგენლობაში დებიუტი იორდანიულ „ორთოდოქსთან" მატჩში ჰქონდა. შეხვედრა ლიბანელთა გამარჯვებით დასრულდა, ხოლო ქართველმა თავდამსხმელმა 15 ქულა მიითვალა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**




| მოთამაშე | გუნდი | თარიღი | შეჯიბრება | VS | ანგარიში | წუთი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა (NBA) | 5.12 | NBA | VS დენვერი | 108:104 | 23 | 11 | 7 | 2 | 0 | 1 |
| | | 7.12 | NBA | VS ვაშინგტონი | 104:95 | 27 | 4 | 9 | 4 | 1 | 0 |
| | | 8.12 | NBA | მემფისი VS | 93:83 | 35 | 1 | 9 | 2 | 0 | 1 |
| თორნიკე შენგელია | ბრუკლინი (NBA) | 4.12 | NBA | VS ოკლაჰომა | 111:117 | არ უთამაშია | | | | | |
| | | 7.12 | NBA | VS გოლდენ სტ. | 102:109 | არ უთამაშია | | | | | |
| | | 9.12 | NBA | VS მილუოკი | 88:97 | არ უთამაშია | | | | | |
| მანუჩარ მარკოიშვილი | კანტუ (იტ) | 6.12 | ევროლიგა | VS რეალი (ესპ) | 76:70 | 34 | 23 | 6 | 3 | 2 | 2 |
| | | 9.12 | იტალიის ჩემპ. | VS ბიელა | 85:62 | 34 | 17 | 4 | 2 | 1 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | მონტეპასკი (იტ) | 7.12 | ევროლიგა | შალონი (საფ) VS | 108:103 დ.დ. | 20 | 4 | 5 | 2 | 0 | 0 |
| | | 10.12 | იტალიის ჩემპ | VS კრემონა | 81:68 | 23 | 6 | 4 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი შერმადინი | მაქაბი (ისრ) | 6.12 | ევროლიგა | პროკომი (პოლ) VS | 73:89 | 5 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 |
| | | 10.12 | ისრაელის ჩემპ. | ნეთანია VS | 82:89 | 8 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ცინცაძე | ბუდიველნიკი (უკრ) | 5.12 | ევროთასი | VS ნიმბურკი (ჩეხ) | 72:62 | 23 | 8 | 4 | 2 | 1 | 0 |
| | | 7.12 | უკრაინის ჩემპ | დნიპრო აზოტი VS | 73:82 | 30 | 5 | 2 | 7 | 0 | 0 |
| | | 9.12 | უკრაინის ჩემპ | დნიპრო VS | 66:71 | 28 | 14 | 4 | 1 | 4 | 0 |
| ბექა ბურჯანაძე | კახასოლი (ესპ) | 5.12 | ევროთასი | VS სასარი (იტა) | 76:85 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| | | 9.12 | ესპანეთის ჩემპ. | ბილბაო VS | 76:79 | არ უთამაშია | | | | | |
| ჯეიკობ პულენი | ჰაპოელი (ისრ) | 5.12 | ევროთასი | VS რუდუპისი (ლიტ) | 92:79 | 29 | 10 | 1 | 6 | 2 | 0 |
| | | 9.12 | ისრაელის ჩემპ. | მაქაბი (ჰაიფა) VS | 103:92 | 21 | 13 | 0 | 5 | 0 | 0 |
| ნიკა ცქიტიშვილი | ჩამპვილი (ლიბანი) | 7.12 | ამხანაგური | VS ორთოდოქსი (იორდ) | 102:90 | - | 15 | - | - | - | - |
| სერგო ათუაშვილი | ქეშმი (ირანი) | 3.12 | ირანის ჩემპ. | VS სანაიე | 69:57M | 39 | 15 | 19 | 3 | 0 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# გორგოძე კაპიტანი, ლელოსა და სალელოვე გადაცემის ავტორი

**ჰაინეკენის თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპის მესამე ტურში შესანიშნავად იაპარეზეს ქართველ მორაგბეთა ფრანგულმა კლუბებმა. ხუთი „ქართული გუნდიდან“ ხუთივემ მოიგო და პლეი ოფში გასვლის შანსს ინარჩუნებენ. მარცხი განიცადა მხოლოდ ჩვენებურის შოტლანდიურმა გუნდმა „ედინბურგმა“.**


მამუკა გორგოძის ლელო

ედინბურგელები A ჯგუფში ასპარეზობენ და სამი თამაშიდან სამივე წააგეს. **დიმიტრი ბასილაიას** გუნდი ამჯერად სტუმრად დამარცხდა ფრანგულ „მეტრო რასინგთან“ - 9:19. მიუხედავად იმისა, რომ წინ კიდევ სამი თამაშია, „ედინბურგი“ ნული ქულით ბოლო ადგილზეა და უშანსოა. ბასილაია ტრავმირებულია და არ უთამაშია.

ამავე ჯგუფის ლიდერი ინგლისური „სარასენზი“ სტუმრად დამარცხდა ირლანდიურ „მანსტერთან“ - 9:15.

B ჯგუფში სამიდან სამი გამარჯვებით ლიდერობს **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზი“. ჩვენებურთა გუნდმა შინ დამაჯერებლად სძლია ერთ-ერთ კონკურენტს უელსურ „ოსფრიზს“ - 30:14. ტულუზელებმა 13 ქულა დააგროვეს და უახლოეს მდევარ ინგლისურ „ლესტერს“ სამი ქულით უსწრებენ, რომელმაც შინ იტალიურ „ბენეტონს“ მოუგო - 33:25. ბრეგვაძეს და კაკოვინს ტრავმა აწუხებთ და არ უთამაშიათ.

სტუმრად უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა D ჯგუფში მოასპარეზე **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრმა“. ჩვენებურის გუნდმა დაძაბულ ბრძოლაში შოტლანდიურ „გლაზგოს“ მოუგო - 9:6. კასტრელები ამ წარმატების შემდეგ რვა ქულით მეორე ადგილზე არიან და ლიდერს, ირლანდიურ „ალსტერს“, რომელმაც სტუმრად ინგლისურ „ნორსჰემპთონს“ მოუგო - 25:6, ექვსი ქულით ჩამორჩება.

ფეიქრიშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამშში 51-ე წუთიდან ჩაერთო.

სამი თამაშიდან სამი მოგება აქვს **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონს“, რომელიც E ჯგუფის ლიდერია. „ვულკანებმა“ უმძიმეს ბრძოლაში შინ დაამარცხეს ტურნირის უმთავრესი ფავორიტი, ირლანდიური „ლენსტერი“ - 15:12. მატჩის მეორე დღეს გუნდის ახალზელანდიელმა მწვრთნელმა ვერნ კოტერმა მოთამაშეები თერმულ აბანოში წაიყვანა, რამაც მორაგბეებს დაძაბული და შრომატევადი მატჩის შემდეგ ძალების აღდგენის საშუალება მისცა. კლერმონელები, ფაქტობრივად, თამაშის მეორე დღიდანვე შეუდგნენ განმეორებითი მატჩისთვის მზადებას, რომელიც მომავალ უქმეებზე დუბლინში გაიმართება.

ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და მე-60 წუთზე შეცვალეს, კოლელიშვილი დისკვალიფიცირებულია.

ამავე ჯგუფში ინგლისურმა „ექსეტერმა“ სტუმრად მოუგო უელსურ „ჰლანეჰლის“ - 22:16.

F ჯგუფს ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი „ტულონი“ და „მონპელიე“ ლიდერობს. ჯგუფური ტურნირის მესამე ტურში ორივემ სტუმრად მოიგო. **დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონმა“ სტუმრად დაამარცხა ინგლისური „სეილ შარქსი“ - 17:6. ინგლისელი მგზავების **დენი სიპრიანისა** (სეილ შარქსი) და **ჯონი ვილკინსონის** (ტულონი) დუელი ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა. „ვილკომ“ ახალგაზრდა ვიზავის დაანახვა, რომ ეროვნულ ნაკრებში თამაშის, ჯერჯერობით, უსაფუძვლო ამბიცია გააჩნია.

ქუბრიაშვილი თადარიგში იყო და მოედანზე 76-ე წუთიდან გამოჩნდა, მიქაუტაძეს და ჩილაჩავას არ უთამაშიათ.

**მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გიორგი ჟღენტის** „მონპელიემ“ ასევე სტუმრად დაამარცხა უელსური „კარდიფი“ - 35:24. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი მამუკა გორგოძე დაასახელეს, რომელმაც გუნდს პირველად უკაპიტნა. მან 64-ე წუთზე ლელო გაიტანა, მატჩის მიწურულს კი ფიჯელ გარემარბ **ტიმოსი ნაგუსას** გაატანინა.

გორგოძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, ნარიაშვილი 50-ე წუთზე შეცვალეს, ჟღენტი ტრავმირებულია და არ უთამაშია.

## ჰაინეკენის თასი

### A ჯგუფი

მანსტერი-სარასენზი 15:9, მეტრო რასინგი-ედინბურგი 19:9

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სარასენზი - 10 ქულა, 2. მანსტერი - 10, 3. მეტრო რასინგი - 8, 4. ედინბურგი - 0.

**IV ტური**

სარასენზი-მანსტერი, ედინბურგი-მეტრო რასინგი

### B ჯგუფი

ტულუზი-ოსფრიზი 30:14, ლესტერი-ბენეტონი 33:25.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულუზი - 13 ქულა, 2. ლესტერი - 10, 3. ოსფრიზი - 5, 4. ბენეტონი - 0.

**IV ტური**

ოსფრიზი-ტულუზი, ბენეტონი-ლესტერი

### C ჯგუფი

ქონოთი-ბიარიცი 22:14, ზებრე-ჰარლიქვინზი 14:57

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჰარლიქვინზი - 14 ქულა, 2. ქონოთი - 8, 3. ბიარცი - 5, 4. ზებრე - 0.

**IV ტური**

ბიარიცი-ქონოთი, ჰარლიქვინზი-ზებრე.

### D ჯგუფი

გლაზგო-კასტრი 6:9, ნორსჰემპთონი-ალსტერი 6:25

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ალსტერი - 14 ქულა, 2. კასტრი - 8, 3. ნორსჰემპთონი - 6, 4. გლაზგო - 1.

**IV ტური**

ალსტერი-ნორსჰემპთონი, კასტრი-გლაზგო

### E ჯგუფი

ჰლანეჰლი-ექსეტერი 16:22, კლერმონი-ლენსტერი 15:12

**სატურნირო მდგომარეობა**

1. კლერმონი - 14 ქულა, 2. ლენსტერი - 9, 3. ექსეტერი - 5, 4. ჰლანეჰლი - 2.

**IV ტური**

ლენსტერი-კლერმონი, ექსეტერი-ჰლანეჰლი

### F ჯგუფი

სეილ შარქსი-ტულონი 6:17, კარდიფი-მონპელიე 24:35

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულონი - 13 ქულა, 2. მონპელიე - 8, 3. სეილ შარქსი - 4, 4. კარდიფი - 1.

**IV ტური**

მონპელიე-კარდიფი, ტულონი-სეილ შარქსი

„ემლინ ჩელენჯ კაპის“ გათამაშებაში მესამე ტური **თამაზ მჭედლიძის** „მონ დე მარსანის“ დაპირისპირებით გაიხსნა „ბორდოსთან“. ჩვენებურთა გუნდმა სტუმრად იყოჩალა და შეჯიბრებაში პირველი გამარჯვება მოიპოვა - 20:13. მარსანელებმა პირველი ტაიმი ორი ქულის სხვაობით 15:13 მოიგეს და შესვენების შემდეგ მასპინძლებს მონაგრის გაზრდის საშუალება არ მისცეს. მჭედლიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

ამავე ჯგუფში ინგლისურმა „გლოსტერმა“ სტუმრად მოუგო თანამემამულე „ლონდონ აირიშს“ - 29:22.

E ჯგუფში სამი თამაშიდან სამი მოიგო **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსემ“. შედეგად პარიზელები 14 ქულით პირველ ადგილზე არიან. ჩვენებურთა გუნდმა სტუმრად მოიგო იტალიურ „პრატოსთან“ - 37:23. ჟვანია ძირითად შემადგენლობაში იყო და 51-ე წუთზე შეცვალეს.

ამავე ჯგუფში ფრანგულმა „გრენობლმა“ შინ მოუგო ინგლისურ „ლონდონ ველშს“ - 20:9.


ნათან ჰაინსი და დავით ზირაქაშვილი

## ემლინ ჩელენჯ კაპი

### A ჯგუფი

ბორდო-მონ დე მარსანი 13:20, ლონდონ აირიში-გლოსტერი 22:29

**სატურნირო მდგომარეობა**

1. გლოსტერი - 13 ქულა, 2. ლონდონ აირიში - 11, 3. მონ დე მარსანი - 5, 4. ბორდო - 1.

**IV ტური**

მონ დე მარსანი-ბორდო, გლოსტერი-ლონდონ აირიში

### B ჯგუფი

ვორსტერი-პერპინიანი 22:21, გერნიკა-როვიგო 13:3

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ვორსტერი - 14 ქულა, 2. პერპინიანი - 11, 3. გერნიკა - 4, 4. როვიგო - 0.

**IV ტური**

როვიგო-გერნიკა, პერპინიანი-ვორსტერი

### C ჯგუფი

მოლიანო-ნიუპორტი 0:33, ბაიონი-ვოსფსი 13:13

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ვოსფსი - 12 ქულა, 2. ბაიონი - 11, 3. ნიუპორტი - 6, 4. მოლიანო - 0.

**IV ტური**

ვოსფსი-ბაიონი, ნიუპორტი-მოლიანო


ბექა შეყლაშვილი

### D ჯგუფი

ბუქარესტი-აჟენი 25:22, ბასი-კალვიზანო 67:11

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბასი - 15 ქულა, 2. ბუქარესტი - 9, 3. აჟენი - 7, 4. კალვიზანო - 2.

**IV ტური**

აჟენი-ბუქარესტი, კალვიზანო-ბასი

### E ჯგუფი

გრენობლი-ლონდონ ველში 20:9, პრატო-სტად ფრანსე 23:37

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სტად ფრანსე - 14 ქულა, 2. გრენობლი - 10, 3. ლონდონ ველში - 4, 4. პრატო - 2.

**IV ტური**

სტად ფრანსე-პრატო, ლონდონ ველში-გრენობლი

■ ■ ■

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში მე-14 ტურის შეხვედრები გაიმართა. ქართველ მორაგბეთა გუნდებმა პოზიციები ოდნავ დათმეს. საპლეიოფო ხუთეულში ახლა ორი „ქართული გუნდია“. სამი კი იქვე, შორიახლოს იმყოფება.

ჩვენებურთა გუნდებიდან საუკეთესო მაჩვენებელი **ლევან დათუნაშვილის, კარლენ ასეიშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკს“ აქვს, რომელიც 41 ქულით მეოთხე ადგილზეა. ორიაკელებმა მე-14 ტურში სტუმრად დაამარცხეს „ოში“ - 19:12. პირველი ტაიმი ფრედ 6:6 დასრულდა და გადამწყვეტი უპირატესობა „ორიაკმა“ შესვენების შემდეგ მოიპოვა.

დათუნაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, ასეიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 23-ე წუთზე შეცვალეს, ნაცარაშვილი თამაშში 67-ე წუთიდან ჩაერთო.

„ორიაკს“ ერთი ქულით ჩამორჩება და მეხუთე ადგილზეა **გურამ კავთიძის** „ლიონი“, რომელმაც სტუმრად წააგო უშუალო კონკურენტ „პოსთან“ - 9:19. კავთიძემ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და 41-ე წუთზე შეცვალეს.

ლიონელებს ორი ქულით ჩამორჩება და მეექვსე ადგილზეა **დავით ხინჩაგიშვილის, ირაკლი ნატრიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „ბრივი“, რომელმაც ასევე სტუმრად წააგო კონკურენტ „ლა როშელთან“ - 16:36. სამივე ქართველი ძირითად შემადგენლობაში იყო. ხინჩაგიშვილი დაშავდა და უკვე მე-14 წუთზე შესაცვლელი შეიქნა, ნატრიაშვილმა მოედანი 54-ე წუთზე დატოვა, შველიძემ თამაშში 11 წუთით მეტი დაჰყო.

38 ქულა აქვს და მეშვიდე ადგილზეა **გიორგი ჩხაიძის, გიორგი ნემსაძის, დავით დადუნაშვილისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბი“, რომელმაც სტუმრად წააგო „კოლომიესთან“ - 6:34. აქაც ყველა ქართველი ძირითად შემადგენლობაში იყო. ნემსაძემ და ჩხაიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშეს, მირცხულავა და დადუნაშვილი კი ერთდროულად, 52-ე წუთზე შეცვალეს. ეს უკანასკნელი 32-ე წუთზე მატჩის არბიტრმა გაასინბინა.

„ტარბს“ ორი ქულით ჩამორჩება და მეცხრე ადგილზეა **ალექსანდრე თოდუას, ვახტანგ მაისურაძის, კახაბერ კობერიძის, ვახტანგ ახობაძისა** და **გიორგი თეთრაშვილის** „ალბი“, რომელმაც შინ მოუგო **ტარიელ რატიანიძის** „დაქსს“ - 25:15. მაისურაძე 46-ე წუთზე შეცვალეს, რატიანიძემ მოედანზე მასზე 25 წუთით მეტი დაჰყო, კობერიძე თამაშში 48-ე წუთიდან ჩაერთო, თოდუა, ახობაძე და თეთრაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

**ბექა შეყლაშვილის** „ბეზიემ“ შინ წააგო გათამაშების ლიდერ „ოიონაქსთან“ 28:33 და ახლა 17 ქულით ბოლოსწინა, მე-15 ადგილზეა. შეყლაშვილმა სრულად ითამშა.

**შალვა სუთიაშვილისა** და **დავით აშვეთიას** „მასი“ 12 ქულით აუტსაიდერია. პარიზელებმა მე-14 ტურში სტუმრად წააგეს „ნარბონთან“ - 25:28. აშვეთია ძირითად შემადგენლობაში იყო და 59-ე წუთზე შეცვალეს, სუთიაშვილი თამაშში 12 წუთით ადრე ჩაერთო.

## II დივიზიონი

### XIV ტური

ექსი-კარკასონი 22:21, ბეზიე-ოიონაქსი 28:33, ალბი-დაქსი 25:15, კოლომიე-ტარბი 34:6, ოში-ორიაკი 12:19, ნარბონი-მასი 28:25, პო-ლიონი 19:9, ლა როშელი-ბრივი 36:16

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ოიონაქსი - 57 ქულა, 2. პო - 43, 3. ლა როშელი - 42, 4. ორიაკი - 41, 5. ლიონი - 40, 6. ბრივი - 38, 7. ტარბი - 38, 8. კარკასონი - 36, 9. ალბი - 36, 10. ნარბონი - 29, 11. კოლომიე - 28, 12. ოში - 28, 13. დაქსი - 20. 14. ექსი - 20, 15. ბეზიე - 17, 16. მასი - 12.

### XV ტური

მასი-კოლომიე, ტარბი-ნარბონი, დაქსი-ოში, ლა როშელი-ალბი, ოიონაქსი-პო, ორიაკი-ბეზიე, ბრივი-ექსი, ლიონი-კარკასონი.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## უცხოური სპორტი

ფორმულა 1


კუბიცა რალის მანქანით

# კუბიცა: ფორმულა გამორიცხულია

"ლოტუსის" ყოფილი პილოტი **რობერტ კუბიცა**, რომელიც თითქმის ორი წელია გადის აღდგენით კურსს 2011 წლის თებერვალს, ერთ-ერთი რალის დროს მომხდარი ავარიის შემდეგ, აღნიშნავს, რომ უახლოეს მომავალში ფორმულა 1-ში მისი დაბრუნება გამორიცხულია. პოლონელის სიტყვებით, ის კარიერის გაგრძელების სხვა ვარიანტებს განიხილავს.

*"ბოლო მომენტამდე იმედი მქონდა, რომ უახლოეს პერიოდში მიხილავდით ფორმულა 1-ის ბოლიდის საჭესთან,* - ამბობს კუბიცა. – *მაგრამ იმედებს ასრულება არ უწერია. მარჯვენა ხელის ფუნქციური მოქმედება ბოლომდე არ არის აღდგენილი. უკვე რამდენიმე ოპერაცია გავიკეთე ამ პრობლემის მოსაგვარებლად, მაგრამ შედეგი ჯერ არ ჩანს. თუ ამას გავუმკლავდი, მაშინ შეიძლება ლაპარაკი ფორმულა 1-ში დაბრუნებაზე. მაგრამ ეს ნამდვილად არ მოხდება უახლოეს მომავალში.*

*ჯერჯერობით არ შემიძლია იმის თქმა, რა მიმართულებით განვითარდება ჩემი კარიერა. ახლა, მოლაპარაკებები მიმდინარეობს რამდენიმე პოტენციურ დამქირავებელთან. ვფიქრობ, გადაწყვეტილების შესახებ უახლოესი ერთი თვის განმავლობაში შეგატყობინებთ. თუ მე რალის ავირჩევ, მაშინ მრავალწლიანი კონტრაქტის გაფორმებას ვისურვებდი. სამწუხაროდ, ახლა არ შემიძლია ფორმულა 1-ში დაბრუნება, ამიტომაც ავტოსპორტის სხვა მიმართულებით უნდა ვეძებო საკუთარი თავი".*

# ფორს ინდია სუტილს იბრუნებს

როგორც ინდური პრესა იტყობინება, საჯინიბო "ფორს ინდია" ამ კვირის ბოლოს გამოაცხადებს შემადგენლობას. ვარაუდობენ, რომ ბრიტანელი **პოლ დი რესტას** პარტნიორი გახდება გერმანელი **ადრიან სუტილი**, რომელიც ადრე უკვე გამოდიოდა ინდურ გუნდში.

შეგახსენებთ, რომ "ფორს ინდიაში" ერთი ადგილი ვაკანტური გახდა მას შემდეგ, რაც "ზაუბერში" გადავიდა კიდევ ერთი გერმანელი **ნიკო ჰიულკენბერგი**. ინდური პრესა ირწმუნება, რომ სუტილის საკითხი უკვე გარკვეულია, მაგრამ მის შესახებ მოგვიანებით გამოაცხადებენ.

■ ■ ■

"რედ ბულის" პილოტს **მარკ უებერს** წარმატებით ჩაუტარდა ფეხზე ოპერაცია. შეგახსენებთ, რომ 2009 წლის სეზონის სტარტამდე ავსტრალიელმა ფეხი მოიტეხა სამთო ველოსიპედიდან გადმოვარდნის შედეგად. ოთხი წლის შემდეგ, უებერს კიდევ ერთი ოპერაცია დასჭირდა იმისთვის, რომ საბოლოოდ მოიშოროს ძველი ტრავმები. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ, მარკ უებერმა ისევ მიიღო მონაწილეობა ანალოგიურ საქველმოქმედო ღონისძიებაში, რის შემდეგაც აღნიშნული ოპერაცია გაიკეთა.

*"საავადმყოფოში ვიზიტი რამდენიმე კვირის წინ დაიგეგმა. კიდევ ერთი ოპერაცია მჭირდებოდა, რათა ძველ ტრავმებს მომავალში აღარ შევეწუხებინე. ყველაფერი კარგად არის და მალე სრულიად ჯანმრთელი ვიქნები. ფეხთან მიმართებაში ყველაფერი წესრიგშია",* - დაწერა ავსტრალიელმა თავის "ტვიტერზე".

■ ■ ■

ფორმულა 1-ის ახალ სეზონში ტექნიკური რეგლამენტი თითქმის არ შეიცვლება და გუნდები ჩემპიონატში იმ ბოლიდების გაუმჯობესებული ვერსიებით გამოვლენ, რომლებითაც წლევანდელ სეზონში იბრძოდნენ. ამიტომაც, ბრიტანულმა საბუკმეიკერო კანტორამ 2013 წლისთვის ფავორიტად ისევ **სებასტიან ფეტელი** გამოაცხადა.

პირველად ბოლო წლების განმავლობაში, პირველ ოთხეულში ვერ ვხედავთ **ლუის ჰემილტონს** – ბრიტანელი "მერსედესში" გადავიდა, ამ გუნდს კი ჯერ ბევრი აქვს გასაკეთებელი იმისთვის, რომ სტაბილურობას მიაღწიოს. სამაგიეროდ, **კიმი რაიკონენთან** მეოთხე ადგილს იყოფს "მაკლარენის" ახალი წევრი **სერხიო პერესი**.

ერთი წლის წინ, ბუკმეიკერებმა პირველ ადგილზე დააყენეს ფეტელი, მეორეზე – ალონსო. მათ გამოიცნეს საერთო ჩათვლის ორივე ლიდერი, 2013 წლისთვის კი ჩემპიონობაზე კოეფიციენტები ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| სებასტიან ფეტელი | 2.10 |
| ფერნანდო ალონსო | 3.75 |
| ჯენსონ ბატონი | 10.00 |
| სერხიო პერესი | 13.00 |
| კიმი რაიკონენი | 13.00 |
| ლუის ჰემილტონი | 15.00 |
| მარკ უებერი | 21.00 |
| ნიკო როსბერგი | 41.00 |
| ფელიპე მასა | 51.00 |
| რომენ გროსჟანი | 67.00 |
| კამუი კობაიაში | 81.00 |
| პასტორ მალდონადო | 81.00 |
| ნიკო ჰიულკენბერგი | 81.00 |


სებასტიან ფეტელი

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# კობის 30 საკმარისი არ არის

ერთიანული კალათბურთო ასოციაციის რეგულარულ ჩემპიონატში ექვსი შეხვედრა გაიმართა და ისევ წააგო "ლოს ანჯელეს ლეიკერსმა". კალიფორნიული გუნდი ღრმა კრიზისშია. გუნდს ვერც **კობი ბრაიანტის** შედეგიანობა შველის. ამჯერად ვეტერანმა ვარსკვლავმა 34 ქულა დააგროვა, მაგრამ შედეგი უცვლელი დარჩა. საინტერესოა, რომ მიმდინარე სეზონში, ათიდან ცხრა შემთხვევაში, როცა კობიმ 30-ქულიან ზღვარს მიაღწია, "ლეიკერსმა" შეხვედრა წააგო. თუმცა ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან "შავმა მამბამ" თამაშიდან 15 ტყორცნა ააცილა და მთელი მატჩის განმავლობაში ერთი მოხსნაც ვერ გააკეთა. **ანტუან ჯეიმისონმა**, რომელიც **პაუ გასოლს** ცვლის, თამაშიდან მხოლოდ ერთი ბურთი (ექვსიდან) მოათავსა კალათში, თან სამი შეცდომა დაუშვა, **მეტა უორლდ პისს** კი "ნულიანი" ჰქონდა მოხსნების, პასებისა და ჩაჭრების გრაფაში.

"ლეიკერსიდან" მხოლოდ **დიუჰონისა** და **ჰოვარდის** გამოყოფა შეიძლება, გარდა ამისა, გუნდმა კარგად ისროლა სამქულიანები (28-დან 15 ჩააგდო), თუმცა "ჯაზი" მაინც კომფორტულად გრძნობდა თავს სტუმრად და არც იმას შეუშინდა, რომ მისი მეტოქე 25 წუთის განმავლობაში ორმაგი ცენტრით თამაშობდა. **ჯეფერსონმა** და **მილსეპმა** მოხსნების საკუთარი ნორმა შეასრულეს, გაიბრწყინა **კანტერმა**, რომელმაც 18 წუთში რვიდან ექვსი ბურთი ჩააგდო. ამას დაემატა **ჰეივორდის, ტინსლისა** და **კეროლის** ჯამური 29 ქულა, 9 პასი და 6 მოხსნა. გამარჯვების მთავარი წინაპირობა კი **კორბინის** შეგირდების 9 შეცდომა იყო – ასე ცოტა დაკარგვა "ჯაზმენებს" ამ სეზონში ჯერ არ ჰქონიათ.

## სხვა მატჩები

ამ დღეს, ასევე 34 ქულა დააგროვა **კარმელო ენტონიმ**, რომელიც გასულ კვირას მიღებული სულელური ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა "ნიუ იორკს". "ლეიკერსისგან" განსხვავებით, "ნიქსმა" მოიგო და დამაჯერებლად ინარჩუნებს ლიდერობას აღმოსავლეთ კონფერენციაში.

ზედიზედ მერვე შეხვედრა მოიგო "ოკლაჰომამ", თუმცა დიდი წინააღმდეგობა შეხვდა "ინდიანასგან". სტუმრებმა მეორე ტაიმში თამაშიდან 60 პროცენტის სიზუსტით ისროლეს და მესამე მეოთხედში ოთხი ქულით წაიყვანეს ანგარიში, მეოთხე 12-წუთეულში კი სამ ქულამდე მიუახლოვდნენ მეტოქეს. მაგრამ ორივე კრიტიკულ სიტუაციაში კარგად ითამაშა **უესტბრუკისა და იბაკას** წყვილმა. პირველ შემთხვევაში მათ 17:3 გაქცევა მოაწყვეს, ბოლოს კი დაცვაში ბრწყინვალე თამაშით შანსი არ დაუტოვეს მეტოქეს.

რთული დროება უდგას "ბრუკლინს", რომელმაც ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო და აქედან სამი – საკუთარ მოედანზე. "ნეტსი" მესამე მეოთხედის შუაში 29 (!) ქულას აგებდა შინ "მილუოკის" წინააღმდეგ. თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ "ბრუკლინმა" გაბრძოლება გადაწყვიტა და სირენამდე სამი წუთით ადრე ექვს ქულამდე შეამცირა სხვაობა. მაგრამ ამის შემდეგ, სტუმრები ერთხელაც არ შეცდნენ მეტოქის ნახევარზე. ბრწყინვალე მატჩი ჩაატარეს **ჯენინგსმა** და **ელისმა**, რომლებმაც ერთად 50 ქულა დააგროვეს, რაც საერთო გუნდური მონაგარის ნახევარზე მეტია.

მოულოდნელად ფინიქსში მოიგო "ორლანდომ", რაც დებიუტანტი **ედრიუ ნიკოლსონის** დამსახურებაა. ფორვარდმა 25 წუთში ოთხი (!) პირადი რეკორდის გაუმჯობესება მოასწრო – დააგროვა 19 ქულა (11-დან 9 ზუსტი ტყორცნა), 9 მოხსნა, 4 ჩაჭრა და 3 პასი. რაც მთავარია, ნიკოლსონმა მაშინ გამოიჩინა თავი, როცა მატჩის ბედი წყდებოდა: ჯერ მეოთხე მეოთხედის დასაწყისში სამი ზუსტი სროლით მხარი აუბა თანაგუნდელთა სპურტს, სირენამდე წუთითა და 50 წამით ადრე კი საშუალო ტყორცნით წერტილი დაუსვა შეხვედრას.

დაბოლოს, "კლიპერსმა" დიდი ანგარიშით მოუგო "ტორონტოს" იმის მიუხედავად, რომ მისმა ლიდერმა **კრის პოლმა** მხოლოდ ოთხი შედეგიანი პასი მიითვალა, **დეანდრე ჯორდანმა** თამაშიდან შვიდიდან ექვსი და საჯარიმოს ხაზიდან 11-დან ექვსი ტყორცნა ააცილა.

| ნიუ იორკი–დენვერი | 112:106 |
|---|---|

23:25, 38:33, 19:26, 32:22

ნ-ი: კ. ენტონი (34), კიდი (17), სმიტი (15), ჩენდლერი (15+12 მოხსნა), ფელტონი (10).

დ: ლოუსონი (23), გალინარი (21), ბრიუერი (15), იგუოდალა (15), ფარიდი (10), მილერი (10).

| ფინიქსი–ორლანდო | 90:98 |
|---|---|

23:20, 25:33, 22:18, 20:27

ფ: ბრაუნი (17), დადლი (15), გორტატი (12), სკოლა (11), მორისი (10).

ო: რედიკი (20), ნიკოლსონი (19), დევისი (15), აფლალო (14), ვუჩევიჩი (12), მური (10).

| ლეიკერსი–იუტა | 110:117 |
|---|---|

27:25, 24:35, 34:28, 25:29

ლ: ბრაიანტი (34), ჰილი (17), მიქსი (16), უორლდ პისი (12), დუჰონი (12+11 პასი), ჰოვარდი (11).

ი: მილსეპი (24+9 მოხსნა), მარვ. უილიამსი (22), ჰეივორდი (14), კანტერი (14), ჯეფერსონი (14+11 მოხსნა), კეროლი (10).

| კლიპერსი–ტორონტო | 102:83 |
|---|---|

25:21, 19:26, 33:26, 25:10

კ: გრიფინი (19), ჯამ. კროუფორდი (16), პოლი (16), ბლედსოუ (14).

ტ: დეროზანი (24), კლეიზა (17), ბარნიანი (12), ამ. ჯონსონი (11+12 მოხსნა).

| ბრუკლინი–მილუოკი | 88:97 |
|---|---|

18:25, 13:23, 24:27, 22:33

ბ: დერ. უილიამსი (18), ჯ. უოლასი (16), მ. ბრუქსი (14), ბლეტჩი (11).

მ: ჯენინგსი (26), ელისი (24), მ. დენიელსი (13), ილიასოვა (10).

| ოკლაჰომა–ინდიანა | 104:93 |
|---|---|

25:22, 32:34, 27:18, 20:19

ო: დურანტი (27), მარტინი (24), უესტბრუკი (21), იბაკა (12).

ი: დევ. უესტი (21), პ. ჯორჯი (17), ჯორჯ ჰილი (15), ლ. სტივენსონი (10), ჰიბერტი (10).

| აღმოსავლეთი | |
|---|---|
| 1. ნიუ იორკი | 15/5* |
| 2. მაიამი | 13/5* |
| 3. ატლანტა | 12/5 |
| 4. ჩიკაგო | 11/8* |
| 5. ბრუკლინი | 11/8 |
| 6. ფილადელფია | 11/9 |
| 7. ბოსტონი | 11/9 |
| 8. მილუოკი | 10/9 |
| 9. ინდიანა | 10/11 |
| 10. ორლანდო | 8/12 |
| 11. შარლოტი | 7/12 |
| 12. დეტროიტი | 7/15 |
| 13. კლივლენდი | 4/17 |
| 14. ტორონტო | 4/17 |
| 15. ვაშინგტონი | 2/15 |

| დასავლეთი | |
|---|---|
| 1. სან ანტონიო | 17/4* |
| 2. ოკლაჰომა | 17/4* |
| 3. მემფისი | 14/4 |
| 4. კლიპერსი | 14/6* |
| 5. გ. სტეიტი | 13/7 |
| 6. იუტა | 12/10 |
| 7. მინესოტა | 9/9 |
| 8. დალასი | 10/10 |
| 9. დენვერი | 10/11 |
| 10. ჰიუსტონი | 9/10 |
| 11. ლეიკერსი | 9/12 |
| 12. პორტლენდი | 8/12 |
| 13. საკრამენტო | 7/12 |
| 14. ფინიქსი | 7/15 |
| 15. ნიუ ორლეანი | 5/14 |

** - დივიზიონის ლიდერი*



ნიუ იორკი წესრიგშია

## ამბები

### მუქარა 25 ათასით ისჯება

"ოკლაჰომასა" და "ლეიკერსის" მატჩში ფორვარდებმა – **სერჟ იბაკამ და მეტა უორლდ პისმა** ერთმანეთის მიმართ არაკორექტული გამოთქმები იხმარეს და ამის გამო, მსაჯებისგან ტექნიკური შენიშვნა დაიმსახურეს. ადრე, პირველ ნოემბერს, მსგავსი სიტუაცია შეიქმნა "სან ანტონიოს" ფორვარდ **სტივენ ჯექსონსა** და იბაკას შორის.

უორლ პისთან ინციდენტის შემდეგ, ჯექსონმა" თავის "ტვიტერზე" დაწერა: *"ვინმემ გადაეცით სერჟ იბაკას, რომ მომდევნო ჯერზე ის ჩემგან სახეში მიიღებს. მე მას ვპირდები".*

მოგვიანებით "სპურსის" ფორვარდმა დაამატა, რომ მის შეტყობინებას არაფერი აქვს საერთო მეტა უორლდ პისთან.

სტივენ ჯექსონის მუქარა შეუმჩნეველი არ დარჩენია ლიგას და მან კალათბურთელი 25 ათასი დოლარით დააჯარიმა.

### ნეში ჯერ ვერ ბრუნდება

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" გამთამაშებელი **სტივ ნეში**, სავარაუდოდ, ვერ დაეხმარება თავის გუნდს ოთხმატჩიან გასვლით ტურნეში, რომელიც ამ კვირას დაიწყება.

*"როგორც ჩანს, სტივი ვერ შეძლებს გასვლით მატჩებში თამაშს. დიდი იმედი მქონდა, რომ ის მწყობრში ჩადგებოდა, მაგრამ ეს ნაკლებად სავარაუდოა",* - განაცხადა "ლეიკერსის" დამრიგებელმა **მაიკ დ'ენტონიმ**.

კანადელი ვეტერანი აგრძელებს აღდგენას მარცხენა ფეხზე მიღებული ტრავმის შემდეგ. გამთამაშებელი უკვე შეუდგა მსუბუქ ვარჯიშებს.

### ბატუმს ზურგი გაუმიზეზდა

"პორტლენდის" ფორვარდმა **ნიკოლა ბატუმმა** "საკრამენტოსთან" შაბათის მატჩში ზურგის ტრავმა გაიმიზეზა, - ამის შესახებ წერს სააგენტო AP. მოთამაშე გააგრძელებს მანუალური თერაპიის სეანსებს. ბოლო დღეებში მან ასეთი პროცედურა სამჯერ ჩაიტარა და სავარაუდოდ, დღეს ის "ტორონტოს" წინააღმდეგ მატჩში მოედანზე გასვლას ვერ მოახერხებს.

ბატუმმა ტრავმა გასული კვირის ოთხშაბათს, "ინდიანასთან" მატჩში მიიღო. "საკრამენტოს" წინააღმდეგ ფრანგმა მხოლოდ 17 წუთი ითამაშა და 5 ქულა დააგროვა.

### კლივლენდს ირვინგი უბრუნდება

"კლივლენდ კავალიერზის" მთავარ მწვრთნელს **ბაირონ სკოტს** იმედი აქვს, რომ გუნდის ლიდერი, 2011 წლის დრაფტის პირველი ნომერი **კაირი ირვინგი** სამშაბათს, "ლეიკერსთან" მატჩში შეძლებს მოედანზე დაბრუნებას. შეგახსენებთ, რომ ნოემბრის შუაში 20 წლის კალათბურთელმა ხელის თითი მოიტეხა.

მიმდინარე რეგულარულში შარშანდელი სეზონის საუკეთესო ახალბედა საშუალოდ მატჩში 22.9 ქულას, 5.6 შედეგიან გადაცემასა და 3.7 მოხსნას აგროვებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი

# ყველაზე მდიდარი ღარიბები

## ჟურნალმა ფორბსმა NHL-ის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშეების რეიტინგი შეადგინა


სიდნი კროსბი

სექტემბერში ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ ბოლო 18 წლის განმავლობაში მესამედ გააუქმა ჩემპიონატი. ამ ლოკაუტის მიზანი იგივეა, რაც წინა ორ შემთხვევაში – მოთამაშეთა შემოსავლების შეზღუდვა. უკვე ვადაგასული კოლექტიური ხელშეკრულების თანახმად, საერთო შემოსავლის 57 პროცენტი მოთამაშეებს ეკუთვნოდათ, იმ დროს, როცა სხვა ჩრდილოამერიკულ ლიგებში სპორტსმენებს დაახლოებით 50 პროცენტი ეკუთვნით. მოკლედ, ჰოკეისტები პრივილიგებულ სიტუაციაში იმყოფებოდნენ, მაგრამ ყინულის მთავარი ვარსკვლავები ჩამორჩებიან ოკეანის გაღმა სპორტის სხვა სახეობის ვარსკვლავთა ჰონორარებს.

"ვაშინგტონის" ფორვარდს **ალექსანდრ ოვეჩკინს** ყველაზე მაღალი ხელფასი აქვს – 9.5 მილიონი წელიწადში. მაგრამ რუსი ვარსკვლავი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში „ლატაკი" კალათბურთელი იქნებოდა, რადგან NBA-ში 60 მოთამაშე გამოიმუშავებს წელიწადში მინიმუმ 10 მილიონ დოლარს. ბეისბოლის ლიგაში რვანიშნა თანხას 90 მოთამაშე იღებს, ხოლო ამერიკული ფეხბურთის ლიგაში წამყვანი კვოტერბეკების ხელფასი 18 მილიონიდან იწყება.

თუმცა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშე არა ოვეჩკინი, არამედ კანადური ჰოკეის მთავარი ვარსკვლავი **სიდნი კროსბია**. „პიტსბურგის" 25 წლის ცენტრფორვარდმა ყინულზე გამოსვლისა და სარეკლამო კონტრაქტების მეშვეობით 12.7 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. მისმა საშუალო წლიურმა ხელფასმა 8.7 მილიონი დოლარი შეადგინა, რის შემდეგაც, კლუბმა მოთამაშეს 12-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა, რომლის ღირებულება 104 მილიონს შეადგენს. ხელშეკრულება ძალაში მომავალ წელს შევა და კროსბის ხელფასი 12 მილიონი იქნება პირველი სამი სეზონის განმავლობაში.

ბოლო დროს, კროსბის ტვინის შერყევის გამო სერიოზული პრობლემები შეექმნა, მაგრამ ის მაინც ყველაზე მოთხოვნადი მოთამაშეა სპონსორებისთვის. Reebok-თან, Tim Hortons-თან, Bell Canada-თან და Gatorade-თან სარეკლამო კონტრაქტებს, სიდნისთვის ყოველწლიურად 4 მილიონი მოაქვს.

როგორც ვთქვით, ხელფასების მხრივ, NHL-ის ტოპ-მოთამაშეები შესამჩნევად ჩამორჩებიან NFL-სა და MLB-ის ვარსკვლავებს. მოედნის მიღმაც, ჰოკეისტები ვერ ბრწყინავენ შემოსავლებით. მხოლოდ ერთეული მოთამაშეები იღებენ სპონსორებისგან წელიწადში მილიონზე მეტს (კროსბი, ოვეჩკინი, **ჯონათან ტეუვზი**). მსოფლიო სპორტის ვარსკვლავების ფონზე, ჰოკეისტთა ჰონორარები ძალიან მოკრძალებულია. საკმარისია იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ კროსბიმ წელიწადში გამოიმუშავა იმ სპორტსმენზე 4 მილიონით ნაკლები, რომელიც მესამე ადგილს იკავებს მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად ათლეტებს შორის.

NHL-ის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშეები:

| | |
|---|---|
| 1. სიდნი კროსბი | 12.7 მლნ (8.7+4) |
| 2. ალექსანდრ ოვეჩკინი | 12 მლნ (9.5+2.5) |
| 3. ევგენი მალკინი | 9.1 მლნ (8.7+0.4) |
| 4. ერიკ სტაალი | 8.5 მლნ (8.25+0.25) |
| 5. სტივენ სტემკოსი | 8.3 მლნ (7.5+0.8) |
| 6. ში უებერი | 8 მლნ (7.9+0.1) |
| 7. რიკ ნეში | 8 მლნ (7.8+0.15) |
| 8. ვენსან ლეკავალიე | 7.9 მლნ (7.7+0.15) |
| 9. ჯერომ იგინლა | 7.8 მლნ (7+0.75) |
| 10. ზაკ პარიზე | 7.74 მლნ (7.54+0.2) |
| 11. მარიან გაბორიკი | 7.65 მლნ (7.5+0.15) |
| 12. რაიან სუტერი | 7.6 მლნ (7.5+0.05) |
| 13. დენი ჰიტლი | 7.6 მლნ (7.5+0.075) |
| 14. ჯონათან ტეუვზი | 7.5 მლნ (6.3+1.2) |
| 15. სკოტ გომესი | 7.46 მლნ (7.36+0.1) |

შენიშვნა: ფრჩხილებში მითითებულია წლიური ხელფასი და სასპონსორო შემოსავლები)

■ ■ ■

ამასობაში, NHL-სა და პროფკავშირებს შორის მოლაპარაკებების პროცესში ახალი არაფერია. როგორც CBC იტყობინება, დიალოგი ამ კვირას განახლდება, თუმცა მანამდე მხარეებს არაოფიციალური კონტაქტები აქვთ. ვარაუდობენ, რომ თუ სეზონს მაინც გადაარჩენენ, რეგულარული ჩემპიონატი იანვრის ბოლომდე არ დაიწყება და თითო გუნდი 48 შეხვედრას ჩაატარებს.

სამთო თხილამურები

# ვონის ჰეგემონიას საფრთხე დაემუქრა

გასულ უქმეებზე, ქალმა მოთხილამურეებმა შვეიცარიის კურორტ სანკტ მორიტცში გაარკვიეს ურთიერთობა. ეტაპის ტრიუმფატორი აღმოჩნდა სლოვენიელი **ტინა მაზე**, რომელსაც სერიოზულად აქვს ჩაფიქრებული მსოფლიოს თასზე ამერიკელი **ლინდსი ვონის** ჰეგემონიის დამხობა.

სლოვენიელმა სანკტ მორიტცში მოიგო სუპერკომბინაცია, მეორე ადგილზე გავიდა სწრაფდაშვებაში, ბოლოს კი გიგანტური სლალომის სტარტზე დაიკავა პირველი ადგილი.

ბოლო სტარტზე მაზეს სერიოზული წინააღმდეგობა არა ლინდსი ვონმა, არამედ გიგანტურ სლალომში მოქმედმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ვიქტორია რებენსბურგმა** გაუწია - გერმანელი სლოვენიელს ორი ცდის ჯამში მხოლოდ 0.08 წამით ჩამორჩა. რაც შეეხება ვონს, მან მეორე ცდის დროს გარისკა და სერიოზული შეცდომა დაუშვა, რის გამოც ეტაპზე ბოლო ადგილი დაიკავა.

მაზემ ამ სეზონში მესამედ მოიგო გიგანტური სლალომის სტარტი. ასე რომ, გენერალურ კლასიფიკაციაში ტინასა და ვონს შორის სხვაობა 263 ქულამდე გაიზარდა. ამ ორი მოთხილამურის დაპირისპირება მომდევნო ეტაპებზე გაგრძელდება. აღსანიშნავია, რომ წლევანდელი ათი სტარტიდან შვიდი სწორედ სლოვენიელმა და ამერიკელმა მოიგეს.


ტინა მაზე.

შემდეგ უქმეებზე ქალები საფრანგეთში, კერძოდ, ვალ დ'იზერში გამოვლენ - ისინი ერთმანეთს შეეჯიბრებიან გიგანტურ სლალომსა და სწრაფდაშვებაში.

**გიგანტური სლალომი**

1. **ტინა მაზე (სლოვენია)** - 2:11.07 (1:05.55+1:05.52); 2. **ვიქტორია რებენსბურგი (გერმანია)** - 2:11.15 (1:06.12+1:05.03); 3. **ტესა ვორლი (საფრანგეთი)** - 2:11.62 (1:06.08+1:05.54); 4. **ლარა გუტი (შვეიცარია)** - 2:12.13 (1:06.64+1:05.49); 5. **მარლის შილდი (ავსტრია)** - 2:13.35 (1:07.51+1:05.84); 6. **კატრინ ცეტელი (ავსტრია)** - 2:13.39 (1:07.43+1:05.96)...

**საერთო ჩათვლა**

1. **ტინა მაზე (სლოვენია)** - 677 ქულა; 2. **მარია რიში (გერმანია)** - 443; 3. **ლინდსი ვონი (აშშ)** - 414; 4. **კატრინ ცეტელი (ავსტრია)** - 360; 5. **ჯულია მანკუზო (აშშ)** - 251; 6. **ვიქტორია რებენსბურგი (გერმანია)** - 230...

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| ფულჰემი-ნიუკასლი | 2:1 |
| **იტალია** | |
| სამპდორია-უდინეზე | 0:2 |
| ბოლონია-ლაციო | 0:0 |
| **ესპანეთი** | |
| რაიო ვალეკანო-სარაგოსა | 0:2 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| კიოლნი-ბრაუნშვაიგი | 2:2 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ჰანოვერი II-კილი | 2:3 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| კლერმონი-ნანტი | 0:1 |
| **პორტუგალია** | |
| აკადემიკა-ბრაგა | 1:4 |
| სპორტინგი-ბენფიკა | 1:3 |
| **დანია** | |
| აგფ ორჰუსი-სილკებორგი | 3:3 |
| **საბერძნეთი** | |
| პანთრაკიკოსი-აეკ | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| პანსერაიკოსი-ერგოტელისი | 2:0 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ქარსიაქა-ერჩიესი | 2:4 |
| ბუკა-ბოლუ | 0:1 |
| **კვიპროსი** | |
| აელ-ენოსისი | 1:1 |
| **[illegible]** | |
| რუბინი-სპარტაკი | 0:1 |
| ზენიტი-ანჟი | 1:1 |
| **[illegible]** | |
| პოლონია-პოგონი | 2:0 |
| **რუმინეთი** | |
| კონსტანტა-კონკორდია | 1:1 |
| ტურნუ-ბრაშოვი | 2:1 |
| სტიაუა-ასტრა | 2:0 |
| **ისრაელი** | |
| ბნეი შახნინი-ირონი (ქ-შ) | 1:3 |
| ბეითარი-მაკაბი (თ-ა) | 1:1 |
| **აზერბაიჯანი** | |
| შიმურძი-ხაზარი | 2:2 |
| ნეფთჩი-რავანი | 2:0 |
| **კალათბურთი** | |
| **საფრანგეთი** | |
| შალონი-როანი | 56:65 |
| **გერმანია** | |
| ოლდენბურგი-ჰაგენი | 107:80 |
| **იტალია** | |
| მონტეპასკი-კრემონა | 81:68 |
| სკავოლინი-მილანი | 70:72 |
| **თურქეთი** | |
| ანკარა-ეფესი | 86:85 |
| **ხელბურთი** | |
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| დანია-ჩეხეთი | 33:30 |
| ნორვეგია-საფრანგეთი | 30:19 |
| სერბეთი-შვედეთი | 23:23 |

TV პროგრამა

**11 დეკემბერი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XVI ტურის მიმოხილვა.
11:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVI ტურის მიმოხილვა.
12:00 ინგლისის ჩემპიონატი. XVI ტური. ფულემი-ნიუკასლი.
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. XVI ტური. აუგსბურგი-ბაიერნი.
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. XVI ტური. ევერტონი-ტოტენჰემი.
18:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 გერმანიის ჩემპიონატი. XVI ტური. დორტმუნდი-ვოლფსბურგი.
21:00 ინგლისის ჩემპიონატი. XVI ტურის მიმოხილვა.
22:00 ჩემპიონთა ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
23:00 ინგლისის ჩემპიონატი. XVI ტური. მანჩესტერ სიტი-მანჩესტერ იუნ.
01:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ველეს სარსფილდი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-დენვერი.
15:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. რეალი-აიაქსი.
17:00 კალათბურთი. NBA. 1994 წელი. ნიუ იორკი-ინდიანა.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ლევერკუზენი.
22:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
23:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-დენვერი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
13:10 სპორტ-NEWS,
13:40 რაგბი. ჰეინეკენის თასი. შარქსი-ტულუზა.
15:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
17:15 სპორტ-NEWS.
17:45 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. იანგ ბოიზი-ანჟი.
19:45 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-კლიპერსი.
21:45 NBA ACTION.
22:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 3 | 7 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 11 | 13 | (წვიმა) |
| ბათუმი | 11 | 16 | (წვიმა) |
| ფოთი | 10 | 16 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 8 | 12 | (წვიმა) |
| გორი | -2 | 10 | (წვიმა) |
| თელავი | 2 | 7 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 3 | 6 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | -9 | 3 | (თოვლი) |
| ბორჯომი | -2 | 8 | (წვიმა) |
| მესტია | -5 | 6 | (წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1481 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6642 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6694 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3912 |

დოპინგი

# უსარგებლო სტიმულატორი

ცნობილ აკრძალულ პრეპარატს - ერითროპოეტინს, სინამდვილეში, სპორტსმენებისთვის ზიანი უფრო მოაქვს, ვიდრე სარგებლობა. როგორც მეცნიერულმა კვლევამ აჩვენა, ჰორმონს საერთოდ არ აქვს გავლენა ფიზიკურ მონაცემებზე, თუმცა მიიჩნევა, რომ ის აუმჯობესებს კუნთებთან ჟანგბადის მიტანას. შეგახსენებთ, რომ სწორედ ერითროპოეტინის გამოყენებისთვის მიიღო სამუდამო დისკვალიფიკაცია ამერიკელმა ველომრბოლმა **ლენს არმტრონგმა**, რომელსაც კარიერაში მოპოვებული ყველა ტიტული ჩამოართვეს.

პროფესიორი **ადამ კოენი** მიიჩნევს, რომ ჰორმონი სისხლს ადედებს, იწვევს თრომბის, გულის შეტევისა და ინსულტის გაჩენის შესაძლებლობას. შესაბამისად, ეს ყველაფერი ხელს უშლის სისხლის ნორმალურ მიმოქცევას და ჟანგბადი არ აღწევს უჯრედებამდე. საბოლოოდ, უჯრედები კვდებიან, ორგანო კი სერიოზულ დაზიანებას იღებს, - იტყობინება Daily Mail.

ერითროპოეტინი - თირკმლის ჰორმონია, რომელიც სისხლის წითელი ქსოვილების წარმოშობის სტიმულაციას უწყობს ხელს. ხანდახან მას იყენებენ ანემიის მკურნალობისთვის.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კრივი**

# ნადირობა მსახიობებზე

სუპერმძიმე წონაში WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი **ვიტალი კლიჩკო,** რომელმაც, ბევრის აზრით, საკუთარი თავი საბოლოოდ მიუძღვნა პოლიტიკურ კარიერას, ჯერ მზად არ არის რინგიდან წასასვლელად.

ვარაუდობდნენ, რომ უფროსი კლიჩკო კრივთან გამოთხოვების შესახებ ოფიციალურად 17 დეკემბერს გამოაცხადებდა, მაგრამ მან საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მომავალი წლისთვის გადადო.

*"ვიტალი სერიოზულად უნდა დაფიქრდეს თავისი მომავლის შესახებ. ამიტომაც, არჩევანი კრივსა და პოლიტიკას შორის მომდევნო წელს გაკეთდება",* - ამბობს ვიტალის მენეჯერი **ბერნდ ბენტე**.

■ ■ ■

ამასობაში, ვიტალის უმცროსმა ძმამ, სუპერმძიმე წონაში სამი ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა **ვლადიმერ კლიჩკომ** ახალი შეყვარებული გაიჩინა. ეს არის აზიური წარმოშობის 37 წლის ამერიკელი მსახიობი, ფოტომოდელი და დიზაინერი **კიმორა ლი სიმონსი**.



ვლადიმერი ახალ შეყვარებულთან ერთად

ეს წყვილი ლოს ანჯელესში სუნამოს პრეზენტაციაზე დააფიქსირეს. ვლადიმერი და ლი სიამოვნებით პოზირებდნენ ფოტოკამერების წინ. უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინელს სამი შვილის დედა შეუყვარდა. კიმორას მუსიკოს **რასელ სიმონსთან** ქორწინების შემდეგ ორი გოგონა დარჩა, მსახიობ **ჯიმ ჰონსუმთან** რომანის შემდეგ კი ვაჟი შეეძინა. ამერიკელი მსახიობის ყველა სასიყვარულო ურთიერთობას სერიოზული ხასიათი ჰქონდა. ასე მაგალითად, სიმონსთან ერთად მან 11 წელი იცხოვრა, მაგრამ ბოლო ორი წელი ქმარს ჰონსუმთან ღალატობდა. ცოტა ხნის წინ კი მსახიობი ჯიმს დაშორდა. ასე რომ, მის რომანს 36 წლის ვლადიმერთან ხელს ვერაფერი შეუშლიდა.

უკრაინელი მოკრივისთვის უცხო არ არის რომანები ამერიკელ მსახიობებთან: 2011 წლის მაისში ვლადიმერი დაშორდა ჰოლივუდის ვარსკვლავს **ჰაიდენ პენეტიერის**, რომელსაც დაახლოებით წელიწადნახევარი ხვდებოდა.

# მენი: დავისვენებ და ისევ რინგზე

33 წლის ფილიპინელმა **მენი პაკიაომ** ლას ვეგასის ერთ-ერთ კლინიკაში წარმატებით გაიარა სამედიცინო შემოწმება, - წერს ESPN. პაკიაო არ გამოცხადდა **ხუან მანუელ მარკესთან** ბრძოლისშემდგომ პრესკონფერენციაზე, რადგან მეექვსე უმძიმეს ნოკაუტში აღმოჩნდა და გონსმოსასვლელად გარკვეული დრო დასჭირდა.

*"მენის ჩაუტარდა კომპიუტერული ტომოგრამა და მისი შედეგები აბსოლუტურად დამაკმაყოფილებელია,* - განაცხადა ფილიპინელი მოკრივის მრჩეველმა **მაიკლ კონცმა**. - *ჩვენ საავადმყოფოში დაახლოებით საათის განმავლობაში ვიყავით და მენი შესანიშნავ ხასიათზე იმყოფებოდა".* პაკიაოს წარმომადგენლის **ფრედ სტერნბერგის** სიტყვებით, კლინიკის შემდეგ, ფილიპინელი თავის ნომერში დაბრუნდა და ოჯახთან ერთად ივახშმა, რასაც მოჰყვა მარკესთან ბრძოლის ვიდეოჩანაწერის შესწავლა. როცა ფირი გაუშვეს, "პაკმენმა" ხუმრობით გამოაცხადა: *"არ მგონია, ბოლო ნაწილი მოგეწონოთ".*

*"უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა ვუთხრა ღმერთს იმისთვის, რომ შეგვინარჩუნა ჯანმრთელობა მე და ხუან მანუელ მარკესს,* - წერია პაკიაოს ოფიციალურ განცხადებაში. – *ასევე ვულოცავ ხუან მანუელს. თავის გამართლებას არ ვეცდები. ეს კარგი ბრძოლა იყო და მან დაიმსახურა გამარჯვება. ვფიქრობ, მაყურებელიც გამარჯვებული დარჩა. მინდა მათ ვუთხრა, რომ წესრიგში ვარ. ახლა დასვენება მჭირდება, შემდეგ კი ისევ დავბრუნდები რინგზე. ჩემი მეუღლისა და მთელი ჩემი ოჯახის სახელით ყველას ბედნიერ შობასა და ახალ წელს ვუსურვებ".*



პაკიაო ნოკაუტში

**ჩოგბურთი**

# მილანში მაკიაჟის გარეშე

ამ დღეებში მსოფლიოს მეორე ჩოგანი, რუსი **მარია შარაპოვა** მილანში იმყოფებოდა. მან იქ საჩვენებელი მატჩი გამართა იტალიელ **სარა ერანისთან,** რის შემდეგაც თავის საყვარელ საქმიანობას – შოპინგს მიჰყო ხელი. ჩოგბურთელი მილანის ქუჩებში აბსოლუტურად მარტო დააბიჯებდა, სადაც ის პაპარაცებმა გამოიჭირეს.

თავდაპირველად, ფოტოგრაფებმა მაშა ქალაქის მშვიდ ქუჩებში შეამჩნიეს. ჩოგბურთელს საკმაოდ უბრალოდ ეცვა და მაკიაჟის გარეშეც საკმაოდ ეფექტურად და ბუნებრივად გამოიყურებოდა.

მოგვიანებით, მარიამ მოკლე კაბა ჩაიცვა და **ჯორჯო არმანის** ნათესავთან – **რობერტასთან** საქმიან ვახშამზე გაემართა. აქაც ჩოგბურთელი მაკიაჟის გარეშე გამოცხადდა, თმები კი კვლავ გაშლილი ჰქონდა.

სამაგიეროდ, პრესკონფერენციაზე შარაპოვა უკვე "მოწესრიგებული" მივიდა: შავმა კლასიკურმა კაბამ და მოდურმა მაკიაჟმა რუსი საღამოს დედოფლად აქცია.





# როჯერი და პელე დაძმობილდნენ



"დიდი სლემის" 17-გზის ჩემპიონმა, ლეგენდარულმა შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** დაასრულა ბრაზილიური ტურნე. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა სან პაულუში სამი საჩვენებელი მატჩი ჩაატარა – დამარცხდა ადგილობრივ **ტომაშ ბელუჩისთან** და მოუგო ფრანგ **ჟო-ვილფრიდ ცონგასა** და გერმანელ **ტომი ჰაასს**. ამ უკანასკნელთან შვეიცარიელმა გუშინ ითამაშა და საათსა და 21 წუთში, თითო სეტში თითო ბრეიკის წყალობით ორ პარტიაში – 6:4, 6:4 მოიგო.

მაგრამ მთავარი შეხვედრა ფედერერს კორტის მიღმა ჰქონდა - ჩოგბურთელმა გაიცნო "ფეხბურთის მეფე" **პელე**.

*"დღეს მე უდიდესი პატივი მხვდა წილად – შევხვდი ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდას პელეს. ის ძალიან კარგი ადამიანია, რომელსაც განსაცვიფრებელი ენერგეტიკა გააჩნია. ჩვენ ერთმანეთს გავესაუბრეთ და მაისურები გავცვალეთ",* - დაწერა როჯერმა თავის "ფეისბუკზე".

■ ■ ■

ამასობაში, პროფესიულ ტურში როჯერის ერთ-ერთმა მთავარმა კონკურენტმა **რაფაელ ნადალმა** კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ წარმატებით დასრულდა მუხლის ტრავმის რეაბილიტაცია.

*"კმაყოფილი ვარ ჩემი მუხლების მდგომარეობის გამო. იმედია, პაუზა, რომელიც შარშანდელი უიმბლდონის შემდეგ ავიღე, მრავალი წლის განმავლობაში თამაშის საშუალებას მომცემს. ტურში ჩემი დაბრუნება წარმატებული იქნება",* - ამბობს ესპანელი ჩოგბურთელი.

# აზარენკა: მარტო ვარ!

სან პაულუში ფედერერის გარდა, ქალთა ტურის წამყვანი ჩოგბურთელებიც იმყოფებოდნენ. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ბელარუსმა **ვიქტორია აზარენკამ** საჩვენებელ მატჩში დაამარცხა ამერიკელი **სერენა უილიამსი,** რის შემდეგაც, პრესკონფერენციაზე საინტერესო განცხადება გააკეთა – ის აღარ ხვდება უკრაინელ ჩოგბურთელს **სერგეი ბუბკას**.

*"არ მიყვარს პრესასთან პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ სერგეის აღარ ვხვდები. ჩვენ მხოლოდ მეგობრული ურთიერთობა გვაქვს, ახლა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ამჟამად, მე მარტო ვარ",* - განაცხადა აზარენკამ.

■ ■ ■

საინტერესო სტატისტიკური მონაცემი გამოაქვეყნა WTA-მ ქალთა კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. როგორც გაირკვა, 1980 წლის შემდეგ პირველად, რეიტინგის ასეულში 11 ისეთი ჩოგბურთელია, რომელმაც 30-წლიან ზღვარს მიაღწია.

ამ მომენტისთვის ეს ჩოგბურთელები არიან: ამერიკელი **სერენა უილიამსი**, ჩინელი **ნა ლი**, რუსი **ნადეჟდა პეტროვა**, ამერიკელი **ვენუს უილიამსი**, ჩეხი **კლარა ზაკოპალოვა**, იტალიელები **ფრანჩესკა სკიავონე** და **ფლავია პენეტა**, ესპანელები **ლურდეს დომინგეს ლინო** და **ანაბელ მედინა გარიგესი**, უნგრეთი **მელინდა ჩინკი** და ბერძენი **ელენი დანილიდუ**.



ვიქტორია აზარენკა

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი 11 ჩოგბურთელიდან ათი მსოფლიოს რეიტინგის TOP50-ში შედის, სამი – TOP20-ში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ISSN 2233-3827

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

# მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი;** მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **გია თვალაბეიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**